

საქართველოს იბლიოთეკა

სამეცნიერო-პოპულარული და მეთოდური ჟურნალი

70

გამოცემა

სანიუბილამ



დავით
სარაიშვილი



ბიბლიოთეკის
წარმატების რეცეპტი



იონა
ბატული

№1(70) 2018
ISSN 1512-0880





საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

გ ი წ ვ ე ვ თ

საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნის ღონისძიებაზე სახელწოდებით

„წარმოაჩინე შენი ბიბლიოთეკა“

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნება ბიბლიოთეკარების მიერ

შექმნილი ხელოვნების ნიმუშები დევიზით

„ბიბლიოთეკარი ხელოვანი 2018“

15:00 სთ, 5 მაისი, 2018 წელი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საგამოფენო დარბაზი

ლ. გუდიაშვილის №7

დასწრება თავისუფალია



საქართველოს ბიბლიოთეკა N1 (70) - 2018
შინაახსი

წიგნის ისტორია

ნინო ხვედელიძე - მარია სიბილა და მისი პოლიგრაფიული სიმბიოზი.....3

ბიბლიოთეკების ისტორია

ნინელი მელქაძე, ნინო კაციაძე - კრუნისლავ გერუცი კავკასიის ბიბლიოთეკების შესახებ9

მკითხველთა მომსახურება

ერთი დღე ბიბლიოთეკის ცხოვრებიდან.....12

ფილოლოგიური ძიებანი

გულნარა სტურუა - ყაზბეგი არა მარტო ჩვენ, არამე მთელ კაცობრიობას უნდა ეკუთვნოდეს.....17

გურამ თაყნიაშვილი - იოანე ბატონიშვილი წიგნისა და კითხვის შესახებ.....20

კორესპონდენციები

ლია გოდელაშვილი - მკითხველთან ურთიერთობის პრიორიტეტები.....23

ლელა ფერაძე - ზესტაფონის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში26

ნინო აფციაური - ილია ჩვენი თანამედროვე27

IREX ინფორმაცია

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანეთის ბიბლიოთეკის წარმატების რეცეპტი.....28

ნანა ოქროპირიძე - ღონისძიება 76-ე საჯარო სკოლაში30

ღირსეული მოღვაწენი

იური სიხარულიძე - დიდი ნიკო მარის მოწაფეთა მოწაფე.....31

ღირსეული მამულიშვილები

გიორგი სარაჯიშვილი - ძველებური ქართული სიბრძნე.....35

ინფორმაცია - რეცენზიები

მაია მიქაბერიძე - სტერეოტიპების დასანგრევად.....39

ნანა ფირცხალავა - მონოგრაფია ჩერქეზი ხალხის კულტურის შესახებ.....41

მზია ტოგონიძე - სიმართლით ასახული ცხოვრება.....43

ზაირა სარაჯიშვილი - ახალი დარგობრივი ლიტერატურა44

მორიგი გამოსვლა45

„საქართველოს ბიბლიოთეკა“ - 70

გულნარა სტურუა - ხანგრძლივი სიცოცხლე „საქართველოს ბიბლიოთეკას“.....46

გურამ თაყნიაშვილი - ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე დაფუძნებული47

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრება.....49

რ ე ვ ი უ

დავით გიგინეიშვილი - დასრულდა თბილისის ბარკო მუსიკის ფესტივალი.....55

ნეკროლოგი

პროფესორ ოთარ ოსაძის ხსოვნას58

პროფესორ ზემფირა ტყაბლაძის გამოსათხოვარი.....59

წიგნის ისტორია

ნინო ხვედელიძე

მარია სიბილა და მისი პოლიგრაფიული სიმბიოზი

გრაფიურების ბეჭდვა ხისა და მი-
თუმეტეს, სპილენძის საგრაფი-
ურ დაფებზე განსაკუთრებულ
ფიზიკურ შესაძლებლობებს მოითხოვდა,
რომლის ძალაც შესწევდათ ადამიან-
თა მოდემის მხოლოდ ძლიერი სქესის
წარმომადგენლებს. განსაკუთრებული
ქალბატონი, რომელიც ამ რთულ ხე-
ლოვნებას შეეჭიდა, გახლდათ მარია
სიბილა მერიანი - ცნობილი მეცნი-
რობდნენ. მარიას ის-ის იყო შეუსრულ-
და სამი წელი, როდესაც მატეუს მერი-
ანი გარდაიცვალა. მატეუსის ქვრივი
- წარმოშობით პოლანდიელი იოჰანა
სიბილა ჰეიმი, 1651 წელს, ცოლად გა-
ჰყვა იაკობ მარელს (1614-1681) ქვრივს
სამი პატარა ბიჭუნათი. იოჰანა და ია-
კობი ოთხი მცირეწლოვანი შვილის
აღზრდას შეეჭიდნენ. მარელი „ბლუ-
მენმალერი“ (ყვავილების მხატვარი)



მარია სიბილა მერიანი (1647-1717)

ერ-ილუსტრატორი და მხატვარ-ენტო-
მოლოგი. იგი არანაკლებ ცნობილი
მესტამბე-გამომცემლისა და სამეცნიე-
რო-დოკუმენტური ილუსტრაციის ფუ-
ძემდებელის - მატეუს მერიანის (1593-
1650) ქალიშვილი იყო.
ანა მარია დაიბადა 1647 წლის 4
აპრილს, ფრანკფურტში. მერიანები მაინ-
ცის ქუჩაზე, კარმელიტების მონასტრის
მოპირდაპირედ მდებარე სახლში ცხოვ-
დას. იგი ქსოვილებისა და სხვა
მასალების მოხატვით არჩენდა ოჯახს.
პატარა მარიას აღზრდა-განათლებაზეც
მამინაცვალი ზრუნავდა. მან პირველმა
შეამჩნია გოგონას ხატვისადმი მიდრე-
კილება და ფერწერის ხელოვნებას აზი-
არა. ყვავილოვანი ნატურმორტის ხატ-
ვის გაკვეთილებს მამინაცვლის გარდა,
გოგონას პოლანდიელი მხატვარი აბრა-
ჰამ მინონიც უტარებდა.

1664 წლის მაისში თვრამეტი წლის მარია ცოლად გაჰყვა მარელის ერთ-ერთ მოსწავლეს, იოჰან ანდრეას გრაფს (1637-1701). ახალგაზრდა ოჯახი, რომელსაც უკვე პატარა ქალიშვილი ჰყავდა, 1670 წელს საცხოვრებლად გადავიდა ნიურნბერგში, სადაც იოჰანმა დააფუძნა პატარა სტამბა. მარიას სიყვარულმა ყვაილების ხატვისადმი მოულოდნელად შეიძინა პრაქტიკული დანიშნულება. იგი შეუდგა თავსაფრებისა და მაგიდის გადასაფარებლების ყვაილებითა და თაიგულებით მოხატვას. მანვე აკვარელის ფუძეზე შექმნა საღებავი, რომელიც არ ირეცხებოდა წყლის ჭავლით და არ ხუნდებოდა მზის სხივების გავლენით. მდგრადი საღებავის წყალობით ქსოვილის ორივე მხარე არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა. ნიურნბერგელი ქალბატონები აღფრთოვანებას ვერ მაღავედნენ და უხვად ყიდულობდნენ მარიას დახვეწილ პროდუქციას.

იმ დროისათვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა მრავალფეროვანი და მრავალგვარი ნაყშებით ნაქარგი ტანსაცმელი, საწოლის თეთრეული, ხელსახოცები, პირსახოცები, მაგიდის გადასაფარებლები და სახლის დასამშვენებლად საჭირო ათასგვარი დეკორატიული ქსოვილი.

ნიურნბერგელმა ქალბატონებმა მარია სიბილას მიმართეს თხოვნით: გამოეცა წიგნი და ესწავლებინა მათთვის ქარგვის ხელოვნება. სწორად ამ საქმიანობასთანაა დაკავშირებული მერიანის პირველი დამხმარე სახელმძღვანელო. 1675 წელს მან შეადგინა და გამოსცა ალბომი სქემებით ქარგვის მოყვარულთათვის, რომელსაც „ყვაილების ახალი წიგნი“ უწოდა. ორი წლის შემდეგ - 1677 წელს გამოსცა მეორე ალბომი, 1680 წელს კი - მესამე. ყოველ გამოსცემაში მხატვრის მიერ ხელით გაფერადებული თორმეტი გრაფიურა იყო სატიტულე ფურცლის ჩათვლით. სამივე ალბომს ახლდა ბუნებისა და ხელოვნების მოყვარული მკითხველისათვის განკუთვნილი შესავალი სიტყვა, რომლის ტექსტიც მრავალფეროვანი ყვაილებით დამშვენებულ ოვალურ გვირგვინში იყო ჩაბეჭდილი. პირველი გამოსცემის ტექსტი ლათინურ, დანარჩენი ორის, კი გერმანულ ენაზე იყო ნაბეჭდი.

მერიანის ალბომები დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ავტორმა 1680



„ყვაილების ახალი წიგნი“ 1675

წელს კიდევ ერთი გამოსცემის დაბეჭდვა გადაწყვიტა. მარიამ სამივე გამოსცემა გააერთიანა და მრავალგვარიანი ალბომი წარუდგინა მკითხველს. გამოსცემებისათვის გრაფიურებს მხატვარი თვითონ ამზადებდა და თვითონვე აფერადებდა.

აღწერის შედეგად აღმოჩნდა, რომ „ყვაილების ახალი წიგნი“ მხოლოდ ხუთ ეგზემპლარადაა შემორჩენილი, რომელთაგან ერთი 1966 წელს ლეიფციგში „ინზელ-ფერლაგის“ გამომცემლობაში დაბეჭდილი ფაქსიმილეა.

მეჩვიდმეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში მერიანი მწერებით დაინტერესდა და დროის უმეტეს ნაწილს ენტომოლოგიის შესწავლას ანდომებდა. ამ დროისათვის იგი ორი ქალიშვილის დედა გახლდა. მხატვარი მწერებს მინდვრებსა და ტყეებში ეძებდა, აგროვებდა და აკეთებდა ჩანახატებს. მისი ხოტოებისა და პეპლების კოლექციები ევროპის საუკეთესო ენტომოლოგიურ კოლექციებად იქცნენ. 1674 წლიდან მხატვარი შეუდგა მწერების სისტემატიზაციის შესწავლას. მან აღმოაჩინა, რომ მსოფლიოში ყველაფერი ძალიან სწრაფად გარდაიქმნება, მწერები განვითარების ერთი ფაზიდან მეორეში გადადიან: კვერცხიდან მატლი, მატლიდან ჭუპრი, ჭუპრიდან

კი პეპელა იჩეკება. მერიანმა დაიწყო მუშაობა ნაშრომზე „წიგნი მუხლუხების შესახებ“. ასე დაიბადა გამოცემა: „მუხლუხების არაჩვეულებრივი გარდასახვა და მათი განსაკუთრებული ფერადოვანი საკვები...“ ახალი აღმოჩენის წყალობით, მხატვარმა დაწვრილებით შეისწავლა და აღწერა მუხლუხები, მატლები, ჩრჩილები, ბუხები და მსგავსი არსებები, მათი წარმოშობა, კვება და გარდასახვა. ნატურიდან ჩახატული მწერების გამოსახულებები გადაჰქონდა სპილენძის საგრაფიურ დაფებზე, რომელთა საშუალებითაც მათ „ზღაპრულ სამყაროს“ ფურცლებზე ბეჭდავდა. მარია მერიანმა 1679 წელს ნიურნბერგში დამოუკიდებლად გამოსცა ალბომი.

1686 წელს მარია გასცილდა ანდრეას გრაფს, დაიბრუნა მამისეული გვარი და გაწევრიანდა ლაბადისტების რელიგიურ სექტაში. იგი დედასთან და ორ ქალიშვილთან - იოჰანა ჰელენთან და დოროთეა მარიასთან ერთად დასახლდა ნიდერლანდების პროვინციაში, ვალტის სასახლეში ფრისლანდიაში. 1691 წლიდან ოჯახი საცხოვრებლად ამსტერდამში გადავიდა. ბიოგრაფიული ცნობების გათვალისწინებით, მარიას გერმანელ მხატვრად მოიხსენიებენ, ჰოლანდიელები მას თავის თანამემამულედ თვლიან. ზოგიერთი ავტორის აზრით, კი იგი

შვეიცარიელი იყო, რადგან მამამისი - მატეუს მერიანი წარმოშობით ბაზელიდან გახლდათ.

მარია სიბილა მერიანის მთავარ ნაშრომად იქცა „სურინამიული მწერების მეტამორფოზები“. ანა მარია 1699 წლის ივნისში გაემგზავრა სურინამში, ნიდერლანდების სამხრეთ ამერიკულ კოლონიაში. იმ დროისათვის ეს წამოწყება უსაფრთხო არ იყო, არც მხატვარი გახლდათ უკვე ახალგაზრდა. გემზე ასვლამდე მარიამ ანდერძიც კი შეადგინა და ნოტარიუსთან დაამოწმა.

მარიამ სურინამში ორი წელი დაჰყო. ამ დროის მანძილზე იგი დილაუთენია მიდიოდა პლანტაციებსა და ახლომდებარე ჯუნგლებში მხარზე მოღებრტვადაკიდებული. ის ევროპულისაგან განსხვავებულ მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს გასაცნობარ ნატურმორტებს ქმნიდა. მერიანის ყურადღებას იპყრობდნენ მწერთა სახეობები. მხატვარი აკვარელის საღებავებით ხატავდა პერგამენტის თხელ ფურცლებზე.

1701 წელს მარიამ დაასრულა სურინამში მოგზაურობა და ევროპაში დაბრუნებისთანავე დაიწყო თავისი ნახატების გამოსაცემად მომზადება. გრავირება მისთვის უკვე რთული პროცესი იყო, რისთვისაც მან პროფესიონალებს მიმართა. ალბომისათვის გათ-



„მუხლუხების არაჩვეულებრივი გარდასახვა“ 1679



მარიამ მერიანის ჩანახატი

ვალისწინებული 60 ილუსტრაციიდან ავტორმა თავისი ხელით მხოლოდ სამის გრავირება შეძლო. 35 ნახატი სთავის სპილენძზე გრავირება შეასრულა პიტერ სლუიტერმა, 21 - იოზეფ მულდერმა - და ერთი - დანიელ სტოპენდალმა. გრავიურების გაფერადება კი მხატვარმა ვერავის მიანდო და ეს სამუშაო თვითონ შეასრულა საკუთარი ქალიშვილის დახმარებით. მანვე დაწერა ტექსტი. სამეცნიერო-ბოტანიკური შენიშვნები მისივე თხოვნით, შეადგინა პროფესორმა კასპარ კომელინმა (1663-1731). ალბომი გამოიცა ამსტერდამში 1705 წელს. მარია მერიანი თავდაპირველად ვარაუდობდა ალბომის სამ ვარიანტად გამოცემას: ლათინურ, ჰოლანდიურ და გერმანულ ენებზე, მაგრამ ბოლო ვარიანტი მოიხსნა ხელმძღვრთა სიმცირის გამო. ალბომის ტირაჟი განისაზღვრა ხელმძღვრთა სავარაუდო რაოდენობით და სულ ცოტათი გადააჭარბა 60 ეგზემპლარს. მათგან შემორჩენილია 12 ეგზემპლარი.

ალბომი შედგენილია დიდი ფორმატის ფურცლებით, 500x345 მმ. წიგნის სატიტულე ფურცელი ულამაზესი შრიფტული ანაკრეფითაა წარმოდგენილი, რომელიც კოლოფონით მთავრდება. ფურცლის მეორე მხარეს მცირე მიძღვნაა „ბუნების მოყვარულთათვის“. მიმდევროს ორ გვერდზე მკითხველისათვის განკუთვნილი მარია სიბილა მერიანის შესავალი წერილია დაბეჭდილი.

წიგნის ბლოკი აწყობილია ერთიანი სქემის მიხედვით: გრავიურას მოსდევს ორ გვერდზე განთავსებული ტექსტი, შემდეგ ისევ გრავიურა და ა.შ. ილუსტრაცია შეესაბამება ტექსტის შინაარსს. წიგნში 60 მთლიანფურცლიანი გრავიურაა, რომელზედაც 90 სხვადასხვა სახეობის მწერი გამოსახული.


მარია სიბილა ხატავდა არაქინძისთავზე დამაგრებულ მწერებს, როგორც მაშინ იყო მიღებული. ის ხოჭოებს, მატლებს, ჭუპრებსა და პეპლებს ტროპიკულ მცენარეთა ფოთლებზე, ღეროებზე, ყვავილებსა და ნაყოფებზე გამოსახავდა. ალბომის მკითხველი ეცნობოდა მაშინ ევროპისათვის ჯერ კიდევ უცნობ და ეგზოტიკურ ხილსა და ბოსტნეულს: ბანანს, ანანასს, ამერიკულ ალუბალსა და ვანილს. მწერები წარმოდგენილია განვითარების ფაზებით, ყოფით დინამიკაში. გრავიურებზე ჩვენ ვხედავთ არა

მარტო მწერებსა და მცენარეებს, არამედ ტროპიკული სამყაროს სხვა ბინადრებს: ლოკოკინებს, გველებს, ბაყაყებსა და ხელიკებს.

გრავიურების ხელით მოხატვა დამახასიათებელი იყო წიგნის ბეჭდვის ადრეული პერიოდისათვის. ამ მეთოდს იყენებდნენ ჯერ კიდევ ინკუნაბულების ბეჭდვამდე ქსილოგრაფიული წესით ნაბეჭდი წიგნების გასაფერადებლად, მაგრამ მაშინ იხატებოდა მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარი და თანაც, ამას ხშირად გამომცემელი კი არა, მკითხველი აკეთებდა. მარია სიბილა შექმნა ერთგვარი საგამომცემლო სიმბოლო, რომელიც გულისხმობდა პოლიგრაფიული ბეჭდვისა და ხელით მოხატვის ტექნიკის შერწყმას. ამ ხერხით შეიქმნა არაჩვეულებრივი შედეგები ოფორტის ხელოვნებაში.

მარია მერიანი ნამუშევრების შესასრულებლად პერგამენტის ფურცლებს იყენებდა, გამონაკლისის სახით კი ძონძის ქაღალდსაც. მეზვიდმეტე საუკუნის მხატვარი და მეცნიერი აკვარელი-სა და გუაშის საღებავებით ხატავდა. ნახატის ქვედა ფენას ფუძის სახით, თეთრი ფერის საღებავით ღებავდა, რომლის საშუალებით პერგამენტის ზედაპირი ერთგვაროვანი და ნაზი მოსჩანდა. გასაოცრია, რომ სამასი წლის შემდეგაც, საღებავის ფერები ისე გამოიყურება, თითქოს მხატვარმა ხატვა ეს ესაა დაასრულა და ფუნჯი გვერდზე გადადო. განსაკუთრებულად დახვეწილ ნამუშევრებზე არაჩვეულებრივი სიზუსტითაა შესრულებული თითოეული დეტალი. მერიანი თითქმის არ იყენებდა ჩრდილებს და ნახატებზე განათების ეფექტი თითქმის უგულვებელყოფილია. მისი ხატვის ტექნიკა გვაძლავს, ადფრთოვანებით ვუყურით პერგამენტის ფურცლებზე თითქოს ჯერ კიდევ ახლახანს დამთავრებულ და გაუმშრალ ნახატებს. „დავცქერით ბუნების უმშვენიერეს სამყაროს, რომელსაც ჩვენ ვერ ვამჩნევთ ჩვენი მოკლე ხაფხულის მანძილზე“ - წერდა მათზე ერთ-ერთი მკვლევარი.

მარია დეტალურად გადმოგვცემდა მწერების ცხოვრებას. იგი წერდა: „გერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ასეთი მახინჯი, შავი მუხლუხოსაგან, უმშვენიერესი პეპელა გამოიჩეკებოდა“... საკუთარ მრავალწლიან, დაუღალავ შრომას



„სურინამიული მწერების მეტამორფოზები“ 1726

მარია მერიანი ასე ხსნიდა: „მინდოდა მკითხველისთვის წარმედგინა ღვთის სასწაული, იმისთვის, რომ მედიდებინა უფალი, როგორც ამ პატარა არსებათა შემქმნელი“...

ალბომი „სურინამიული მწერების მეტამორფოზები“ შედარებით დაბალ ფასში იყიდებოდა: 45 გულდენად, აქედან 30 გულდენი გრავიურების გაფერადებისათვის იყო განკუთვნილი, 15 - ბეჭდვისა და სხვა პოლიგრაფიული საქმიანობისათვის.

მარია სიბილა ამსტერდამში 1717 წლის 13 იანვარს ორი წლის ავადმყოფობის შემდეგ, სამოცდაათი წლის ასაკში გარდაიცვალა. მდიდარი მხატვრული მემკვიდრეობა მან თავის ორ ქალიშვილს დაუტოვა. მათგან არც ერთს არ გაუგრძელებია დედის საქმიანობა.

მარიას გარდაცვალების შემდეგ ამსტერდამელმა გამომცემელმა იოჰან ოსტერვიკმა შეისყიდა სახელგამთქმული ალბომის ყველა საგრავიურო დაფა, პირველი გამომცემის 60 გრავიურას დაუმატა 12 გრავიურა და 1719 წელს გამოსცა „სურინამიული მწერების მეტამორფოზების“ ახალი გამოცემა. მის გასაფერადებლად აკვარელის საღებავსაც მარია მერიანის სამხატვრო სახელოსნოში მიაკვლიეს. მეტამორფოზების მესამე გამომცემა 1726 წელს დაიბეჭდა ჰააგაში. მას მიჰყვა მეოთხე გამოცემა, რომელიც 1730 წელს ამსტერდამში გამოიცა და

მეხუთე - 1771 წელს პარიზში. ყველა მათგანი განსაკუთრებულ იშვიათობას წარმოადგენს. თანამედროვე მკითხველს შეუძლია გაეცნოს მარია მერიანის ალბომის ფაქსიმილურ გამოცემას, რომელიც 1975 წელს დაიბეჭდა ლეიფციგში.

მარიას გარდაცვალების შემდეგ მისი უმცროსი ქალიშვილი დოროთეა მარია გენრიეტა (1678-1743) ცოლად გაჰყვა შვეიცარიელ ფერმწერს გეორგ გზელს (1673-1740). დოროთეა მეუღლესთან და ბავშვებთან ერთად 1717 წლის ოქტომბერში სანკტ-პეტერბურგში გადავიდა საცხოვრებლად. გზელი დაკავებული იყო საზაფხულო სასახლეში პლაფონების მოხატვით, თანამედროვეთა პორტრეტებისა და წმინდა პეტრეს ღვთიერანული ეკლესიისთვის რელიგიური თემატიკის ფერწერული ნიმუშების ხატვით. ცოლ-ქმარი ზრუნავდა პეტრე დიდის მიერ დაარსებული კუნსტკამერის - იშვიათი ნივთების კაბინეტის გაფორმებაზე. მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შემდეგ ისინი აკადემიის მოსწავლეებს ფერწერის კურსს უკითხავდნენ. დოროთეას ქალიშვილი 1776 წელს ცოლად გაჰყვა მსოფლიოში სახელგანთქმულ მათემატიკოსს, პეტერბურგის აკადემიის აკადემიკოსს ლეონარდ ეილერს. მისი წყალობით მოხვდა რუსეთში მარია მერიანის სამხატვრო მემკვიდრეობის ნაწილიც. პეტრე პირველი დაინტერესებული იყო მარიას ხელოვნებით.

მან საკუთარი მუზეუმისათვის 1717 წელს შეიძინა მერიანის ნამუშევრები. ამ დროისათვის ანა მარია უკვე ცნობილი მხატვარი, ენტომოლოგი, რამდენიმე წიგნის ავტორი და მნიშვნელოვანი ენტომოლოგიური კოლექციის მფლობელი გახლდათ. მეფის მსგავსად, მრავალი მკვლევარი იყო აღფრთოვანებული მარიას პეპლების კოლექციით. სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში დაცულია არა მხოლოდ „Metamorphosis insectorum surinamensium“, არამედ მხატვრის მიერ პერგამენტზე აკვარელის საღებავით შესრულებული

ბოტანიკოსების, ენტომოლოგებისა და სამეცნიერო ილუსტრაციების ტექნიკის მკვლევარების უდაო ინტერესს იწვევს. მისი სახელი და ნამუშევრები კარგადაა ცნობილი ევროპაში, იაპონიაში, ამერიკაში, რასაც ცხადყოფს მარია სიბილას ნახატების გამოფენების სიმრავლე და წიგნების მრავალჯერადი გამოცემა. სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ბევრია დაწერილი მარიამ სიბილას კვლევის მნიშვნელობაზე ენტომოლოგისა და ბოტანიკაში. ხელშეწყობის კრიტიკოსები აღიარებენ მისი მხატვრული უნარ-ჩვევების თავისებურებებს. მარია სიბილა მერიანის სახელის უკ-



ბული 196 ნახატი. ისინი ფურცლოვანი სახით გამოსცა გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ. მხატვრისა და ბუნების დაუღალავი მკვლევარის შემოქმედება არა მხოლოდ ხელშეწყობის ისტორიკოსების, არამედ

ვდავსაყოფად გერმანიის სახელმწიფომ მისდამი პატივისცემა ფულის ერთეულზე ასახა: გერმანული მარკის 500 ბანკნოტიან ვალუტის წინა მხარეს მისი პორტრეტი და ნიურბერგის სტილიზებული პეიზაჟია აღბეჭდილი.

ბიბლიოთეკის ისტორია

წინედი ბაქაძე
წინო ხაჩიბაძე

კრუნისლავ გერუცი კავკასიის ბიბლიოთეკების შესახებ
ბარდაბენის პერიოდი (1917-1918)




რომლის უცილებელ ატრიბუტად სამართლიანად მიაჩნდათ მდიდარი, ფართო საზოგადოებრიობისთვის ხელმისაწვდომი, კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკების არსებობა. ამას მიანიშნებს 1917-1918 წლების საგაზეთო პუბლიკაციები, ასევე საარქივო მასალების დოკუმენტები. ამ თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა კავკასიაში კულტურის და, კერძოდ, საბიბლიოთეკო საქმის განვითარების გულშემატკივარის, ხორვატი პოლიტიკოსისა და პუბლიცისტის კრუნისლავ გერუცის მოსაზრებები¹, რომლებიც 1917 წელს გაზეთ „რესპუბლიკაში“² გამოქვეყნებულ მის ორ სტატიაშია ჩამოყალიბებული. ერთ-ერთ მათგანში - „კავკასიის სახელმწიფო ბიბლიოთეკა“, იგი წერდა: „ბიბლიოთეკების სიმრავლე, სიმდიდრე და კეთილმოწყობა მოცემული ქვეყნის კულტურის ყველაზე უტყუარი მაჩვენებელია. ამიტომ ბუნებრივია, რომ რუსეთში ცარიზმის დამხობის და დეცენტრალიზაციის შემდეგ ყოველმა თვითგამორკვეულმა ეროვნებამ თუ განაპირა მხარემ სერიოზული ყურადღება უნდა დაუთმოს საბიბლიოთეკო საკითხს, როგორც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს... დარწმუნებული ვართ, რომ კავკასიას არა მარტო რუსეთის, არამედ საერთოდ კაცობრიობის განვითარებაში, ბრწყინვალე მომავალი ელის... ყველაზე გამჭრიახმა კავკასიელმა მოღვაწეებმა ახლავე უნდა უზრუნველყონ საიმისო პირობები, რომ კულტურული მუშაობა გაუადვილონ თავიანთ ახალგაზრდა თაობას. ერთ-ერთი ასეთი პირობა იქნებოდა ტფილისში დიდი და ვრცელი ბიბლიოთეკის შექმნა, რომელიც თავის ადგილს დაიმკვიდრებდა ლონდონის, ვაშიგტონის, პარიზის, ვატიკანის, პეტროგრადისა და ვენის ბიბლიოთეკების გვერდით.

“ღმერთმა ნუ ქნას, რომ გარდატეხების ეპოქაში მოგიწიოს ცხოვრება”- ეს ცნობილი ფრაზა კონფუციუსის ეკუთვნის და, როგორც ჩანს, სახელმწიფოში ან მსოფლიოში გლობალური ცვლილებების პერიოდი იგულისხმება. საქართველოში ამგვარი „გარდატეხების ეპოქის“ - 1917-1918 წლების მთელი პერიპეტიების მიუხედავად, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის კულტურული სახის ჩამოყალიბებას,

1. კრუნისლავ გერუცი კავკასიაში რამდენიმე წელი დაჟყო, იგი წიგნით ვაჭრობას და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა, აქვეყნებდა თავის მოსაზრებებს სახელმწიფო მშენებლობის საქმეში ბიბლიოთეკის როლის შესახებ. 1920 წლის 14 დეკემბერს მისთვის გაგზავნილი წერილით ვიგებთ, რომ იგი ჩეხეთის სავაჭრო საზოგადოების მდივანი და წევრი იყო.
2. „რესპუბლიკა“, ყოველდღიური არაპარტიული გაზეთი. თბილისში, 1917-1918 წლებში გამოდიოდა. მისი გამოცემა 1917 წლის 29 ივნისს (ძვ. სტ.) დაიწყო და 1918 წლის აპრილის შუა რიცხვებამდე გამოდიოდა. რედაქტორი იყო ნ.ა. დუბროვსკი, №109-დან გ.ნ. დიასამიძე და ა.ი. ჩხენკელი. გაზეთს გამოსცემდა კავკასიის პრესის ამხანაგობა ნ. ყანელიის წარმომავლობით. გაზეთის მუშაობაში მონაწილეობდნენ თვალსაჩინო ადგილობრივი ლიბერალები და სხვადასხვა პარტიების წარმომადგენელი სოციალისტები.

რასაც ადრე საუკუნეები სჭირდებოდა, ახლა, დანქარებული და სრულყოფილი კავშირის წყალობით, ორ-სამ ათეულ წელიწადში მიიღწევა. ამიტომაც დაუყოვნებლივ უნდა დაიწყო ტფილისში დიდი საერთო-კავკასიური ბიბლიოთეკის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო სტრუქტურის, დაარსება, დაკომპლექტება და კეთილმოწყობა. ასეთი წიგნსაცავის მიზანშეწონილობა და აუცილებლობა გამართლებულია არა მარტო განყენებული მოსახრებით, არამედ დღევანდელი პრაქტიკული საჭიროებებითაც არის განპირობებული. ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის დროს კავკასიაში განსაკუთრებული ავტონომიური მმართველობა არსებობდა; ახლა კი იქმნება მთელი რიგი ახალი საგანმანათლებლო, სოციალური, ეკონომიკური და სამეცნიერო. კავკასიის მომავალ პარლამენტს უეჭველად უფრო მეტი კომპეტენცია ექნება, ვიდრე სამხარეო და საოლქო კრებებს. პარლამენტის წევრებმა და ადგილობრივი საზოგადოებრიობის ყველა იდეოლოგმა და მუშაკმა განუხრებლად და ყურადღებით უნდა ადევნოს თვალი მსოფლიო პროგრესს, რომელსაც სარკესავით ასახავს მსოფლიო ლიტერატურა. მათთვის ეს პურია არსობისა. არ მისცე საზოგადო მოღვაწეს საშუალება, წაიკითხოს ახალი წიგნი მისთვის საინტერესო სფეროში, იმის ტოლფასია, რომ მეომარს ბრძოლამდე დაზვერვაში ხელი შეუშალოს. იმ კერძო პირთა მრავალრიცხოვან კოლექტივს, რომლებიც პუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ მეცნიერებებში მუშაობენ ან უბრალოდ ცოდნას ეწაფებიან, სრული უფლება აქვს სახელმწიფოსგან დახმარებას ელოდებოდეს და მოითხოვდეს კიდევ. უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები სწორად ვერ იფუნქციონირებენ და მაქსიმალურ სარგებელს ვერ მოიტანენ თუ უხვად და დროულად არ მომარაგდებიან წიგნებით. უგუნურება იქნება სკოლის შენობებზე, მასწავლებლებსა და მოწაფეებზე მილიონების ხარჯვა, თუ მეტისმეტ მომჭირნეობას გასწევნ წიგნებსა და სახელმძღვანელოებზე. სამწუხაროდ, ჩვენთან, რუსეთში დღემდე სწორედ ასე იყო. ჩვენში კაპიტალის სიმცირის და იმის გამო, რომ ვერ ხერხდება დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მსგავსად ყოველ სასწავლო დაწესებულებაში სანიმუშო ბიბლიოთეკის მოწყობა, დიდ სამხარეო ცენტრებში მაინც უნდა შევქმნათ ერთი დიდი, რაც შეიძლება სრული ბიბლიოთეკა, რომელიც გაქირავების წესით გასცემს ცალკეულ სასწავლებლებზე მათთვის საჭირო სამეცნიერო სახელმძღვანელოებს. ასეთმა ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ ხელი

უნდა შეუწყოს არა მარტო სკოლის, არამედ ყველა სხვა საზოგადოებრივ, კოლპერაციულ და საკლუბო ბიბლიოთეკასაც. ასეთი ფართო ამოცანების მქონე სახელმწიფო ბიბლიოთეკები უფრო მნიშვნელოვანი და საჭიროა, ვიდრე თეატრები, ყაზარმები ან ეკლესიები... ახლანდელ საომარ და არეულ პერიოდში, როცა ყოველგვარი ურთიერთობა მოშლილია, როცა ხაზინას ყველაზე გადაუდებელი საჭიროებებისთვისაც კი არ აქვს სახსრები, ასეთი დიდი ბიბლიოთეკის დაარსება და მოწყობა, ერთი შეხედვით, მეტად რთული საქმეა, თუმცა ეს მხოლოდ ჩანს ასე. რომ მოინახუბოდეს 10-12 დიდი ოთახისგან შემდგარი შენობა, დროებით მაინც, ყველა დანარჩენი სირთულე სწრაფად დაიძლეოდა და არც რაღაც განსაკუთრებული ხარჯები არ გახდებოდა საჭირო. პირველ რიგში საფუძვლად უნდა ავიღოთ კავკასიის მუხეუმის ბიბლიოთეკა, რომელიც 60 000-მდე ტომს ითვლის, და შევუერთოთ მას ყველა წიგნის მარაგი, სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებაში რომ ინახება. იმის გამო, რომ არ აქვთ სახსრები, ნაგებობა ან საბიბლიოთეკო გამოსცდილება, ეს მარაგი უმთავრესად მოუწესრიგებელია და ხშირად დერეფანში, სარდაფში თუ სხვენზე ყრია, ერთ ადგილას თავმოყრილი კი ძვირფასი მასალა გახდებოდა ცენტრალური სახელმწიფო ბიბლიოთეკის შესავსებად. მისი შემდგომი გაფართოება კი იმ სხვადასხვა დაწესებულებათა მხრიდან სპეციალურ ასიგნებათა ხარჯზე მოხდება, რომლებიც მოისურვებენ, კულტურული სოლიდარობის მიზნით, მონაწილეობა მიიღონ ასეთი დიდი სახელმწიფო დაწესებულებების შექმნაში. ბევრი კერძო პირიც გამოხნდება, რომელიც თავისი წიგნების კოლექციის ნაწილს სახელმწიფო ბიბლიოთეკას გადასცემს საერთო სარგებლობისთვის სამუდამოდ ან რამდენიმე წლით. უეჭველია, რომ სახელმწიფო ბიბლიოთეკის შექმნის იდეის, როგორც აღორძინების გზას დამდგარი მხარის ერთ-ერთი დიდი კულტურული და ეროვნული ამოცანის წამოყენებას შეიძლება ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ფულის დიდი ნაკადის შემოწირვა მოჰყვეს. შემომწირველები, რა თქმა უნდა, ომის შემდეგ გამოხნდებიან, სხვათა შორის საზღვარგარეთაც, სადაც კავკასიით ყოველთვის დიდად იყვნენ დაინტერესებული...” სტატიის დასასრულ კრუნისლავ გერუცი აღნიშნავს: “ტფილისში დიდი, კეთილმოწყობილი საყოველთაო ცენტრალური სახელმწიფო ბიბლიოთეკის შექმნა მთელი კავკასიისთვის სახალხო გათავისუფლების დიად წლისთავთან დაკავშირებით საუკეთესო ძეგ-



ozon.ru

ლი იქნებოდა. კრუნისლავ გერუცი”. 1917 წელს გახეთქილი „Республика” გამოქვეყნებულ მის მეორე სტატიაში იგი წერდა: „არსებობს ძველებური ანდაზა: “Inter arma silent (tacent) Musae”³. მისი გაბათილება მოხდა ჯერ კიდევ ძველ ათენში, შუასაუკუნეებში საფრანგეთში და რევოლუციურ პარიზში. ახლა მათ კვალს დაადგა ჩვენი თბილი წყლებით მდიდარი ტფილისი, რომელსაც სისხლი უდუღს. ჩვენმა ქალაქის თავმა საბიბლიოთეკო სხდომა მოიწვია და დროის მოთხოვნას აუწყო ფეხი; მან სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება არანაკლებ მნიშვნელოვნად და საშურად ცნო, ვიდრე კუჭის მოთხოვნების დაკმაყოფილება. სხვათა შორის, მოსკოვის საოლქო სასურსათო კომიტეტმა ჯერ კიდევ ოქტომბერში დაგზავნა ცირკულარი წიგნების, ქაღალდისა და კალმების ნაკლებობასთან ბრძოლის თაობაზე, ხოლო ამასწინათ შექმნილი წიგნის კოლპერაციის ანკეტამ ცხადყო, რომ ტფილისში, ერთი მხრივ, მრავალი ყველაზე დახვეწილი სამეცნიერო სპეციალობის და სულიერი კულტურის უამრავი სერიოზული მცოდნეა და რომ ცოდნის წყურვილი, გონების შიმშილი არანაკლებ გვტანჯავს და გვორგუნავს, ვიდრე პურის ნაკ-

ლებობა, ხოლო მეორე მხრივ, ანკეტით გაირკვა, რომ მოხარდ თაობას პირდაპირ ემუქრება ზედაპირულობა, ვინაიდან კავშირი არ აქვს სერიოზული ცოდნის ცოცხალ მატარებლებთან და ყოველგვარი ცოდნის პირველყარობთან – დიად მოაზროვნეთა ბეჭდვით შრომებთან. გვყავს სულიერი მეზობლი, მაგრამ არ გვაქვს ასპარეზი. თუმცა ასპარეზიც გვაქვს, თუმცა იგი დახურულია. არსებობს მდიდარი საჯარო ბიბლიოთეკა, მაგრამ წიგნები სქელ ყუთებშია ჩაწყობილი და უკვე ათი წელია ჩარახულია. ეს ძველი რეჟიმის კიდევ ერთი ილუსტრაციაა! სტატიაში „კავკასიის სახელმწიფო ბიბლიოთეკა”, უკვე აღნიშნული იყო, რომ სრულიად შესაძლებელია ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის გახსნა. მას შემდეგ ჩვენმა ფეროულმა სინამდვილემ ახალი ხელისუფლება, ახალი მთავრობა შექმნა. ამიტომ ახლა შესაძლებელი იქნება უბრალო „დეკრეტით” იმ დონისძიებების განხორციელება, რომლებიც საჭიროა არა მარტო ტფილისის ბიბლიოთეკის გახსნის, არამედ საერთოდ კავკასიაში წიგნის გამოსცემის და საბიბლიოთეკო საქმის მოწესრიგებისა და განვითარებისთვის. იმედი ვიქონიოთ, რომ

3 “Inter arma tacent musae” an “Inter arma silent musae”; ნიშნავს: „ქვემეხების გრილში მუხები სდუმან”.

მოწვეული საბიბლიოთეკო თათბირი, დროს არ დაკარგავს, როგორც ეს ჩვენში ხშირად ხდება, „პრინციპულ და აკადემიურ საკითხებზე, ისეთებზე, როგორცაა მაგალითად საკითხი, ბიბლიოთეკას სახელმწიფო უნდა ეწოდოს თუ საქალაქო, საჯარო თუ წიგნსაცავი. მთავარი, რისთვისაც უნდა ვიდგაწოთ და რასაც უნდა მივადწიოთ, არის ის, რომ ბიბლიოთეკა დაუყოვნებლივ გაიხსნას და გამოცხადდეს არა მხოლოდ ეროვნულ კუთვნილებად, არამედ სრულიად კავკასიის ეროვნულ სიწმინდედ, ყოველი კავკასიელის სიამაყედ, ენის, რელიგიისა თუ წარმომავლობის მიუხედავად. ბიბლიოთეკას რომ გავხსნით, გავზრდით და კეთილმოვაწყოთ, თავად ცხოვრება გვიჩვენებს სამერმისოდ რა მიმართულება მივცეთ, როგორ სრულდებოდეს. თათბირს ახლა ორი პრაქტიკული და ერთი თეორიული საკითხი აქვს გადასაწყვეტი. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ქალაქის ცენტრში მოინახოს დიდი, ნათელი, უსაფრთხო ადგილი, ვუწოდოთ მას „წიგნის სასახლე“, შემდეგ ვიშოვოთ რამდენიმე ათეული ათასი შენობის მოსაწყობად, წიგნების გადასატანად და განსათავსებლად, კატალოგების შესადგენად. თეორიულად საკითხი სავსებით მომწიფებულია – ეს არის „კავკასიის წიგნის პალატის“ შექმნა

და მოწყობა, რომლის ამოცანაც იქნება კავკასიის (ბიბლიოგრაფიული) მატიანეს გამოცემა, წიგნების რეგისტრაცია და სამეცნიერო საზოგადოებებსა და ბიბლიოთეკებს და მსგავს დაწესებულებებს შორის წიგნების გაცვლაში შუამდგომლობა როგორც კავკასიაში, ისე საზღვარგარეთ, და განსაკუთრებით ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. შემდგომში, სანამ კავკასიაში ცენტრალური ხელისუფლება უფრო გამოკვეთილ ფორმებს მიიღებს, შეიძლება ტფილისის საქალაქო გამგეობასთან შეიქმნას დროებითი ორგანო, რომელიც სისტემატურად იმუშავებს ამ მნიშვნელოვან კულტურულ საკითხზე. კავკასია ოდითგანვე ცნობილია როგორც იდუმალ სასწაულთა მხარე. ოქროს საწმისი, იალბუჯი, ყაზბეგი, არარატი. კავკასია აღმოსავლეთისა და დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კულტურების გადაკვეთის ადგილია... დაე კავკასიამ მთელი მსოფლიო დაარწმუნოს, რომ ისევე როგორც ათენში, ფლორენციასა და პარიზში, ტფილისშიც inter arma florent Musae!⁴ . კრუნისლავ გერუცი“.

ამ ბოლო ფრაზით იგრძნობა, რომ უკეთესობის იმედით ფრთაშესხმული შეპყრუებს კრუნისლავ გერუცი კავკასიის მომავალს.

მართლმადიდებელი მომსახურება

სოფი ბიხაშვილი

ერთი დღე ბიბლიოთეკის ცხოვრებიდან (თარგმანი ინგლისურიდან) *

თავი 2
საყმაწვილო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი

მე ვარ საყმაწვილო ბიბლიოთეკის უფროსი ბიბლიოთეკარი და ვმუშაობ სამხრეთ ნიუ-ჯერსის ერთ-ერთი ოლქის ექვსფილიალიანი საბიბლიოთეკო ქსელის ყველაზე დიდ ფილიალში. მე ვმუშავებ და ვუძღვები საყმაწვილო პროგრამებს, ვახორციელებ სხვადასხვა საპოპულარობის პროგრამას უფროსკლასელთათვის, ვემსახურები ბავშვთა განყოფილების სამკითხველო დარბაზს, ვეხმარები ბავშვებს, მოზარდებს

სა და მათს მშობლებს, როცა მომმართავენ რჩევისთვის, თუ რა ლიტერატურას ვურჩევდი მათ; ამასთანავე, პასუხს ვაძლავ საყმაწვილო ფონდის შევსებაზე, რომელშიც შედის მხატვრული და არამხატვრული ლიტერატურა, ჟურნალები, კომპაქტდისკები და დი-ვი-დი. ძირითადი მოვალეობების გარდა, ვარ რამდენიმე პროფესიული ორგანიზაციის, კერძოდ, ახალგაზრდების საბიბლიოთეკო მომსახურების ასოციაციის (YALSA, ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის ერთ-ერთი ქვედანაყოფის) და ნიუ-ჯერსის საბიბლიოთეკო

4. ზემოთ მოყვანილი ლათინური გამოთქმის პერიფრაზი „ქვემეხების გრაილში მუხები პყვიან“.

* გაგრძელება. დასაწყისი წინა ნომერში. იბეჭდება უმნიშვნელო შეცვლებით.

ასოციაციის (NJLA) წევრი. YALSA-ს წიგნების მიმოხილვის ელექტრონული დაგზავნის სიის, YALSA-BK-ს, ხელმძღვანელი ვარ. იგი ჩემი ფონდების განახლებაში მნიშვნელოვნად მეხმარება. იქ ყოველდღიურად განიხილება ისეთი საკითხები, როგორცაა მოზარდთა უფლებების დაცვა და ცენზურასთან გამკლავების ხერხები.

როგორც ნიუ-ჯერსის საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი, ვმუშაობ აღმასრულებელი საბჭოს ახალგაზრდების მომსახურების სექციაში და ვუძღვები ნიუ-ჯერსის საბიბლიოთეკო ასოციაციის ბლოგს. ასევე მიმოვიხილავ წიგნებს ჟურნალ Voice of Youth Advocates-ისთვის (VOYA „ახალგაზრდობის ხმა“), რედაქტირებას ვუკეთებ და თავადაც ვწერ ბლოგზე Pop Goes the Library („ბიბლიოთეკა ხდება პოპულარული“).

ეს ბლოგი მე შეგქმენი და იგი მიზნად ისახავს საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესებას მასობრივი კულტურის მეშვეობით). გარდა ამისა, ვაწყო სასწავლო კურსებს ბლოგებისა და RSS-ის მართვის, მასობრივი კულტურისა და ნიუ-ჯერსის რეგიონული საბიბლიოთეკო კოლაბორაციების ინტერნეტქსელის განვითარების საკითხებზე.

ჩემი სამუშაო დღე

ტიპური სამუშაო დღის უმეტეს ნაწილს ვატარებ საბავშვო განყოფილების სამკითხველო დარბაზში. დარბაზს მუდმივად ემსახურება განყოფილების ორი თანამშრომელი. შუალედებში, როცა მკითხველთა შეკითხვებზე არ მიწევს პასუხის გაცემა, ვასრულებ სხვა მოვალეობებსაც.

სამუშაო მაგიდასთან

ელ-ფოსტის შემოწმება და პასუხების გაცემა, დაგზავნის სიებით შემოსული შეტყობინებების მონიტორინგი და მათზე პასუხის გაცემა. ამას გამუდმებით ვაკეთებ, ბიბლიოთეკის ბლოგებში მასობრივი კულტურის, ბიბლიოთეკებისა და ტექნოლოგიების შესახებ საინტერესო სიახლეების მოძიება. აგრეთვე ლოგინგის-ის დახმარებით მონიტორინგს ვუწევ დაახლოებით ასამდე ბლოგს (გამუდმებით, თუმცა არასისტემატურად ვშლი და ვამატებ ახალ ბლოგებს). ჩემს ანკეტას დღეში სამჯერ, მკითხველებისთვის ლიტერატურის შერჩევასთან დაკავშირებით რეკომენდაციების მიცემა - ეს ჩემი საყვარელი საქმეა — ბიბლიოთეკარობაც, პირველ რიგში, მაგიტომ მინდოდა, თუმცა, როდესაც საბიბლიოთეკო ფაკულტეტზე საბუთები შევიტანე,

მაშინ ზუსტად არ ვიცოდი, რას გულისხმობდა ეს პროფესია. ძალიან მომწონს, როდესაც ბავშვებს, მოზარდებსა და მათ მშობლებს ვურჩევ, რომელია „საუკეთესო წიგნი“.

საყმაწვილო პროგრამების შემუშავება და მათი აღწერილობების მომზადება საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებისათვის. ჩვენ ვმუშაობთ კვარტალური გეგმით, ამიტომ სამი თვით ადრე ვგეგმავ პროგრამებს. ხშირად პროგრამებისათვის საინტერესო იდეებს ვპოულობთ YA-YAAC-იდან და TAGAD-L-იდან მიღებულ სიახლეებში. ზოგჯერ კონკრეტული პროგრამების შედგენის თხოვნითაც მოგვმართავენ და მაქსიმალურად ვცდილობ, ეს თხოვნები დავაკმაყოფილო.

ფონდების განახლებაზე მუშაობა. წიგნების შერჩევისას ჩემი უმთავრესი ბეჭდური წყარო არის ჟურნალი „ახალგაზრდობის ხმა“, თუმცა ასევე ვიყურები ხოლმე School Library Journal-ში („სასკოლო ბიბლიოთეკების ჟურნალი“) და ზოგჯერ „ბუკლისტში“ (Booklist). როდესაც ჟურნალების ფონდის შევსების დრო დგება, ჩვეულებრივ, ვათვალიერებ ხოლმე ჟურნალების სტენდებს აქაურ წიგნის მაღაზიებში. მუსიკის შემთხვევაში უმეტესად ვითვალისწინებ მოზარდების რჩევებს და ხანდახან ისეთ ჟურნალებში გამოქვეყნებულ რეცენზიებსაც, როგორცაა „სპინი“ (Spin), „ვაიბი“ (Vibe) და „ბლენდერი“ (Blender); ზოგჯერ MTV-ისა და MTV2-ის მრავალსაათიანი ყურებით მიღებული ინფორმაციაც მადგება.

ბლოგზე წერა. ვწერ მაშინ, როდესაც შთაგონებული ვარ რაღაცით: მაგალითად, საინტერესო რამ ამოვიკითხე ელ-ფოსტით მოსულ შეტყობინებაში, რომელიმე ბლოგზე, გაზეთში ან ტელევიზიით ვნახე. საშუალოდ, ჩემს პროფესიულ ბლოგზე Pop Goes the Library კვირაში ორიდან რვა სტატიამდე ვწერ. ჩემთვის ახლობელ თემებზე სისტემატურად წერის ჩვევა მეხმარება ჩემი აზრების დახვეწასა და საქმიანობის დაგეგმვაში. პროფესიულ საქმიანობასთან პირადი ინტერესების შერწყმამ გაამდიდრა ჩემი პროფესიული ცხოვრება და უკეთეს ბიბლიოთეკარად მაქცია. შეიძლება ამ მიდგომამ ყველა შემთხვევაში არ გაამართლოს, მაგრამ მე ძალიან დამეხმარა.

როდესაც არ ვზივარ სამუშაო მაგიდასთან

კვირაში ორჯერ ან სამჯერ მაქვს დროის მონაკვეთი, როდესაც მაგიდასთან მუშაობა არ მიწევს. ჩვეულებრივ, ამ დროს ვიყენებ შემდეგი საქმიანობისათვის: განვიხილავ პროგრამების დაგეგმვის დეტალებს; ვაღვენ მეცადინეობის

გვემან იმ საგნებისთვის, რომლებსაც ვასწავ-
ლო; ვკითხულობ პროფესიულ ჟურნალებს;
ვაწესრიგებ ჩემს მაგიდას, რომელიც ხშირ-
ად სავესტა საქალაქდებოთ, ელ-ფოსტიდან
ამბეჭდილი წერილებით, რომელთა შენახვა-
საც ვაპირებდი, გამომცემლების მიერ გამოგ-
ზავნილი საკორექტურო ამონაბეჭდებით და
სამუშაოსთან დაკავშირებული სხვა უამრავი
ფურცლითა და ნაგლეჯით.

მაქვს ნაკლებად ტიპური სამუშაო დღეე-
ბიც, როცა შეიძლება გავიდე რომელიმე ადგ-
ილობრივ სკოლაში, რათა შევხვედე სკოლის
ბიბლიოთეკარს ან ჩავატარო პრეზენტაცია
სკოლაში. მაგალითად, ამას წინათ შევხვ-
დი მეექვსეკლასელების სამ ჯგუფს მათი
სკოლის ბიბლიოთეკაში და ვასაუბრე მათს
საყვარელ მწერლებზე, მუსიკოსებსა და
კომიქსებზე. სხვა ჯერზე ორ დღეში მოვიარე
ადგილობრივ საშუალო სკოლაში მეცხრე
კლასის ინგლისური ენისა და ლიტერატურის
ოცდასამივე სექცია და ჩავატარე „საუბარი
წიგნებზე“, ანუ განვიხილეთ ბოლო დროს
გამოცემული ზოგიერთი წიგნი და რეკლამა
გავუწვიე საყმაწვილო პროგრამებს ჩემს ფილ-
იალში.

საერთოდ, ბიბლიოთეკის გარეთ ყოველთ-
ვიურად მაქვს ორი-ათხი შეხვედრა. NJLA-ს
(ნიუ-ჯერსის საბიბლიოთეკო ასოციაციის)
ახალგაზრდების მომსახურების სექცია შეხ-
ვედრებს აწყობს წელიწადში ექვსჯერ, ხოლო
NJLA-ს ბლოგების კომიტეტი — ყოველთვი-
ურად. გარდა ამისა, ვაწყობ მეცადინეობებს
ბლოგის წარმოების, RSS-ს, სხვა Web 2.0 ტე-
ქნოლოგიების, მასობრივი კულტურისა და
მოზარდთა მომსახურების შესახებ. ზოგჯერ
კოლეგებთან ერთად ვესწრები კვალიფიკაცი-
ის ამაღლებისთვის აუცილებელ ღონისძიე-
ბებსა და კურსებს.

თვეში ერთხელ ან ორჯერ დროს ვუთმობ
წიგნის რეცენზიის მომზადებას VOYA-სთვის.

დადებითი მხარე

როცა ვმუშაობ ბავშვებსა და მოზარდებთან,
ჩემს სტიქიაში ვარ. ძნელია ისეთი საქმის
პოვნა, რომელშიც დაცული იქნებოდა ბალ-
ანსი გართობასა და შესასრულებელი ამო-
ცანის სირთულეს შორის და, გარდა ამისა,
დასაქმებული იგრძნობდა, რომ თავისი პრო-
ფესიით ადამიანთა ცხოვრებაში სასიკეთო
ცვლილებები შეაქვს. პირადად ჩემთვის ახ-
ალგაზრდების ბიბლიოთეკარობა სწორედ
რომ იდეალური ვარიანტი გამოდგა.

რომ მკითხოთ, რომელია ჩემი კარიერის გა-
მორჩეულად სასიხარულო მხარეები, გეტყო-
დით, რომ, პირველ რიგში, ესაა მოზარდებთან

გრძელვადიანი ურთიერთობის შესაძლებლო-
ბა, რაშიც მეხმარება მათთან პირადი შეხვე-
დრები, საპოპულარიზაციო მუშაობა და ის,
რომ ცვდილობ, ბიბლიოთეკაში მოზარდები-
სადმი კეთილგანწყობილი გარემო შექმნა;
მოზარდებისათვის სრულყოფილი, მაღალხ-
არისხიანი საბიბლიოთეკო ფონდის შექმნა,
ისეთის, რომელიც ზუსტად ასახავდა მათ
ინტერესებსა და პრობლემებს; პროფესიული
განვითარება, რაშიც მეხმარება დარგობრივი
ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეო-
ბა, გამოსვლი და ახალბედა კოლეგებთან
ურთიერთობება (როგორც მასწავლებლის, ისე
მოწაფის როლში) და თემატური ტრენინგე-
ბის მოწაფობა; და ჩემი მრავალფეროვანი
ინტერესების — როგორცაა წიგნიერების
საკითხები, ლიტერატურა, თანამედროვე ტე-
ქნიკა, მოზარდთა განვითარება, ახალგაზრ-
დების უფლებათა დაცვა და პედაგოგიკა —
დაკმაყოფილება ყოველდღიური მუშაობის
პროცესში.

არტუთ ისე დადებითი მხარე

აღვნიშნო რამდენიმე ასპექტი, რომელიც არ
მომწონს ჩემს სამუშაოში. უარყოფით მხა-
რებს ვერ გაექცევი. გაგიზიარებთ ჩემი უკ-
მაყოფილების სამ მთავარ მიზეზს:

» დაბალი ანაზღაურება. შეუძლებელია ამ
საკითხის უგულვებელყოფა ან მისი შე-
ლამაზება. საყმაწვილო ბიბლიოთეკის
ბიბლიოთეკარად მუშაობით ვერასოდეს
გავმდიდრდები. ჩემი ოჯახის ბიუჯეტი
ყოველთვის იქნება საკმაოდ მწირი. მე ეს
სამსახური ამდ მიღირს, მაგრამ ყველას
შეიძლება არ უღირდეს.

» საბიუჯეტო კრიზისები. მათი პროგნო-
ზირებაც ძნელია და არც მათი გადატა-
ნა ადვილი. ჩემს ბიბლიოთეკას ახლახან
1 მილიონზე მეტი დოლარით შეუმცირეს
ბიუჯეტი. ჩვენს მატერიალურ რესურსებ-
ზე ამან ძლიერ არ იმოქმედა, თუმცა იმო-
ქმედა პროფესიულ განვითარებაზე. ახლო
მომავალში მე თვითონ მომიწევს კონფერ-
ენციებზე დასწრების ხარჯების დაფარვა,
რაც წინათ უმეტესწილად ბიბლიოთეკის
ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. ამასთანავე,
საბიუჯეტო კრიზისმა შეაჩერა ახალი
კადრების მიღება, რაც ნიშნავს, რომ ყვე-
ლა თანამშრომელი გადატვირთული და
გადაღლილია. ჩვენ ამ ქარიშხალს გავუ-
ძლებთ, მაგრამ საბიბლიოთეკო ქსელში
სრული დაფინანსების აღდგენას წლები
დასჭირდება.

» საზოგადოების მხრიდან აღიარების ნა-
კლებობა. როდესაც ვსწავლობდი საბიბ-

ლიოთეკო სასწავლებელში, სასაცილოდ
მეჩვენებოდა ხალხისთვის იმის ახსნა,
რომ ბიბლიოთეკარები მთელი დღე მს-
ოლოდ წიგნებს არ კითხულობენ, რომ ამ
სამსახურს მაგისტრის ხარისხი სჭირდებ-
ა და რომ ჩვენ, წიგნების გაცემის გარდა,
კიდევ ბევრ სხვა რამეს ვაკეთებთ. ახლა
სულ აღარ მეცინება. არ არის სასაცილო,
როდესაც ქუჩაში გამვლელმა რიგითმა
მოქალაქემ არ იცის, თუ რას აკეთებენ
ბიბლიოთეკარები მთელი დღე. დიდი მად-
ლობა ისეთ ტელესერიალებს, როგორები-
ცაა „კანონი და წესრიგი“ (Law & Order),
„ბოსტონის სამართალდამცველები“ (Bos-
ton Legal) და „სასწრაფო“ (ER), რომელთა
წყალობითაც ამ რიგითმა მოქალაქეებმა
ცოტა მეტი შეიტყვეს პოლიციის, იურის-
პრუდენციისა და მედიცინის შესახებ.
ახლა მსურს, რომ ბიბლიოთეკარებისა და
საბიბლიოთეკო საქმის მიმართაც გავუძ-
ვივო საზოგადოებას ინტერესი.

**მომზადება საყმაწვილო ბიბლიოთეკარობი-
სათვის.**

თუ თქვენ ჯერ კიდევ სწავლობთ საბიბ-
ლიოთეკო სასწავლებელში, გირჩევთ, ჩაეწ-
ერთო ყველა იმ სალექციო კურსზე, რომლებიც
ეხება ახალგაზრდებისა და მოზარდების მომ-
სახურებას. თუ ახლა აბარებთ საბიბლიოთე-
კო სასწავლებელში, კარგად გაარკვიეთ, მო-
ზარდთა მომსახურების რომელი სალექციო
კურსები არის ხელმისაწვდომი თქვენს სას-
წავლო პროგრამაზე. ბევრ რამეს საყმაწვი-
ლო ბიბლიოთეკარი ბიბლიოთეკაში მუშაო-
ბისას სწავლობს, მაგრამ ცუდი არ იქნება, თუ
თქვენი დიპლომის დანართიც აჩვენებს, რომ
საყმაწვილო ლიტერატურისა და ახალგაზრ-
დობის საბიბლიოთეკო მომსახურების დარგ-
ში რაღაც თეორიულ ცოდნასაც ფლობთ.

მიიღეთ მონაწილეობა პროფესიული სტა-
ჟირების ყველანაირ პროგრამაში, რომელსაც
კი თქვენი სასწავლებელი ან საბიბლიოთეკო
ასოციაცია შემოგთავაზებთ. (ეს შეგიძლი-
ათ გააკეთოთ მაშინაც კი, თუ უკვე დაამ-
თავრეთ სასწავლებელი და გსურთ პროფე-
სიული გადამზადება.) დაუდექით თანამემ-
წვედ გამოსვლილ საყმაწვილო ბიბლიოთეკარს
ერთი ან რამდენიმე დღით და თავად ნახეთ,
თუ როგორია ეს სამსახური. ძალიან კარგია,
რომ ახლა რასაც ვწერ, ამ ყველაფერს კითხ-
ულობთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ მე
ჩემი პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე
ვწერ: როგორც ისეთი ბიბლიოთეკის თანამშ-
რომელი, რომელიც უცხო ენების მცოდნე და

მეტწილად საკმაოდ შეძლებულ მომხმარე-
ბლებს ემსახურება. მუშაობის განსხვავებუ-
ლი პირობები იქნება უფრო მცირე ზომის,
შედარებით ღარიბი უბნების, სოფლის ბიბ-
ლიოთეკებში, თუნდაც ერთი და იმავე რეგიონ-
ული ქსელის სხვადასხვა ფილიალში. სა-
სურველია, რაც შეიძლება მეტი სხვადასხვა
ბიბლიოთეკის მუშაობას გაეცნოთ.

და ბოლოს, იკითხეთ ბევრი! წაიკითხეთ იმ-
დენი საყმაწვილო ლიტერატურა, რამდენის
შოვნასაც შეძლებთ! უშიშრად იკითხეთ სხ-
ვადასხვა სახის ლიტერატურა და შეიძლება
საკუთარ თავში ბევრი რამ აღმოაჩინოთ. მაგ-
ალითად, მე ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ფან-
ტასტიკის მოყვარული ვარ, მაგრამ მას შემ-
დეგ, რაც დავიწყე მოზარდებთან მუშაობა, აღ-
მოვაჩინე, რომ ეს ჩემთვის საყმაწვილო ლიტ-
ერატურის უსაყვარლესი ჟანრი ყოფილა. თუ
არ იცით, საიდან დაიწყოთ, დაათვალიერეთ
საყმაწვილო გამოცემათა ფონდის თაროები
თქვენს ადგილობრივ ბიბლიოთეკაში, სახლ-
ში წაიღეთ ყველაფერი, რაც მიგიზიდავთ, და
დაიწყოთ კითხვა. თუ გირჩევნიათ საკითხ-
ისადმი უფრო მიზანმიმართული მიდგომა,
გადახედეთ ყოველწლიურ „საუკეთესო საყ-
მაწვილო წიგნების სიას“ ან საყმაწვილო
საბიბლიოთეკო მომსახურების ასოციაციის
(YALSA) მიერ შედგენილ „წიგნების სიას ახ-
ალგაზრდა მკითხველებისათვის, რომლებსაც
არც ისე უყვართ კითხვა.“.

სასარგებლო წყაროები:

ქვემოთ ჩამოთვლილია იმ პროფესიული
ორგანიზაციების, ელ-ფოსტით დაგზავნის
სიების, პროფესიული ჟურნალების ბმულები
და ის წიგნები, რომლებიც წლების განმავ-
ლოვაში განსაკუთრებით გამომადგა.

პროფესიული ორგანიზაციები:

- ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაცია. www.ala.org (ნანახია 2006 წლის 1 თებერვალს).
- ცენტრალური ჯერსის რეგიონული საბიბ-
ლიოთეკო კოლპერატივი. www.cjrlc.org (ნანახ-
ია 2006 წლის 1 თებერვალს).
- ჰაილენდის რეგიონული საბიბლიოთეკო
კოლპერატივი. www.hrlc.org (ნანახია 2006
წლის 1 თებერვალს).
- „ინფოლინკი“ (INFOLINK): აღმოსავლეთი
ჯერსის რეგიონული საბიბლიოთეკო კო-
ლპერატივი. www.infolink.org (ნანახია 2006
წლის 1 თებერვალს).
- ნიუ-ჯერსის საბიბლიოთეკო ასოციაცია.
www.njla.org (ნანახია 2006 წლის 1 თებერ-

ვალს). სამხრეთი ჯერსის რეგიონული საბიბლიოთეკო კოოპერატივი. www.sjrlc.org (ნანახია 2006 წლის 1 თებერვალს).

საქმავილო საბიბლიოთეკო მომსახურების ასოციაცია (YALSA). www.ala.org/yalsa (ნანახია 2006 წლის 1 თებერვალს). YALS-ს კომიტეტის, სამუშაო და სადისკუსიო ჯგუფის აღწერილობები შეგიძლიათ ნახოთ ვებ-მისამართზე www.ala.org/ala/yalsa/aboutyalsab/yalsacommittee.htm (ნანახია 2006 წლის 1 თებერვალს).

ელ-ფოსტით დაგზავნის სიები:

TAGAD-L: საქმავილო საკონსულტაციო ჯგუფები — საკონსულტაციო სამსახურის განხილვა. lists.topica.com/lists/tagad-l (ნანახია 2006 წლის 1 თებერვალს).

YALSA-BK და YA-YAAC. www.ala.org/ala/yalsa/electronicresources/websitesmailing.htm (ნანახია 2006 წლის 1 თებერვალს).

ჟურნალები:

„სასკოლო ბიბლიოთეკის ჟურნალი“. www.schoollibraryjournal.com (ნანახია 2006 წლის 1 თებერვალს).

VOYA: „ახალგაზრდობის ხმა“. www.voya.com (ნანახია 2006 წლის 1 თებერვალს).

სხვა ონლაინრესურსები:

Connecting YA. www.connectingya.com (ნანახია 2006 წლის 1 თებერვალს). ეს არის ამავე სათაურის წიგნისა (და კიდევ სხვა წიგნების) თანმხლები ვებსაიტი. აქ შეგიძლიათ გაეცნოთ ამ წიგნის — უკვე მესამე გამოცემის — მცირე, მაგრამ სასარგებლო ნაწილს და უფასოდ ჩამოტვირთოთ წიგნის ავტორის, პატრიკ ჯონსის, პრეზენტაციები.

„საუკეთესო წიგნების სია ყმაწვილებისათვის“. www.ala.org/ala/yalsa/booklistsawards/bestbooksya/bestbooksyoung.htm (ნანახია 2006 წლის 1 თებერვალს).

„წიგნების სია ახალგაზრდა მკითხველებისათვის, რომლებსაც არც ისე უყვართ კითხვა“. www.ala.org/ala/yalsa/booklistsawards/quick-picks/quickpicksreluctant.htm (ნანახია 2006 წლის 1 თებერვალს).

ნიუ-ჯერსის საბიბლიოთეკო ასოციაციის ოფიციალური ბლოგი. blog.njla.org (ნანახია 2006 წლის 1 თებერვალს).

Pop Goes the Library („ბიბლიოთეკა ხდება

პოპულარული“). www.popgoesthelibrary.com (ნანახია 2007 წლის 3 მარტს).

yaARC. yaarc.blogspot.com (ნანახია 2006 წლის 1 თებერვალს). ეს ინტერაქტიული ბლოგი „შეიქმნა YALSA-BK-ზე საუბრის შედეგად. ეს არის ღია გვერდი, სადაც ახალგაზრდების მომსახურე ბიბლიოთეკარები, მეგობრები ან უფლებათა დამცველები განიხილავენ წიგნებს. ... ყოველ ჩვენგანს, ვისაც ხელი მიგვიწვდება წიგნების სასიგნალო ეგზემპლარებზე, ვუზიარებთ მათ ჩვენს მეგობრებს და ეს ბლოგი გაზიარების მოსახერხებელი ხერხია. ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია სხვისგან ითხოვოს ან სხვას ათხოვოს თავისი ეგზემპლარები — მთავარია, დროულად დააბრუნონ!“

წიგნები:

raun, Linda W. 2003. Hooking teens with the Net. New York: Neal-Schuman.

Horning, Kathleen T. 1997. From cover to cover: Evaluating and reviewing children's books. New York: HarperCollins.

Jones, Patrick, Michele Gorman, and Tricia Suel-lentrop. 2004. Connecting young adults and libraries: A how-to-do-it manual for librarians, 3rd ed. New York: Neal-Schuman.

LiBretto, Ellen V., and Catherine Barr. 2002. High/low handbook: Best books and Web sites for reluctant teen readers, 4th ed. Westport, Conn.: Libraries Unlimited.

Smith, Michael W., and Jeffrey D. Wilhelm. 2002. Reading don't fix no Chevys: Literacy in the lives of young men. Portsmouth, N.H.: Heinemann.

სტატია არის ამონარიდი წიგნიდან „ერთი დღე ბიბლიოთეკის ცხოვრებიდან: კარიერული წარმატება საბიბლიოთეკო საქმესა და საინფორმაციო მეცნიერებაში“ (პრისცილა კ. შონტზისა და რიჩარდ ა. მარის რედაქტორებით; Shontz, Priscilla K. and Richard A. Murray, editors. A Day in the Life: Career Options in Library and Information Science. Libraries Unlimited, 2007)

ინგლისურიდან თარგმნა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომელმა თინათინ სულუხიამ.

ფილოლოგიური ძიებანი

ბუნება სხეულის

ყაზბეგი არა მართო ჩვენ, მთელ კაცობრიობას უნდა ეკუთვნოდეს!

ს მ ბოლო ხანებში, ერთხელ კიდევ გადავაგლე თვალი ქართული მწერლობის ისტორიას. უამრავი მწერალი გვყავს პატარა თუ დიდი, კლასიკოსი, არაკლასიკოსი, დასავლეთელებად არც ერთი არ გვემეტება, თითოეულ მათგანს, ხომ თავისი ეპოქის სურნელი ასდის. მაძიებლის და მკვლევარისთვის ჩვენი მწერლების ნაღვაწი და შემოქმედება, სათითაოდ საინტერესო და საჭიროა, მათ ნაშრომებში ჩვენი ყოფის ისტორიის ნიშანები ჩანს, ზოგში მეტი სინათლით და სინამდვილით, ზოგში რაღაც კონტურებით, მაგრამ ეპოქის სუნთქვა მაინც იგრძნობა, მაინც ისახება მისი დროის ცხოვრების ესა თუ ის წესი, ადათი, ჩვეულება, ბევრი რამ, მკვლევარებმა კარგად იციან, რომ ამა თუ იმ მწერლის შემოქმედება კი არაა, ფურცელი და წერილიც არ არის დასაკარგი...

დაკარგული ნამდვილად არაა, მაგრამ, დღეისათვის არც მთლად გამოჩინებულია ჩვენი ერის ერთი დიდებული, მე ვიტყვი გენიოსი მწერალი - ალექსანდრე ყაზბეგი. ვფიქრობ, რომ ჩვენს საუკუნესაც სჭირდება მასზე და მის შემოქმედებაზე ზრუნვა და საუბარი. ძალიან დიდი შემოქმედია! ალბათ, ვერ შევძლებ იმ შთაბეჭდილებების გადმოცემას, რომელიც, თავის დროზე, ამ საოცრად და ძალიან, ძალიან ორიგინალურად მოახროვნე მწერლის ნაწარმოებებმა დატოვეს ჩემზე... დღეისთვის იშვიათად თუ ირჯება ვინმე მისი რომანებისა და მოთხრობების გამოსაცემად. თუმცა, ჯერ კიდევ 2005 წელს, გამომცემლობა „საქართველოს მაცნეს“ ყაზბეგის თხზულებათა ორტომეულის გამოცემისათვის არ უნდა დავეუკარგოთ ამაგი.

ალექსანდრე ყაზბეგი 1848 წლის 20 იანვარს დაიბადა. შემდგომში დიდი თარიღი 1864 წელი იყო, როდესაც ბატონ-ყმობა გადავარდა, მაგრამ ქართველ ბატონებს და გლეხებს აქედან არაფერი სიკეთე არ მიუღიათ. ძალიან ცუდი დრო იყო, რა უნდა მიეღოთ. ყვავს არა პქონდა და ჩხიკვს გაპქონდაო... დროის ქროლვას გადარიბებული და ძალაგამოცლილი ქართველი თავად-ახნაურობისთვის არაფერი საიმედო არ მოუტანია უცხო ტომთა ბატონობის პირობებში, ეს ზოგადად,

მაგრამ უმეტესობამ გაიაზრა რა დროის პოლიტიკური და სოციალური ვითარება, სწრაფად მოირგო რუსი ჩინოვნიკისა თუ ოფიცრის მუნდირი. უსახსროდ და უმიწოდ დარჩენილ გლეხებზე კი რა უნდა ვთქვათ.

16 წლისა იყო ამ დროს ალექსანდრე, შემდგომში გამომჟღავნდა, თუ როგორი გავლენა მოუხდენია იმ გარდაქმნებს, რომელმაც უარესობისკენ უბიძგა მის საყვარელ სამშობლოს და ხალხს. ეს უარესობა განსაკუთრებით შეეხო მთის მოსახლეობას. ისინი ამოვარდნენ განვითარების იმ ჩვეული კალაპოტიდან, რომელიც ეყრდნობოდა საუკუნეების მანძილზე გამომუშავებულ და გამობრძმედილ მთის ადათ-წესებს.

ალექსანდრე ყაზბეგი სტეფანწმინდაში, ხევის მებატონის - მიხეილ ყაზბეგისა და ელისაბედ თარხნიშვილის ოჯახში დაიბადა და არაჩვეულებრივ ფუფუნებაში იზრდებოდა. მასწავლებლები თავს ეხვივნენ, სხვადასხვა საგნებთან ერთად უცხო ენებსაც გულმოდგინედ ასწავლიდნენ. პატარაობიდანვე მოუსვენარსა და მოჩხუბარს დედამ მოჩხუბარიძე დაარქვა, ალექსანდრე ამ ზედსახელს მოზრდილობაშიც არ თაკილობდა. ფუფუნებასა და კარგ ცხოვრებას ბავშვობიდანვე გაურბოდა, სულ სოფლის ბიჭებთან უნდოდა ყოფნა, ეს თვისება შემდგომში კიდევ უფრო მეტად გამოამჟღავნა, როდესაც პეტერბურგიდან დაბრუნებულმა მთაში მეცხვარეობას მიჰყო ხელი. აი, საიდან მოდის ღარიბი და მშრომელი ხალხის ცხოვრებაში და, ზოგადად, ადამიანის სულსა და გულში ზედმიწევნით ჩახედულობა, უნივერსალურადაა ასახული მის შემოქმედებაში.

ალექსანდრე ყაზბეგი ქართული კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელია. მისი მშობლიური კუთხის და მთიელი ხალხის ყოფა-ცხოვრების ზედმიწევნით ცოდნამ ხელი შეუწყო მის ნიჭიერებას, მის კალამს, რომ ქართული მწერლობა გაემდიდრებინა ძლიერი მხატვრული ტილოებით, ისეთი რომანებით, რომლებშიდაც ვირტუოზული, ლიტერატურული და ფსიქოლოგიური ხერხებით გამოყვანილი გმირები გვაცნობენ მთის ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილ და

შემუშავებულ ტრადიციებს, ადამიანის უფლებება- მოვალეობებს თემისა და პიროვნების ურთიერთობის ფარგლებში.

ეს ადათ-ჩვევები რაიმე განყენებული და თავსმოხვეული ძალა როდია, იგი ბუნებრივად განფენილია მთიელი კაცის სხეულსა და სისხლ-ძარღვში, შემოსულია გორიანი მთებისა და მკაცრი, მაგრამ ამავე დროს უღამაზესი, მომხიბვლელი ბუნების სამყაროდან და სიცოცხლის სიყვარულის დაუოკებელი გრძობით ავსებს და აკეთილშობილებს ყაზბეგის გმირების მედვარ, გაუტეხავ ხასიათს. ასეთი ხასიათი კი ნებისმიერი ეროვნების ადამიანისთვის დიდსულოვნებისა და გონების აღმატებულობის ნიშანია, საამაყოა, მისაბაძია. მაგრამ ყაზბეგი რა ყაზბეგი იქნებოდა, რომ იქვე, ამ ვაჟკაცი და უხადო ადამიანების გვერდით, კეთილისა და მშვენიერების გვერდით არ დაენახა ბოროტება, უსახურება, ადამიანობის დამამცირებელი და წამშლელი თვისებების მატარებელი არსებები, სამწუხაროდ, მათაც ადამიანები ჰქვიათ. ასეთები ყველა ეპოქაში და ყველგან იბადებიან და რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, მიუხედავად იმისა, რომ მათთან ბრძოლაში ხშირად სიკეთე მარცხდება, მაინც, სწორედ ისინი აძულდებიან კაცობრიობას ცივილიზაციისკენ აღმასვლას...

ყაზბეგის თითოეული მოთხრობა თუ რომანი სულმოუთქმელად და თრთოლვით იკითხება. რა გულმა, რა ნიჭმა, რა ხელმა დაწერა, - ვფიქრობთ მათი წაკითხვისას, თანაც როგორი მიმზიდველი და განსაკუთრებული ენით. ამ ენით და მთაში დამკვიდრებული ვაჟკაცობისა და კაცთმოყვარეობის მაჩვენებელი საგანგებო ადათებით შეგვაყვარა ყაზბეგმა ჩვენი სამშობლოს ეს წარმტაცი კუთხე. რომანების ენობრივი ფერადოვნება კი ისე ამშვენებს, ისე საოცრად აღამაზებს ყაზბეგის ლიტერატურულ ტილოებს, ისე გვიხიბლავს და გვაინტერესებს, როგორც აღორძინების ეპოქის მხატვრების, გნებავთ იმპრესიონისტების საღებავებით მოხატული სურათები.

ადამიანის ვაჟკაცური და გაუტეხელი ხასიათი წარმოგვიჩინა ყაზბეგმა მთიელების სრულიად ახალ ძალასთან ბრძოლაში, რომელზედაც ზემოთ ვისაუბრეთ. რუსის ჯარებმა „საჭირო ადგილები და სოფლები დაიჭირეს და იქამდინ გაამაგრეს, რომ ყოველივე მოძრაობა მთის ხალხისაგან თითქმის შეუძლებელი შეიქნა“-ო, ამბობს მწერალი რომანში - „ელგუჯა“, ამ რომანში ხევის ცხოვრებაა გაშლილი მხატვრული ელფერითა და მოქმედ პირთა ხასიათების მარტივად

და ბუნებრივად წარმოჩენით. რომანში განვითარებული მოვლენები ადამიანის სულში და გულში იჭრება, აღწერილ გარემოსა და გარემოებაში გადაჰყავხარ, თან მწერლის საოცარი ფუნჯით დახატულ გმირებს გაყვარებს, გაძმობილებს, მათ ჭირსა და ღიზს გაზიარებს... ვინ არის ელგუჯა? იგი ერთი იმ ყარაულთაგანია, დარიალის უზარმაზარ მთებთან, ვიწროდ გაყვანილ გზას საქართველოს დაუპატიუბელი სტუმრებისაგან რომ იცავს. იგია „ქმადწილი ჭაბუკი, ოცდაორი წლისა, ტანადი, წარმოსადგეი, ხევი განთქმული ვაჟკაცობით და „ქმანდრობით“. ამასთანავე, როგორც მომეტებული ნაწილი მოხვევებისა, გულწრფელი და საიმედოა.“ დიახ, ამ უბრალო, მაგრამ მშვენიერ მოხვევში განაზოგადა ყაზბეგმა საკაცობრიო მნიშვნელობის, ადამიანურობის თვისებებით, გრძობებით უხვად დაჯილდოებული ადამიანი, რომელსაც თავგანწირვით უყვარს სამშობლო, იცის მეგობრის ერთგულება, ქალის სიყვარული და მისი პატიოსნების დაცვა, ეტრფის ყოველგვარ სიღამაზეს და ის, რაც განსაკუთრებით ამადლებს მას, ეს არის ღტოლვა თავისუფლებისაკენ. მწერალი გვიამბობს, ბუნების მშვენიერებით მოხიბლულმა ელგუჯამ თუ როგორ „დანატრა იმ ბედნიერებს, რომელთაც თავისუფლად შეეძლათ ამ ადგილების მშვენიერებით დატკობა.“ მაგრამ ელგუჯა არ არის თავისუფალი. იგი მძაფრად გრძნობს იმ მუხრუჭებს, რომელსაც არც ადგილობრივი, ყოფილი ბატონები თუ ახალი დროის კვალბაზე გაბატონებულები იშურებენ მთის უბრალო მცხოვრებთათვის. ამ მუხრუჭებმა მკვეთრად იჩინა თავი ელგუჯასთან მას შემდეგ, რაც მას დაღესტნიდან მოტაცებული და სოფლის ახალ წურბელაზე, რუსების სამსახურში ჩამდგარ ოფიცერ გაგიზე მიყიდული ქალი, მზადო შეუყვარდა. მას არ აქვს უფლება შეირთოს მისი რჩეული, საყვარელი ქალი - ის უპირისპირდება ამ ტყვე ქალის მეპატრონეს - და აი, ასე, მძიმე ჯვარმოკიდებული უწევს ელგუჯას ეკალ-ბარდებით გახიდულ გზაზე სიარული. ამ რომანის საინტერესო სიუჟეტი ტრაგიკულად მთავრდება... და მთავრდებოდა უფრო ადრე, ვიდრე თავდაპირველი ვარიანტით წარუდგინა მკითხველებს მწერალმა. მაგრამ საოცარია! ასეთი რამ თითქმის ჯერ არ მომხდარიყო ქართული მწერლობის ისტორიაში, წიგნის გამოცემაზე მომუშავენი დაჟინებით ითხოვდნენ რომანის გაგრძელებას. ვერ აეტანათ ესოდენ საყვარელი გმირის - ელგუჯას ადრიანი სიკვდილი. მწერალი იძულებული გახდა, მათი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა... არ დაგვავიწყდეს და ამ

დროს საქართველოში წერა-კითხვის დაბალი ცოდნაა, მაგრამ ყაზბეგის გულისა და სულის წარმტაცმა რომანებმა ბევრს კალამი და წიგნი ააღებინა ხელში!

კიდევ უფრო მძაფრი სიუჟეტით ვითარდება რომანი „მამის მკვლელი.“ ბატონყმობის პირობებში მცხოვრები მთის გლეხები რუსების შემოსვლის შემდეგ კიდევ უფრო დაჩაგრა მათთვის გაუგებარმა რუსულმა კანონებმა და მოთხოვნებმა. რომანში ნაჩვენებია რუსი მთავრობის უხეში, უსამართლო და დამამცირებელი დამოკიდებულება მთის ადგილობრივი მოსახლეობისადმი. სოფელს მძიმე ტვირთად აწვა დიამბეგის თანმხლები რაზმები, შემდგარი „ან მთის ოსებისაგან, რომლებიც ძმას გროშხედ გაჰყიდნენ და დედას მშობლად არ უყურებენ. ან კიდევ იმ მოხვევებისაგან, რომელთაც დაეკარგათ უწინდელი სვინდისი და პატიოსნება, გარყენილიყვნენ ახალი წყობილებისაგან და დაევიწყნათ ხალხთან ის დამოკიდებულება, რომელიც უწინდელ დროში ისე წმინდად ინახებოდა“-ო... - გვიამბობს თავად მწერალი. დიამბეგისა და მისგანვე გარყვნილი, მთის ხალხის ნამუსისა და ჩვეულებების გადამღახველი გრიგოლას უსამართლობის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ რომანის მთავარი მოქმედი პირები - იაგო, კარგი გარეგნობის ახალგაზრდა ვაჟკაცი, „მარჯვე, ყოჩაღი, გულადი და მოაზრებული“, მისი ძმადნაფიცო - კობა და თექვსმეტი წლის უღამაზესი გოგონა - ნუნუ. ფაქიზი და წმინდა იაგოსა და ნუნუს სიყვარული, ამადელვებელია მათი მძიმე, ტრაგიკული ცხოვრება და მათთან ერთად სხვა მოხვევებისა, რომლებიც მტკიცედ იცავენ ძმადნაფიცობას, მეგობრობას არა მარტო ქართველ მოხვევებთან, არამედ კავკასიის სხვა ერის წარმომადგენლებთანაც. გამორჩევიან პატიოსნებით, ვაჟკაცური შემართებით, ერთგულებით და სამშობლოს სიყვარულით.

აღუქსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებებში ვერ ვნახავთ ვერანაირ ფანტაზიას, დროით, გარემოებით და ისტორიული მოვლენებით არის შექმნილი ის რეალური ფონი, რომლითაც წარმოჩინდებიან ყაზბეგის გმირები. ამ ადამიანებს, რომლებიც მთაში დაიბადნენ, გაიზარდნენ, მთის ადათ-ჩვევებს შეესისხლხორცნენ, ძალიან უჭირთ იმ სინამდვილის შეგუება, რაც რუსმა თვითმპყრობელობამ ერთნაირად მოუტანა მთის ხალხს - დაღესტნელს თუ ქართველს. ამ ხალხებში, რელიგიური განსხვავების მიუხედავად, მტკიცედ არის ჩანერგილი ერთურობისადმი პატივისცემა, სიყვარული, ერთგულება, ძმადნაფიცობა რომანში საინტერესოდ არის აღწერილი

შამილი და მისი ნაიბები, მეომრები, რომლებთაც უკვირთ ამ მსახვრალ რუსულ წყობას და უკანონო კანონებს როგორ ემორჩილებიან კავკასიის სხვა მცხოვრებნი... რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლ შამილს, რომელსაც ამისა და სხვა ადამიანური ღირსებების გამო დიდი ავტორიტეტი ჰქონდა იმდროინდელ კავკასიაში მოპოვებული, რომანის გმირებიც იმედინად შეჰყურებდნენ და მზად არიან, შეუერთდნენ შამილის რაზმებს.

ავ ძალასთან უთანასწორო ბრძოლაში იღუპებიან იაგო და მისი მეგობრები, ხოლო, აღმაშფოთებელია და შემზარავი ნუნუს დაღუპვის სურათი: თავად სინდისგარეცხილმა გირგოლამ მოახერხა და მისი შურისა და გადაგვარებული ხასიათის გამოისობით მამის მკვლელად შერაცხული ნუნუ სამარცხვინო ბოძზე გააკურვეინა. კეთილშობილებით და იაგოსადმი წრფელი სიყვარულით გამსჭვალული ნუნუ ტანჯვით იღუპება. ყაზბეგი კეთილისა და ბოროტის. ჰუმანურობისა და ანტიჰუმანურობის ასახვის გენიალური მხატვარია, იშვიათია ლიტერატურაში ადამიანის ბუნების ტრაგიკულ ფორმაში გარდასახვის ისეთი სურათი, როგორიც მას „ხევისბერ გოჩაში“ აქვს აღწერილი. მამა თავის ერთადერთ შვილს მოსაკლავად იმეტებს და ყველაფერი ამის მიზეზი ორივე მხრიდან არის სიყვარული! ონისე ქალის სიყვარულმა გაიტაცა და მოვალეობა დაავიწყებინა, ხოლო ხევისბერს სამშობლოს სიყვარულმა შვილი გააწირვინა, ბოლოს კი საყვარელი შვილის დაკარგვამ ჭკუიდან გადაიყვანა. ხევიში გამორჩეული, უჭკვიანესი კაცის სიცოცხლე ტყე-ტყე უგზო-უკვლოდ ხეტიალში დასრულდა. შექსპირი მაგონდება, რა შედარებააო, იტყვიან ალბათ, მაგრამ სიღიადით გვანან ისინი ერთმანეთს და იმ ლიტერატურული ხერხებით, რომლითაც თითოეული თავისებურად, განსხვავებულად, მაგრამ მათ მიერ აღწერილი, ადამიანის ბუნებაში ჩადებული სიკეთის თუ ბოროტების, შურისა თუ სისასტიკის აღწერა და გადმოცემა ერთნაირი ძალით და მომწესხველობით მოქმედებს მკითხველზე და ტოვებს დაუვიწყარ შთაბეჭდილებას. აი, რატომ არის ყაზბეგი კლასიკოსი მწერალი და რატომ უნდა ეკუთვნოდეს იგი არა მხოლოდ ქართველ ხალხს, არამედ დედამიწის ყველა კონტინენტის ცივილიზებულ საზოგადოებას. აუცილებლად საჭიროა გამოიცეს ყაზბეგის რომანები არა მხოლოდ კრებულების სახით, არამედ ცალ-ცალკე: „ელგუჯა“ „ხევისბერი გოჩა“, „მამის მკვლელი“ და სხვა, მსოფლიოს მკითხველ საზოგადოებისათვის მისაწოდებლად მრავალენაზეც უნდა ითარგმნებოდეს.

ბაჰაე თაყნიაშვილი

იოანე ბატონიშვილი წიგნისა და კითხვის შესახებ

იოანე ბატონიშვილი - 250

იოანე ბატონიშვილი (1768-1830) იყო ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII -ს შვილი. ქართველ განმანათლებელთა შორის ცნობილია როგორც ენციკლოპედისტი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი. მისი მრავალმხრივი მეცნიერული ცოდნა წარმოდგენილია ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომში „კალმასობა“ ანუ „ხუმარსწავლა“. ნაშრომი დაწერილია 1813-1828 წლებში. იგი ასახავს საქართველოში მეცნიერული ცოდნის დონეს მე-18-19 საუკუნეთა მიჯნაზე. ნაშ-

ქსტი გაჯერებულია დიალექტიზმებითა და მსუბუქი იუმორით, რაც ნაწარმოებს აძლევს სახალისო იერს. „კალმასობაში“ თხრობა მიმდინარეობს ორი მთავარი პერსონაჟის - იოანა ხელაშვილისა და მისი მხლებელი გლეხის ზურაბ დამბარაშვილის დიალოგის სახით. მათი ფათურაკებით აღსავსე ცხოვრება და მოგზაურობა ნათლად გვიხატავს იმდროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრებას, ისტორიას, პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას და სწავლა-აღზრდის მდგომარეობას. ნაშრომში დაუზოგავად არის გაკრიტიკებული იმდროინდელი საზოგადოების მაღალი ფენების ზნეობრივი დაკნინება, მოხელეების ანგარება და უმეცრება, სამღვდელოების ფარისევლობა და სხვა სახის მანკიერებანი. ღრმად პატრიოტული და ჰუმანისტური იდეებით გამსჭვალული ეს ნაწარმოები არსებითად რეალისტური შემოქმედებითი მეთოდით გამართული ნაწარმოებია, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ ძველი ქართული ლიტერატურის პირველ თვალსაჩინო ძეგლად. „კალმასობის“ ხელნაწერი აღმოაჩინა დ. ბაქრაძემ 1861 წელს. ტექსტი შემოკლებით გამოიცა 1862 წელს.

„კალმასობაში“ ავტორს ჩამოყალიბებული აქვს საკუთარი შეხედულებები სწავლა-განათლებლასა და მწიგნობრობის შესახებ. საინტერესოა იოანე ბატონიშვილის მიერ წარმოდგენილი წიგნის სტრუქტურა. წიგნის ნაწილები ასეთი თანმიმდევრობითაა დახასიათებული: „წიგნი ნიადაგ განიყოფებიან ნაწილებად, თავებად, პარაგრაფებად და მუხლებად. ნაწილნი არიან უმთავრესნი განყოფილებანი წიგნისანი, რომელთაცა შინა იპყრობიან თავნი, პარაგრაფნი და მუხლნი. თავნი განიყოფებიან ნაწილებად და იპყრობენ თვის შორის უმთავრესთა აზრთა მის ნაწილისათა, რომელნიც შედგებიან პარაგრაფთაგან და მუხლითა. პარაგრაფნი იპყრობენ თვის შორის სრულთა აზრთა თავთასა მოკლედ განყოფით უმეტესისა ბრწყინვალეებისა და შემეცნებისა აზრთა და ხშირად დასვენებისათვის მკითხველთასა და განსხვავებისათვის აზრთა კითხვასა შინა, რომლის ნიშანია §. მუხლი არის მოკლე წევრი თავთა, მაგალითად, საღვთო წერილისა, ანუ პარაკლისის მუხლები. შაირთა შინა მუხლთა მაგიერ ითქმის



რომში თხრობის ორიგინალური სტილითაა წარმოდგენილი ცნობები საბუნებისმეტყველო და ჰუმანისტარულ მეცნიერებათა ყველა დარგიდან. ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი თარგმნილია უცხოური წყაროებიდან. ნაშრომში საყურადღებო და განსაკუთრებით ფასეულია მისი შეხედულებები საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის შესახებ. „კალმასობაში“ ავტორისეული თხრობა მოსაწყენი რომ არ ყოფილიყო, არჩეულია თხრობის თავშესაქცევი სტილი. ტე-

ტაეპნი, შემდგარნი რიცხვებითა მარცვალთათა, ხოლო შაირნი არიან ორტაეპოვანნი, სამტაეპოვანნი და ოთხტაეპოვანნი და ესრეთ უშორეს; ხოლო იამბიკონი არიან საშუალ შაირთა და წერილობითთა აზრთა შინა; შემდგარნი მარცვლოვან ხუთ ტაეპად.

საზოგადოებრივი წოდებითაც წიგნი არის სხვადასხვა გვარის, რომელ ერთსა მთელსა ყოველადსა ისტორიასა, თუ მოთხრობასა უწოდებენ წიგნად. აგრეთვე სიგელსა წყალობისა წიგნად იხსენებენ, მეფისაგან მინაწერთა იერლიყად, ანუ ოქმად. ურთიერთშორის მინაწერთა წიგნთა, რომელიც შეიცავს თვის შორის აზრსა სწავლისა ანუ მხილვებისასა, ანუ მოკითხვისასა - უწოდებენ ეპისტოლედ; მეფესთან მირთმეულ წიგნსა პროზას უწოდებენ; ურთიერთშორის მინაწერთა წიგნსა უწოდებენ უსტარს; ეკლესიისა მამულთა ადგილთა და შეწირულობათა წიგნთა უწოდებენ გუჯარად; თეთრი თუ ვისმე აულია ვინმესგან, ან გაუსესხებია თეთრი - თამასუქს უწოდებენ; მამული თუ უყიდნია ვისმე, ნასყიდობისა წიგნს უწოდებენ; წერილთაგან არის აგრეთვე მოწმობის წერილი, პირობის წერილი, სამართლის გადაჭრილი საკითხი აღწერილია განაჩენში. ყოველი ეს წერილთაგანი თავის შინაარსში შეიცავენ სრულ შინაარსს სახეობათა მიხედვით. ცალკეული აზრები და დასკვნები წარმოდგენილია პუნქტებში“.

როგორც ვხედავთ, „კალმასობაში“ წიგნის ნაწილებთან ერთად, განხილულია წერილების (იგივე წიგნების) სახეობები, ტიპები მათი დანიშნულების მიხედვით. ცნობილია, რომ ძველ ქართულში წიგნის ცოდნა იგივე წერა-კითხვის ცოდნას ნიშნავდა. იოანე ბატონიშვილის აღნიშნულ თხზულებაში წიგნი, წერილი გაგებულია როგორც სწავლისა და განათლების უპირველესი წყარო, საშუალება. ამიტომ მიიჩნია ავტორმა საჭიროდ ცალკე წარმოდგინა მათი სტრუქტურა და ტიპები.

საინტერესოა „კალმასობაში“ ავტორის მოსაზრებები წიგნის კითხვის წესებისა და ტექნიკის შესახებ. ასეთი შეხედულებები ავტორმა ჩამოაყალიბა ნაშრომში ცალკე თავის სახით. კითხვის წესები შემოკლებული ფორმით ასე წარმოგვიდგება:


- „1) წაიკითხე პირველად წიგნის წინასიტყვაობა და ზანდუკი მისი;
- 2) წაიკითხე მრთლად წიგნი იგი წესისა და კანონისამებრ და ნუ გასწყვეტ კითხვასა პარაგრაფამდე, ანუ მუხლებამდის, რათა არ გაწყვიტო აზრი და არ დაგრჩეს უცნობი ადგილიც;
- 3) წაიკითხე ყოველივე თავნი სრულებით სრულისა განმსჯელობითა, რათა მით აღ-

ვილად შეძლო განარჩიო სიცრუე ჭკმ-მარიტებისაგან;

4) წინააღმდეგობათა შემთხვეულთა წერილთა ნურასოდეს წაიკითხავ, რათა არა შთაინერგოს გონებათა შინა შენითა წინააღმდეგობანი;

5) წაიკითხე უმეტესად წერილნი, რომელნიც ეკუთვნიან სარგებლობასა შენსა, ანუ წინადადებულსა შენ მიერ საგანს, ანუ განზრახულობასა;

6) წაიკითხე ძილისაგან აღდგომილმან დილით უფროსე საჭირო წიგნი, შემდგომად სადილისა - სასიამოვნო წერილნი; ხოლო მწუხარსავე კვლად მოიქეც საჭიროებისადმი წერილისა;



7) წარკითხვათა შინა ღირსსახსოვარნი სიტყვანი შენიშნენ და „კვლად განიმეორენ წაიკითხულისა შინა უმჯობესნი აზრნი და უსარგებლონი სიტყვანნი გამოსწერენ და გამონაწერნი იქონიე შენსასა და მაღი-მალ წარკითხე იგინი, რათა ადვილად დაიხსომო და ამა დონით სრულყოთ აზრი თქვენი.“
ავტორი აქვე მინაწერის სახით აღნიშნავს,

რომ ეს არის მოკლე განმარტება წიგნისა კითხვისა და აზრის დახსომებისათვის. აქ იოანე ბატონიშვილი იმოწმებს ჰორაციუსის აზრს წიგნის კითხვის შესახებ: „სწავლათა უკვე კანონნი იფიქრე მიმოგონებით, ყოვლისთვის იქმენ მოკლედ წერად, რათამც იქმენ შეგონებით“. წიგნის სტრუქტურასა და კითხვის შესახებ საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბების შემდგომ ავტორი საჭიროდ მიიჩნევს მოკლედ აღწეროს წერილობითი ძეგლების საწერი მასალები, ანუ რაზედაც იწერებოდა წერილი, წიგნი: ავტორი აღნიშნავს, რომ როდესაც საქართველოში შემოიღეს წერა ხმარობდნენ „თხის ტყავს, გაყვლევილსა და მოქნილს, მსგავსად ეტრატისა და ფიცართა გათხელებულთა, ხის ქერქთა გათლილთა და ძროხის ბეჭთა გამოხარშულთა და ხორცთა გაძრობილთა, რომელსაც ახლა ასწავლიან ყრმათა ბეჭთა ზედა წერას“. ასეთია შემოკლებული ამონარიდები „კალმასობიდან“ წიგნის სტრუქტურისა და კითხვის შესახებ. ამ კუთხით თუ განვიხილავთ აღნიშნულ ნაშრომს, შეიძლება დავასკვნათ, რომ მას თვალსაჩინო ადგილი უკავია ქართული წიგნმცოდნეობისა და წიგნის ისტორიის დარგებში.

მკითხველი ენციკლოპედიური ხასიათის ამ ნაშრომში ამოიკითხავს საინტერესო ცნობებსა და ფაქტებს მეცნიერების ყველა დარგიდან. იოანე ბატონიშვილის დაბადებიდან 250 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში დეტალურად უნდა იქნეს განხილული „კალმასობის“ ცალკეული თავები, რათა უკეთესად წარმოჩნდეს ავტორის ენციკლოპედიური ცოდნა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული თუ პრაქტიკული ღირებულება.

იოანე ბატონიშვილის თხზულებათა ძირითადი გამოცემები:

1. კალმასობა//ქართული მწერლობა.-ტ.8.-თბ., 1990.- გვ. 358-589;
2. კალმასობა//ქართული პროზა.-ტ.6.-თბ., 1984.- გვ.7-577;
3. კალმასობისეული ქართული გრამატიკა: ტექსტი მოამზადა ნ. კოტროვმა.-თბ., 1986.- 160 გვ.;
4. საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი.-თბ., 1986.-280 გვ.;
5. სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი).- თბ., 1957 .- 116 გვ.;
6. ხუმარსწავლა: კალმასობა: 4 წიგნად .- თბ., 1990-1991.

ლიტერატურა იოანე ბატონიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ:

1. დავით და იოანე ბატონიშვილის ლექსიკოგრაფიული ნაშრომი. - თბ., 1967;
2. ზანდუკელი, მ. ახალი ქართული ლიტერატურა.- ტ.1.- თბ., 1956.- გვ.13-25;
3. კალანდაძე, ა. გვაქვს საგანძური.- თბ., 1986.- გვ.125-139;
4. კუკავა, თ. ნარკვევები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებისი და ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან.- თბ., 1956.- გვ.88-94;
5. სურგულაძე, ი. ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან.- თბ., 2001.- გვ. 262;
6. ტალიაშვილი, ა. იოანე ბაგრატიონის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები.- თბ., 2006.- 207 გვ.;
7. ქიქოძე, გ. რჩეული თხზულებანი.- ტ.1.- თბ., 1963.- გვ. 55-64;
8. კანდელაკი, ნ. ქართული მჭერმეტყველება.- თბ., 1975.- გვ.60-64.

ხორეასკონლანციი

ინა ბოლანაშვილი

მკითხველთან ურთიერთობის პრიორიტეტი

3 იდრე ჩვენი მოღვაწეობის შესახებ ვისაუბრებთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ არის ორგანო, რომელიც საშუალებას იძლევა საბიბლიოთეკო საზოგადოებას დაამყაროს ურთიერთკავშირი, გავეცნოთ სიახლეებს, მივიღოთ ინფორმაცია, ჩვენი თავი გავაცნოთ კოლეგებს. ამიტომაც დიდი ინტერესით ველოდებით მისი ყოველი ნომრის გამოქვეყნებას. ამჟამად საიუბილეონომერი გამოდის, გვინდა მილოცვით აღვნიშნოთ ეს დღე და გუსურვოთ რედაქციას შემგომი წარმატებები.

პატივისცემით,
გურჯაანის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანების ორგანიზატორი
ლ. გოდელაშვილი

გურჯაანის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობა არის 75 647, ქალაქის ცენტრში - 10129, ხოლო სოფლად - 65 518.

2007 წელს მუნიციპალიტეტში გვქონდა მხოლოდ ერთი ბიბლიოთეკა. 2008 წლიდან დაიწყო ბიბლიოთეკების რეაბილიტაცია. გასულ წელს აღდგა 3 ბიბლიოთეკა. ამჟამად მოსახ-

ლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურებას აწარმოებს 12 სასოფლო და 1 ცენტრალური ბიბლიოთეკა, სულ - 13.

მოსახლეობის ინფორმირებულობისათვის არსებულ ტრადიციულ საბიბლიოთეკო ფორმებს და მეთოდებს მნიშვნელოვნად ავსებს თანამედროვე ტექნოლოგიებით მკითხველთა მომსახურება. საბიბლიოთეკო გაერთიანებაში გვაქვს 24 კომპიუტერი. კომპიუტერი ინტერნეტში ჩართულია 9 სასოფლო და ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. კომპიუტერიზაციის საშუალებით საბიბლიოთეკო ქსელი შეუერთდა ციფრულ სამყაროს.

ბოლო სამი წლის განმავლობაში შექმნილ იქნა 12 907 ეგზემპლარი ახალი წიგნი. სადღეისოდ საბიბლიოთეკო დოკუმენტების (ფონდის) რაოდენობა ყველა ბიბლიოთეკაში შეადგენს 146 713 ეგზემპლარს, ხოლო მკითხველთა საერთო რაოდენობა არის 4896, რომლებზედაც გაცემულია 53 833 ეგზემპლარი წიგნი.

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მკითხველები აქტიურად იყენებენ ჩართულები პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ განხორციელებულ პროექტში „რა, სად, რო-





დის“ , რომელიც ჩატარდა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. გამარჯვებული გახდა კარდენახის ბიბლიოთეკის მკითხველთა ჯგუფი. კარდენახის, ბაკურციხის და ველისციხის ბიბლიოთეკებს საჩუქრად გადაეცათ wifi-ს როუტერი და სამახსოვრო დიპლომები.

მკითხველთა მოზიდვისა და წახალისების მიზნით, საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ ახალ პროექტს. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო ახალი დარბაზი, სადაც ტარდება კინო-ჩვენებები. გარდა ამისა, ახალგაზრდები იკრიბებიან, კითხულობენ და ეწყობა წაკითხული წიგნების ან ნანახი ფილმის განხილვა, გაანალიზება.

მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკის და გურჯაანის წმინდა სამების სახელობის ტაძართან არსებული ახალგაზრდული ცენტრის – „ერთობის“ თანამშრომლობა, რომელიც ეფუძნება ახალგაზრდობის სულიერი, ეროვნული და ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობას, მის პოპულარიზაციას. ეს არის უნიკალური შემთხვევა, როცა საერო და საეკლესიო პირები, ბიბლიოთეკის მკითხველები და მრევლი მსჯელობენ, პაექრობენ, ეცნობიან საქართველოს ისტორიას, სამეცნიერო-პოპულარულ, თუ რელიგიურ ლიტერატურას და ეს ხდება ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, რაც უდავოდ ნაყოფიერი და მისასალმებელია.

ბიბლიოთეკაში აქტიურად მუშაობს ლიტერატურული საღონი, რომლის ხელმძღვანელია ლიტერატურათმცოდნე, პოეტი „სახალხო განათლების წარჩინებული“ ტიტულის მქონე პედაგოგი ქალბატონი ნუნუ ყალაბეგაშვილი.

მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში განხორციელდა ინოვაციური პროექტი. კერძოდ: შექმნილი გვაქვს ფასიანი გახანგრძლივებული ჯგუფი, სადაც სკოლიდან მოსული პატარები დღის ბოლომდე რჩებიან, მათ პროფესიონალი პედაგოგი ამცავდინებს, დაკავებული არიან სხვადასხვა აქტივობები, ხოლო ზაფხულის არდადეგების დროს მოქმედებს საზაფხულო სკოლა. ამით ბიბლიოთეკამ შექმნა საკუთარი შემოსავალი,



რომელიც ყოფნის პედაგოგის ხელფასს და ახალი ლიტერატურის შესაძენად გვეხმარება. აღსანიშნავია, რომ საზაფხულო სკოლის გამოსაშვები ღონისძიება თავის შინაარსით და პომპეზურობით დაუვიწყარი იქნება გურჯაანელი ახალგაზრდებისთვის, საზეიმო ტორტის გაჭრა კი ბავშვების სიხარულის აპოგეა იყო.

ღირეკციის ინიციატივით საზაფხულო სკოლის მოსწავლეებმა გურჯაანის ცენტრალურ ქუჩაზე ჩაატარეს აქცია სლოგანით: „ზებრა გადასასვლელი-ფეხით მოსიარულის პრიორიტეტი“. ბავშვებმა მძღოლებს მოუწოდეს ზებრა-გადასასვლელთან ქვეითად მოსიარულებებისთვის გზა დაეთმოთ. ამ აქციის მიზანი იყო მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, საგზაო წესების დაცვა. აქციის მონაწილეებმა სიმბოლური საჩუქრები- ბუმბები და ტკბილეული დაარიგეს.

საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანების, მთლიანად მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი იყო 9 მაისს პრეზიდენტ გორგი მარგველაშვილის სტუმრობა. დიდების საბრძოლო მემორიალური მუზეუმის ტერიტორიაზე მოეწყო პრეზიდენტის შეხვედრა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან, რომლებსაც გადაეცათ ჯილდოები, რაც ასახულია ალბომში „გურჯაანის ისტორია“, რომელსაც თანმიმდევრულად ვაგებთ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში და ვინახავთ აქვე.

ბიბლიოთეკა აქტიურად თანამშრომლობს შშმ პირების დღის ცენტრთან. ბენეფიციარებთან სტუმრობისას ბიბლიოთეკარი საუბრობს მათთვის საინტერესო თემებზე.

მნიშვნელოვანი პროექტი იყო „ვისაუბროთ ახალგაზრდებთან“. ამ პროექტის ფარგლებში ჩატარდა ახალგაზრდა მკითხველებთან შეხვედრა, რომელზედაც მოწვეული იყო პროკურორი, ფსიქოლოგი, პედაგოგები, რაიონის წამყვანი სამართალდამცველები. დისკუსიის თემა იყო „არასრულწლოვანთა ქორწინება დასჯადია“. ამავე ბლოგში გაერთიანდა ოჯახური ძალადობის ამსახველი ვიდეო ჩვენება და დისკუ-



სია „არასრულწლოვანთა დამოკიდებულება აზარტულ თამაშებთან“. ამ პროექტმა მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი დადებითი გამოხმაურება ჰპოვა, რაც ადგილობრივი ხელისუფლებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩა.

შთამბეჭდავი იყო მკითხველთა შეხვედრა ჩვენი რაიონის მკვიდრთან „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნე, ახალგაზრდა ქალბატონ მანანა ნესუაშვილთან. დარბაზში მყოფი მკითხველები კიდევ ერთხელ შეეხნენ მსოფლიო ქმნილებას, მის გენიალურ სტრიქონებს და მათაც წარმოთქვეს ადგილები ზეპირად.

მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო დარბაზში ჩატარებული მუშაობის გვირგვინი იყო ილია ჭავჭავაძის საიუბილეო (180) ღონისძიებები, რაც საბიბლიოთეკო კვირეულს წითელ ზოლად გასედეგდა.

ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზში დიდი გალაკტიონის სიტყვები მოგხვდებოდა თვალში „წიწამურში რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“. მომზადდა ლიტერატურული საღამო თემაზე „მე ილია ვარ“. კვირეული დაიხურა ფილმის „ვინ მოკლა



ილია“ ჩვენებით, რის შემდეგაც გაიმართა დისკუსია. დარბაზში მყოფი მრავალი მკითხველი აქტიურად ჩაერთო დისკუსიაში. გურჯაანის საბიბლიოთეკო ცხოვრებაში დრო და სივრცე საინტერესოდ, ორგანიზებულად შთანთქა ბიბლიოთეკების კვირეულმა.

დაუვიწყარი, ამაღლებელი იყო შეხვედრა დეაწლმოსილ ადამიანებთან. მოწვეულ იყვნენ პედაგოგები, მედიცინის, კულტურის და სოფლის მეურნეობის დარგის მუშაკები. მხატვრულ ნაშრომებთან, ლექსთან და სიმღერასთან იყო შერწყმული ცრემლიანი, თუ სიხარულით სავსე განვლილი წლების საამაყო მოგონებები.

მოწვეულ სტუმრებს მიესალმა რაიონის დამოუკიდებელი დეპუტატი ქალბატონი მარიამ ხაზიური. „ეს დღე ჩვენთვის დაუვიწყარი იქნება, გმადლობთ ამ ღამეზე საღამოსთვის“, - აი სიტყვები, რომლითაც დეაწლმოსილი ადამიანები ტოვებდნენ ბიბლიოთეკის დარბაზს.

14 ივნისს აღინიშნა ქართველი კინო-

ვარსკვლავის, მუნჯი კინო ლეგენდის ნატო ვანჩაძის საიუბილეო ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ მისი შთამომავლები, თბილისიდან მოწვეული სტუმრები, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და მოსახლეობა. ამ თარიღთან დაკავშირებით ბიბლიოთეკაში მუშაობა წარიმართა სპეციალურად შედგენილი გეგმის მიხედვით.

გურჯაანის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანების თანამშრომლები კარგად უთავსებენ ერთმანეთს შრომით საქმიანობას და კულტურულ დასვენებას. მათთვის მოეწყო ექსკურსია რაიონის ღირსესანის-ნავ ადგილებში. ვეწვიეთ სოფელ ზეგნის ყოვლადწმინდის დეოთისმშობლის სახელობის ეკლესიას, ვანჩაძიანის გიორგი მაისურაძის სახელობის ისტორიის მუზეუმს, სადაც მრავალ უნიკალურ ნივთთან ერთად, მნახველთა განცვიფრება გამოიწვია მე-19 საუკუნის დასაწყისში, ქიზიყელი მღვდლის ივანე ხუციშვილის მიერ შესანისნავი კალიგრაფიით გადაწერილმა „ვეფხისტყაოსანმა“. დღის ბოლოს სოფელ ველისციხის მარან-მუზეუმის „ნუმისის“ დათვალიერების შემდეგ, ამავე მუზეუმში არსებულ ღვინის მარანში კორპორატიულ საღამოზე დასრულდა ერთი ხალისიანი, შინაარსიანი დღე, რომელმაც სტიმული მოგვცა კიდევ უფრო საინტერესო და საქმიანი გავხადოთ ბიბლიოთეკის მკითხველებთან და მუზეუმებში მოსულ ვიზიტორებთან ურთიერთობა.



LINA WYKAD

ლონისძიება ზესტაფონის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

2018 წლის 23 იანვარს ზესტაფონის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ჩატარდა დიალოგი თემაზე “გადავარჩინოთ მომავალი თაობა” (ბუღინგი და ნარკომანია არასრულწლოვანებში). დიალოგში მონაწილეობდნენ, ერთი მხრივ, ქ. ზესტაფონში არსებული ყველა საჯარო სკოლა, მათი დირექტორები და პედაგოგები; მეორე მხრივ, ფსიქოლოგი ნანა მოდებაძე, რაიონული პროკურატურის პროკურორი ვახტანგ ნიქაბაძე, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების გამომძიებელი ნანა გაბესკელიანი, №1 საჯარო სკოლის სპეც. მასწავლებელი მარიკა ნიქაბაძე, ექიმ-ნარკოლოგი ლელა ხიდაშელი, განათლების რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი თორნიკე კახინაშვილი,

პრობლემაა, მოზარდებს შორის ძალადობის ფაქტების ოდენობა მთელ მსოფლიოშია გაზრდილი, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ეს პრობლემა ჩვენს ქვეყანაში, რადგან არაერთი ტრაგედია დატრიალდა ამ მიზეზით. გამომსვლელებმა ისაუბრეს, თუ რა იწვევს ძალადობას, ვინ არის პასუხისმგებელი მსგავსი მოვლენების პრევენციაზე. რა ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა მინიმუმადე დავიყვანოთ ბუღინგის საფრთხე. ისაუბრეს ეკლესიის როლზე პრევენციის მიმართულებით და აღნიშნეს: მოზარდი, რომელიც არის ეკლესიური, ნაკლებად არის მიდრეკილი ბუღინგისკენ, აღნიშნეს, რომ ბუღინგის სხვა ფორმებთან ერთად არსებობს კიბერ-ბუღინგი, როგორც ძალადობის ფორმა. გამოკვლევე-



მამა გიორგი რევიშვილი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დირექტორი თამარ გველესიანი, ზესტაფონის საკრებულოს თავრის მოადგილე თემურ საყვარელიძე, ბატონი ლევან გველესიანი - საკრებულოს წევრები. იყო კამათი, აზრების გაზიარება, განსაკუთრებული აქტიურობა გამოვლინდა ახალგაზრდებიდან. საბოლოოდ დიალოგი შედგა. გამომსვლელებმა ყურადღება გაამახვილეს ქურდული მენტალიტეტის ზრდაზე ახალგაზრდებში, მოსწავლეებში გავრცელებულ ტენდენციას: არ ითანამშრომლონ სამართალდამცავ ორგანოებთან და თვითონ ქუჩის ავტორიტეტების დახმარებით გადაწყვიტონ კონფლიქტური სიტუაციები. ბუღინგი 21-ე საუკუნის

ბის თანახმად, ბუღინგის ინიციატორია ორმოცი პროცენტი კრიმინალურ გზას ირჩევს. ბუღინგმა შეიძლება ადამიანს მძიმე დანაშაულისაკენ უბიძგოს. გამომსვლელებმა ისაუბრეს, თუ რა შეიძლება მოიტანოს ასეთმა ტენდენციამ. რა უნდა გაკეთდეს, რომ მოსწავლეებში აღდგეს ნდობა პედაგოგების მიმართ. უნდა ავუხსნათ მოსწავლეებს სამართალდამცავ სტრუქტურებთან თანამშრომლობის აუცილებლობა. ილაპარაკეს იმაზე, რა უნდა შეიცვალოს აღზრდის სფეროში, რა როლი აქვს სპორტს, ხელოვნებას, ეკლესიის საზოგადოებრივ აქტივობებს მოზარდების პიროვნებებზედ ჩამოყალიბებაში.

ნიმე აფსიახი

ქ.თბილისის დასო ანათონის სახელობის ფილიალი, მთავარი ბიბლიოთეკა

ილია - ჩვენი თანამედროვე

(ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180 წლისთავი)

2017 წლის 18 დეკემბერს ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლადო ასათიანის სახელობის ფილიალში ჩატარდა ლიტერატურულ-მუსიკალურ-თეატრალური კომპოზიცია სახელწოდებით - „ილია - ჩვენი თანამედროვე“, რომელიც მიემდგნა ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180 წლისთავს. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ 169-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები და ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის თეატრ „თეატრალის“ ბავშვები.

ბავშვებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს ჩვენი დიდი წინამორბედი, უდიდესი მოღვაწე ილია ჭავჭავაძე, რომელმაც, ფაქტობრივად, განსაზღვრა ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსი მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში.

ლიტერატურულ მონტაჟში ბავშვებმა გადმოგვცეს ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები. გაიხსენეს ილიას მიერ გაწეული დიდი ქართველი ერის წინაშე. აღნიშნეს, რომ ასეთი მრავალმხრივი შემოქმედელი საქართველოს არ ჰყოლია. ილია იყო მწერალი, კრიტიკოსი, გაზეთის რედაქტორი. არ ყოფილა მოვლენა საქართველოს ცხოვრებაში, ილია რომ არ გამოხმაურებოდა. მისი ყოველი ფიქრი, ყველა ნაბიჯი სამშობლოს კეთილდღეობისაკენ იყო მიმართული. მან დაივიწყა პირადული ყველაფერი და სიცოცხლეც კი მამულს შესწირა მსხვერპლად. მიუხედავად ამისა, მკვლევებმა, დაბრმავებულმა შურით, გაქეზებულმა მტრისაგან, არ დაინდეს თავისი კეთილისმსურველი, და სიცოცხლეს გამოასაღმეს იგი. სინანულით აღინიშნა, რომ 1907 წლის წიწამურის ტრაგედია მთელი საქართველოს ტრაგედია იყო, - იმ გასროლილმა ტყვიამ დააოხლა ქართველი ერი.

ქართულ სინამდვილეში ილია ჭავჭავაძე დარჩა როგორც მედროშე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა, როგორც უდიდესი ფიგურა, მომავლის „დიდი კაცი“, რომელსაც ერთადერთს ხელეწიფებოდა ეთქვა:

„მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა,

მე ვარ შენი თანამდგევი უკვდავი სული.“
თეატრალური სტუდიის „თეატრალის“ ბავშვებმა წარმოგიდგინეს სცენა ილიას უკვდავი „მგზავრის წერილებიდან“ და წაიკითხ-

ეს ნაწევრები მისი შემოქმედებიდან, მონაწილეთა მსახიობურმა ოსტატობამ აღტაცება და ემოციები გამოიწვია დამსწრე მაყურებელში. ღონისძიების მსვლელობას ფონად გასდევდა ვიდეონაწევრების სიმღერები ილია ჭავჭავაძის ტექსტებზე შექმნილი იყო ცოცხალი შესრულება ფანდურის თანხლებით.


რა თქმა უნდა, არ მიგვაჩნია, რომ ჩვენ ყველაფერი „ისა ვთქვით და ისე ვთქვით“, როგორც ილიას ეკადრება, მაგრამ შევეცადეთ, რომ ღირსეულნი ვყოფილიყავით. ამ მცდელობაში თავი არ დახოვეს ღონისძიების ორგანიზატორებმა: ბიბლიოთეკის სამსახურის უფროსმა ქალბატონმა ნაირა სონღულაშვილმა, მთავარმა ბიბლიოთეკარმა ნინო აფცი-აურმა და მისმა კოლეგებმა: მანანა ანდრიაშვილმა და ნატო კობახიძემ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ გაზეთ „მველი თაობის“ რედაქტორი, აკადემიკოსი, პოეტი, ჩვენი ბიბლიოთეკის დიდი ქომაგი, ბატონი ოთარ ურუშაძე, ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ლიტერატურათმცოდნე, პოეზიის მკვლევარი ქალბატონი ზოია ცხადაია და დიდმის მასივის საუბნო მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ბატონი სოსო გელაშვილი. სტუმრებმა დადებითად შეაფასეს ღონისძიება. აღნიშნეს, რომ ასეთი პატრიოტული სულისკვეთებით ბავშვების აღზრდა ნამდვილად გააიოლებს იმ დიდ მიზანს და იმ საუბარს, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ადგას და რასაც ჰქვია სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა. აღინიშნა, რომ ასეთი პატრიოტული სულისკვეთებით ჩვენ ამას აუცილებლად მივაღწევთ.

ბიბლიოთეკის სამსახურის უფროსმა ქალბატონმა ნაირა სონღულაშვილმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების სულისჩამდგმელებს, მონაწილე ბავშვებს, 169-ე საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ მარინა დარსაველიძეს, პედაგოგებს მანანა მერაბიშვილს და ირინა ილურიძეს, თეატრალური სტუდიის რეჟისორს ლაშა გოგინაშვილს და მოწვეულ სტუმრებს.

ქალბატონმა ნაირამ იმედი გამოთქვა, რომ ურთიერთობა სკოლასა და ბიბლიოთეკას შორის, რომელიც ასე ნაყოფიერია ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის, კვლავაც გაგრძელდება.

**თელავის რაიონის
სოფელ იყალთოს ბიბლიოთეკის
წარმატების რეცეპტი**

მომზადების დრო:	2 თვე
სირთულე:	
ყველაზე მეტად უხდება:	გამოირჩეოდეს მაღალი პროფესიონალიზმით, ფეხი აუწყოს თანამედროვე ტექნოლოგიურ გამოწვევებს, მაქსიმალურად ჩართოს ყველა კატეგორიის მომხმარებელი სხვადასხვა აქტივობებში.

ინგრედიენტები:



- კომპიუტერული ტექნიკა უწყვეტი და სწრაფი ინტერნეტი;
- მომხმარებლის კომპიუტერთან მუშაობისა და ინტერნეტით სარგებლობის უნარ-ჩვევების შესწავლა;
- ელექტრონული სერვისებით მომსახურება;
- ბიბლიოთეკის S - გვერდის მეშვეობით მოსახლეობის ინფორმირებულობა ბიბლიოთეკაში დაწერული ინოვაციური ტექნოლოგიების შესახებ;
- ბიბლიოთეკარის პროფესიული კვალიფიკაცია; საბიბლიოთეკო დარგში მოქმედი მირითადი სტანდარტების ცოდნა;
- თანამშრომლობა სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან სერვისების გაუმჯობესებისთვის.

რა იყო „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკის“ წარმატების რეცეპტი იყალთოს ბიბლიოთეკაში?

დღეს ინფორმაციასა და ცოდნას განსაკუთრებული პრიორიტეტი ენიჭება. ბუნებრივია ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ინფორმაციის მიღების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ ინტერნეტი იქცა. ინტერნეტის მეშვეობით ადამიანები ეძებენ სამუშაოს, იძენენ ახალ უნარებს და ცოდნას, მოიპოვებენ საჭირო ინფორმაციას.

ყველაფერს ამის გათვალისწინებით, დღეს დღეობით საკვანძო როლს სოფლის ბიბლიოთეკა ასრულებს. ბიბლიოთეკა ადარაა მხოლოდ წიგნსაცავი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახლა ბიბლიოთეკა არის ინფორმაციის ადგილობრივი ცენტრი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის საინფორმაციო, საგანმანათლებლო და კულტურული მომსახურების თვალსაზრისით.

ბიბლიოთეკის ფუნქცია კიდევ უფრო გაიზარდა საპილოტე პროექტ „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ განხორციელების შემდეგ.

ბიბლიოთეკაში კომპიუტერული ტექნიკის დანერგვამ და ინტერნეტმა უზრუნველყო ბიბლიოთეკის წარმატებული მუშაობა.

ამ პროექტის მეშვეობით ბიბლიოთეკა გახდა ყველა სოციალური ფენისთვის საინტერესო და ფუნქციურად უფრო დატვირთული ადგილი, სადაც ტრადიციული საბიბლიოთეკო მომსახურების გარდა ხელმისაწვდომია სხვადასხვა ელექტრონული სერვისები.

კომპიუტერი და ყოველდღიურობა – ორი განუყოფელი ფენომენია დღეს ბიბლიოთეკის საქმიანობაში. ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები: ელ.ფოსტა, ინტერნეტით სარგებლობა, სოციალური ქსელი ბიბლიოთეკაში მოსულ მომხმარებელს კომფორტულ გარემოს უქმნის.

ინტერნეტმა დიდი სამსახური გაუწია ბიბლიოთეკის პოპულარიზაციას, აქამდე თუ ბიბლიოთეკაში მხოლოდ წიგნისთვის მოდიოდა მკითხველი ახლა უკვე ინტერნეტ მომხმარებელი მოდის სხვადასხვა სერვისების განსახორციელებლად და რაც ყველაზე მთავარია, ნებისმიერი ინფორმაციის მოძიება ინტერნეტში თუ სერვისებით მომსახურება ჩვენთან უფასოა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს საჯარო სივრცის ფუნქციას ბიბლიოთეკა უკვე ასრულებს.



ბიბლიოთეკას შეუძლია ადამიანებს არა მხოლოდ სასურველი ინფორმაცია გადასცეს, არამედ შესთავაზოს საჯარო სივრცე თავშეყრისთვის, გუნდური მუშაობისთვის და იდეების განხორციელებისთვის.

ყოველივე ამაში გადაწყვეტ როლს ასრულებს ბიბლიოთეკის facebook გვერდი, რომლის მეშვეობითაც ვაანონსებ დაგეგმილ ღონისძიებებს, ვაქვეყნებ ყველა იმ აქტივობებს, რომელსაც ბიბლიოთეკაში ვახორციელებ.

ღონისძიებების ჩატარებაში დიდ სამსახურს გვიწევს კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი: მოსაწვევების დაბეჭვდა, ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაციის გაკეთება სლაიდ შოუს სახით და ა.შ.

მზარეული: ლელა დედაბრიშვილი, თელავის რაიონის სოფელ იყალთოს ბიბლიოთეკარი.

„შეგ-მზარეულის“ რჩევები:

მვირფასო კოლეგებო, მუდმივად ვიყოთ ჩართული ძიების პროცესში და შევიცნოთ, რომ ხვალინდელი სამუშაოს შესრულება არ გამოგვადგება გუშინდელი მოძველებული მეთოდებით. „უწყვეტი განათლების“ ცნება უნდა დამკვიდრდეს ჩვენში, რათა გავხდეთ თანამედროვე კულტურის ნაწილი.

ბიბლიოთეკარის მთავარი საზრუნავი უნდა იყოს მკითხველთა მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილება, მათი ინტერესების გათვალისწინება. საზოგადოებასთან ურთიერთობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა თემატის ღონისძიებების ორგანიზებისას.

რა უნდა გააკეთოთ თქვენ:

- იყავით პუნქტუალური, მოწესრიგებული, კომუნიკაბელური, კოლეგიალური;
- მკითხველებთან მუშაობისას გამოიყენეთ პედაგოგიური ტაქტი;
- აიმაღლეთ საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ახალი საბიბლიოთეკო პროგრამების ცოდნის დონე;
- თემატური მრავალფეროვნებისთვის, მომხმარებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, განახორციელეთ სხვადასხვა აქტივობები ბიბლიოთეკაში;
- აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიზნით მეტი კომუნიკაცია დაამყარეთ კოლეგებთან.

ნანა მახოვიძე

76-ე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე

ლონისძიება 76-ე საჯარო სკოლაში

8 ასული წლის 15 დეკემბერს თბილისის 76-ე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის ინიციატივით გაიმართა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია თემაზე „მშვენიერება ყველგან და ყველგან“.

ლონისძიების ჩატარებაში მონაწილეობას იღებდნენ მე-5 კლასის მოსწავლეები (კლ. ხელმძღვანელი თ. თოფურია). ლონისძიებას ესწრებოდნენ სკოლის დირექტორი ნ. სები-სკვერაძე, სასწ. ნაწ. ხელმძღვანელი ხ. ყარყარაშვილი, პედაგოგები და მშობლები. ლონისძიებაზე წაიკითხეს ლექსები და შეასრულეს

სიმღერები: - მშვენიერებაზე, სიყვარულზე, სამშობლოზე. ლექსების მიხედვით ნაჩვენები იყო სლაიდები. შესრულებული იყო ცეკვები - „ქალთა მთიულური“, „აჭარული“, „ქალ-ვაჟთა მთიულური“ (ლ. კიკვაძე, ლ. თორღვაძე, მ. ლობჯანიძე, ნ. კოჩარაძე, მ. მურთაზიშვილი.)

ლონისძიებამ დიდი მოწონება დაიმსახურა როგორც დირექციის, ასევე პედაგოგებისა და მშობლების. სკოლის დირექტორმა დიდი მადლობა გადაუხადა ქალბატონ ნანას ასეთი ღამის და სასიამოვნო ლონისძიებისათვის.



ღირსი ნიკო მარის მონაფთა მონაფა

ნიკი სინახიძე

ჰიოფანოი

ღირსი ნიკო მარის მონაფთა მონაფა

ჩვენი მკითხველები კარგად იცნობენ ჟურნალის ერთ-ერთ აქტიურ ავტორს - პროფ. იური სინახიძეს. მის მიერ მოწოდებული მასალა მრავალმხრივ საინტერესოა. ბევრი მოღვაწე გაუცვნიან საზოგადოებისათვის, რომლებიც მეტ გულიყურსა და დაფასებას იმსახურებენ. 91 წლის მეცნიერი თავდაუზოგავად მოღვაწეობს დღესაც. მიუხედავად მძიმე სულიერი და ფიზიკური დაღდასმულობისა, შემართებით განაგრძობს თავის ჟურნალისტურ საქმიანობას. განსაკუთრებით სათაყვანოა მისთვის დიდი ნიკო მარი და ყველაფერი, რაც მის სახელთანაა დაკავშირე-

ფაქტობრივად, ის აქ არა მარტო მის მოწაფეთა შესახებ, არამედ დღევანდელ დღეს მოღვაწე მოწაფეთა მოწაფის შესახებ გვესაუბრება. მას ამგვარ პერსონად მიაჩნია პროფ. გრეტა ჩანტლაძე-ბაქრაძე, რომლის მიმართ მადლიერების გრძობითაა აღვსილი.

მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერის - კავკასიოლოგის, არმენოლოგის, ბასკოლოგის, ორიენტალისტის, არქეოლოგის და სხვა მიმართულებათა მკვლევარის ნიკო მარის სახელი საყოველთაოდ ცნობილია ცივილიზებულ სამყაროში. იგი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ყველაზე თვალსაჩინო წევრი იყო. სწორედ ამის გამო მთელ მსოფლიოში აღინიშნა ნ. მარის დაბადების 150 წელი. იგი ჩვენი საამაყო თანამემამულეა. მამა იაკობ მარი შოტლანდიიდან იყო ჩამოსახლებული და საქართველოს უღამაზეს კუთხეში - გურიაში ცხოვრობდა; მან ქართველი მანდილოსანი ალათი მადულარია შეირთო ცოლად, სწორედ მარების ოჯახში დაიბადა და გაიზარდა მომავალი დიდი მეცნიერი და მოქალაქე.



ბავშვობიდან მემამულეობდა, რომ ნიკო მარი ჩემს სოფელში - ჩოხატაურის რაიონის სოფ. დაბლაციხეში (რომელსაც უწინ საყვავიას ტყეს უწოდებდნენ) იყო დაბადებული. დაწყებით განათლებას იქ ეზიარა. შემდგომ სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში განაგრძო, სწავლობდა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. მასთან ერთად სწავლობდა შემდგომში ჩემი ძვირფასი მასწავლებელი ექვთიმე თაყაიშვილი, რომელთანაც ექვთიმეს ემიგრაციაში ყოფნის დროსაც არ შეუწყვეტია ურთიერთობა მიმოწერით.

ნიკო მარი სტუდენტობიდან დაინტერესდა ბასკებისა და იბერიული ხალხების ენისა და ეთნოგრაფიის საკითხებით. იცოდა რა, რომ მხოლოდ ქართულ მასალაზე დაყრდნობით სასურველ შედეგს ვერ მიაღწევდა, გადაწყვიტა ევროპული ენებიც შეესწავლა, კერძოდ, რომანული ენები; ბასკები სწორედ მათ გარემოცვაში არიან განსახ-

ლებულნი; ასევე შეისწავლა იბერულ-კავკასიური ენები. ის ძალიან იოლად ითვისებდა ენებს.

ნიკო მარმა რამდენჯერმე იმოგზაურა ბასკებში და შეძლებისდაგვარად შეისწავლა ბასკური ენა და ეთნოგრაფია, როდესაც მეუღლესთან ერთად პირველად ჩავიდა საფრანგეთის ბასკეთში – სოფ. ტარდეცში, აღფრთოვანებულმა თქვა: „არასოდეს არ მჯეროდა, რომ ჩვენს დროში სასწაული იარსებებდა; ჩვენ ავედით ბასკეთში და აღმოვჩნდით კავკასიაში, გურიაში, ე.ი. ჩვენს მშობლიურ მხარეში... მდინარე, რომელიც ჩვენი აივნის ქვეშ მიხრილალებდა, ჩემს მშობლიურ სუფსას მაგონებდა“ (წიგნიდან „Из Пиренейской Гурии“).


ბასკეთიდან დაბრუნებულმა ნიკო მარმა გადაწყვიტა, თავისი ცოდნა და გამოცდილება ქართველი მოწაფეებისათვის გადაეცა. იმხანად პეტერბურგში სამი ახალგაზრდა ქართველი სწავლობდა: შოთა ძიძიგური, იოსებ მეგრელიძე და ალექსანდრე დლონტი. მან სწორედ ისინი დაიმოწაფა. მისი ოცნება იყო, საქართველოში შეექმნა ბასკოლოგთა ჯგუფი, მაგრამ ოცნება ვერ აისრულა, თუმცა მის ცდას უქმად არ ჩაუვლია. გადიოდა დრო და ქართველი ახალგაზრდები სულ უფრო მეტად ინტერესდებოდნენ ბასკურ-ქართველურ ენათა ურთიერთმიმართების კვლევით, რაშიც დიდი წვლილი მიუძღოდა ნ.მარის ნამოწაფარს – შემდეგში აკად. შოთა ძიძიგურს, რომელმაც არაერთი ნაშრომი უძღვნა ამ თემას. ის დაუდალავად ეწეოდა პროპაგანდას ამ მიმართულებით.

სამწუხაროდ, დიდი მეცნიერის ნიკო მარის წინააღმდეგ აღძრულ ცნობილ დისკუსიაში მისმა თეორიულმა და პოლიტიკურმა მოსაზრებებმა სასტიკი ზეწოლა განიცადა, რამაც დიდად შეკვეცა ნ.მარის მოწაფეთა მოღვაწეობა. მათ სხვა მიმართულებით დაიწყეს კვლევები, მაგრამ წამითაც არ შენელებიათ დიდი მასწავლებლის სიყვარული და პატივისცემა – ყოველმხრივ ცდილობდნენ, ხელი შეეწყოს უკვე მათი მოწაფეებისათვის ბასკოლოგიის საკითხებზე მუშაობაში. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებო იყო აკად. შ.ძიძიგურის ღვაწლი ამჟამად პროფ. გრეტა ჩანტლაძე-ბაქრაძის პროფესიული ორიენტაციის საქმეში.

ბატონ შოთა ძიძიგურს როცა წარუდგინეს გრეტა, რომელიც პირველი კურსიდანვე ყოფილა დაინტერესებული ბასკების ენითა და ეთნოგრაფიით, ამ პერიოდისათვის ის სახელმწიფო წიგნის პალატაში მუშაობდა „გეორგიკის“ განყოფილების გამგედ. ბ-ნი შოთა

გაოცებულია ბასკოლოგიურ საკითხებზე საუბრისას ახალგაზრდა სპეციალისტის ცოდნით, დაინტერესდა იმ ლიტერატურით, რომელიც მას მოუპოვებია ბასკოლოგიის დარგში ესპანურ, ფრანგულ, პოლონურ, ბასკურ, რუსულ ენებზე, აგრეთვე იმ კონტაქტებით, რომლებიც ჰქონია მას მსოფლიოში ცნობილ ბასკოლოგებთან: რენე ლაფონთან, ჟაკ ალიერთან, ჰანს ფოგტთან, ლუის მიხელენასთან, ლუის ვილასანტესთან, ანტონიო ტოვართან, იან ბრაუნთან და ბასკებითა და კავკასიელებით დაინტერესებულ სხვა მეცნიერებთან.

სხვათა შორის, სწორედ ბ-ნი შოთა ძიძიგურის აქტივობით იქნა დაშვებული ასპირანტურაში ერთი ადგილი ბასკურ-კავკასიური



ეთნოლინგვისტიკის განხრით თბილისის უნივერსიტეტში. ქ-ნი გრეტა ოთხი წელი ელოდა ამ ადგილს. ბ-ნმა შოთამ, რომელიც მისი მეცნიერ ხელმძღვანელი იყო, იგი ლენინგრადში (ახლანდელი პეტერბურგი) სალტიკოვ-შნედრონის სახელობის ბიბლიოთეკის მე-800 ფონდში სამუშაოდ მიაგვლინა, სადაც დიდძალი მასალა მოიძია. ამის შემდეგ ახალგაზრდა ასპირანტი, რომელსაც უკვე ორი პატარა შვილი - გიორგი და ლევანი ჰყავდა, მიუხედავად სირთულეებისა, კუიბისევეში (ახლა სამარა) გაემგზავრა, სადაც სსრ კავშირის პირველ ბასკოლოგთან – პროფ. იური ზიცართან უნდა ჰქონოდა კონსულტაციები. მალე პროფ. ი.ზიცარი საქართველოში, თბილისში, ოჯახით მიიწვიეს ბასკურ-კავკასიური სამეცნიერო ცენტრის გასაძლიერებლად. დიდი მას-

წავლებლის ნიკო მარის ოცნებას მივიწყება არ ეწერა. ბ-ნი ზიცარს ნიკო მარის მეგობრისა და კოლეგის აკად. ვ.შიშარიოვის სკოლა ჰქონდა გავლილი. ქ-ნი გრეტამ 1986 წ. აკად. შ.ძიძიგურისა და პროფ. ი.ზიცარის ხელმძღვანელობით წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 2004 წელს მოსკოვში სადოქტორო დისერტაცია. მას შემდეგ არაერთ საერთაშორისო სიმპოზიუმზე აქვს მიღებული მონაწილეობა საქართველოში, რუსეთში, ესპანეთში, საფრანგეთში, პოლონეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. მისი შრომები იბეჭდება სხვადასხვა ენებზე რეფერირებულ ჟურნალებში.

საგულისხმოა, რომ პროფ. გრეტა ჩანტლაძე-ბაქრაძე, ჯერ კიდევ ასპირანტურაში სწავლისას 1976 წ. ლენინგრადში ნ.მარის დაბადების ასი წლისთავის იუბილეს დაესწრო და თითქმის იქ თავმოყრილ მარის უშუალო მოწაფეებს გაეცნო. აკად. აგნია დესნიცკაიას მიწვევით, ლენინგრადის უნივერსიტეტში იუბილესთან დაკავშირებით მან წაიკითხა მოხსენება „ბასკურ-კავკასიური ეთნოლოგისტიკური პარალელების ანალიზი“.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ნიკო მარის პირად მოწაფეებსა და შემდგომ თაობას დიდი ღვაწლი მიუძღვით მისი შრომების „რეაბილიტაციაში“.

ერთი შტრიხიც მინდა გამოვყო: როცა სამეცნიერო ეკლესიის სამეცნიერო ცენტრში ქ-ნი გრეტას საიუბილეო შეხვედრა გაუმართეს, მან

სამადლობელი სიტყვის ნაცვლად მოხსენება წაიკითხა თემაზე: „საერთო და განსხვავებული ბასკურ-კავკასიურ ეთნო-ლინგვისტიკაში“.

მინდა ერთ ფაქტზეც შევხერდეთ: ქ-ნი გრეტას სტალინის საზოგადოების გორის განყოფილებიდან ქალბატონებმა ნაზი სტეფანიშვილმა და სვეტლანა ტალადიონოვამ სტალინის დაბადების 135 წლისთავზე სთხოვეს გამოსულიყო მოხსენებით – „სტალინი და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა“. მას არ გააკვირვებია ეს. კარგად იცოდა, რომ სტალინი ჯერ კიდევ სემინარიაში იყო დაინტერესებული პირინეისა და კავკასიის იბეროლოგთა თანამზრახველები, რომლებთანაც ერთად ჰქონდა გადაწყვეტილი წასვლა „...სპანიად, რამეთუ ასმოდა, ქართველნი არამცირედნი არიან მუნ...“ მის განზრახვას ხელი შეუშალა რევოლუციურმა გატაცებამ. ქ-ნი გრეტას სორბონის უნივერსიტეტში ფრანგი ბასკოლოგის ჟან დიუკლოს არქივში უნახავს მასალა, რომელიც გვატყობინებს სტალინის ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზით დაინტერესებას... „როცა სოსელი სტალინი გახდა, არც მაშინ შეუწყვეტია ფიქრი ბასკთა და ქართველთა სავარაუდო ნათესაობის შესახებ. ნიკო მარმა მას პირადად მიართვა თავისი წიგნი „პირინეის გურიიდან“.. სტალინის აზრით, ნიკო მარს უფრო მეტად ეთნოგრაფიული





საკითხები აქვს წიგნში, ვიდრე ბასკურ-ქართული ენობრივი პარალელები“. სავარაუდოა, რომ სტალინს ქართულ-ბასკური ლექსიკონი კი შეუდგენია, მაგრამ დღემდე ის მიკვლეული არ არის.

საქმეს, რომელსაც დიდმა ნიკო მარმა ჩაუყარა საფუძველი, იმდენად ღრმად აქვს ფესვები გადგმული, ვერაფერმა შეარყია ის და, იმედია, არ გამოიღვევა მის მიმდევართა ნაკადი და იგი მუდმივ გაგრძელებას ჰპოვებს. განსაკუთრებულად მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ დიდი ნიკო მარის მოწაფეები ბ-ნი ალ. ლღონტი, ბ-ნი იოსებ მეგრელიძე, ქ-ნი გრეცა და მე. წარმოშობით, გურიიდან ვართ.

ქ-ნი გრეცას ასპირანტობის პერიოდში ბატონი ალექსანდრე და ბატონი იოსებები კონსულტაციებს უწევდნენ თავიანთ მასწავლებლის – ნიკო მარის შრომების სწორად გააზრებაში, ამდენად, ქ-ნი გრეცა მათ მიიხნევა თავის მასწავლებლებად.

ნიკო მარის მუხეუმის გახსნის დღეს ქ-ნი გრეცა ჩოხატაურის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. მან იშვიათობად ქცეული ნიკო მარის „პირინეის გურიიდან“, რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი უნდა გადასცეს მუხეუმს.

და ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ ქ-ნი გრეცა გამოვარჩიე როგორც პროფესორი, ამერიკის საერთაშორისო საინფორმაციო აკადემიის წევრი, ჩოხატაურის საპატიო მოქალაქე, ბასკური ენის პირველი მასწავლებელი უნივერსიტეტში. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა მის საუკეთესო პიროვნულ თვისებებს – ხშირად მნახულობს მძიმე ავადმყოფს, მზრუნველობას არ მაკლებს, მიზიარებს გულის სითბოს. მას ორი შესანიშნავი ვაჟი ჰყავს – გიორგი – ექიმი, იგი ამჟამად როსტოვში მოღვაწეობს, მას ჰყავს ვაჟი ნიკოლოზი, რომელმაც წარმატებით დაიცვა დისერტაცია კიბერნეტიკაში, ხოლო ლევანი ბიზნესმენია, ლოჯისტიკის სფეროში მუშაობს. მისი ქალიშვილი ანასტასია წელს გახდა ნიუ-იორკის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი (მიიღო სახელმწიფო გრანტი). გრეცას მეუღლე ცნობილი მეცნიერი არჩილ ბაქრაძე მძიმედ დაავადებულიც კი ყოველმხრივ ცდილობდა, ხელი შეეწყო საყვარელი მეუღლისათვის მის მეცნიერულ მოღვაწეობაში, მაგრამ ბედი უღმობელი აღმოჩნდა... გრეცა არ გატეხილა, ერთგულად უდგას სათავეში ოჯახს და მიუხედავად ასაკისა, არ წყვეტს აქტიურ მეცნიერულ მოღვაწეობას.

არ შეიძლება, ასეთი პიროვნების მიმართ არ გამოვხატო მადლიერების გრძნობა.

ღირსეული მამულიშვილები

ბიოგრაფიული

ვინ იყო დავით გიორგის ძე სარაჯიშვილი?

დავით ზაქარიაძე სარაჯიშვილი - 170




დავით გიორგის ძე სარაჯიშვილი უცნობი მხატვრის ნახატი

1784 წლის საბუთში სახელდებულია „მოქალაქე, დალაქი ბერუას შვილი „სარაჯი გოგია“, რომელსაც ჰყავს ორი შვილი — დავითი და მიქელე (მიხეილი). სარაჯ გოგიას (იავორის) შვილების — დავითის და მიქელის ოჯახის წევრთა სიაში მათ გვარად სარაჯევი ეწოდებოდა. ამ სიით დავით გიორგის ძე სარაჯევი ჰყავს შვილები: გრიგოლი, გაბრიელი, სოსია, ზაქარია, სოლომონი, ხოლო მიქელას — შალიკო და თევდორე.

რუსეთის იმპერიაში კონიაკის ქარხნული წესით წარმოების შესაძირკვლის, პაპის მოსახელის დავითის მამას — ზაქარიას ვაჭრობა ბავშვობიდანვე შეუსწავლია, საკუთარი სავაჭრო გაუხსნია, ნელ-ნელა საქმე ისე წასვლია, რომ მთელ თბილისში სახელგანთქმული მოქალაქედ გამოცხადებულა. თავისი დროის საკმარისად მცოდნე პირი ყოფილა, ამასთანვე „ბუნებით მახვილგონიერი“, პატივისმცემელი ქართულის მწიგნობრობისა და დიდად მო-

ტრფილვე საქართველოს, ქართულის და მამულიშვილურის ჰაზროვნების“. გადმოცემით, „ზაქარია მეზობელთა, მეგობართა და ნათესავთა გამკითხავი, ტიტველ-შიშველთა შემოსავი, ყმა გლეხების ქომაგი“ ყოფილა. ზაქარია არაერთხელ გამოსარჩლება გლეხებს და ბევრი ყმა მეზობლის ხელისაგან უხსნია. ხელმოკლე გლეხებს აძლევდა ტანსაცმელს. ქალს გათხოვებისას სამზითვო ნივთებით ეხმარებოდა. უყვარდა გამრჯე, ალალი კაცი. სოფ. დიღომში ააშენა ეკლესია, რომელსაც ხალხმა „თეთრი გიორგი“ შეარქვა. მოხუცებულობაში ზაქარია სიონის ტაძრის მამამთავარი, ქალაქის საბჭოს წევრიც ყოფილა. ფულს ხარჯავდა ძეგლების აღსადგენად, მათი რეკონსტრუქციისათვის. მას „არაერთი მატერიალური თუ სულიერი კულტურის განძი უხსნია განადგურებისგან. ზაქარიას აღუდგენია იკორთის ძველი ტაძარი, მონაწილეობა მიუღია ქაშვეთის, სვეტიცხოვლის სარემონტო სამუშაოებში.

ზაქარიას ძმა — სოლომონი „პირველი ქართველი იყო, რომელიც ეღირსა ქალაქის თავობას“. როდესაც 1837 წლის 10 ოქტომბერს რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I სწვევია საქართველოს, მის პატივსაცემად თბილისში, სასულიერო სემინარიის შენობაში დიდი მეჯლისი გამართულა, „იმპერატორმა პირველად იცეკვა სილამაზით განთქმულ მართა სოლოლაშვილთან, მეორედ კი სოლომონ სარაჯიშვილის მეუღლესთან, რომელიც არ



ჩამოუვარდებოდა მართას სილამაზით“.

ძმებს დიდი მამულები ჰქონიათ სოფ. დილოში. ისინი ჩვეულებრივი ვაჭარი-მემამულეები კი არა, ბევრი კარგი საქმის წამომწყებნი ყოფილან. სახელმთხვეჭილი სოფდაგარი გრიგოლი „პირველხარისხოვან მოქალაქედ“ იხსენიება. როცა 1812 წელს რუსეთის მეფის წინააღმდეგ კახეთში აჯანყებამ იფეთქა და „სამხედრო სასამართლომ 62 მთავარი დამნაშავედანი“, რომელთა შორის ოთხი მღვდელი და ორი ქალიც ყოფილან, 29 ადამიანს ციმბირში სამუდამო კატორღა მიუსაჯა, „გრიგოლმა რამდენჯერმე მოახერხა ნათესავების მიერ შეგროვილი ფულისა და ტანსაცმლის მიწოდება ციმბირის სხვადასხვა ქალაქებში გაფანტულ გადასახლებულთათვის, რითაც მას უსაზღვრო მადლობა დაუმსახურებია“.

ძველ დროს თბილისში მცხოვრები ქართველები გაწაფულან აღებ-მიცემობაში, „დაუცხრომლად და მღვიძრად“ უწარმოებიათ სავაჭრო საქმეები. „ამიტომაც მოხდა, რომ მათის მხერით გახარებული იყო ვახტანგ მეფე. ამან ისურვა მათი პატივისცემა და 1710 წელს შემოიღო თბილისის საპატიო მოქალაქობა... ანუ „პაჩოტნი გრაჟდანიობა“ (ზ. ჭიჭინაძე). „თბილისის საპატიო მოქალაქობა“ რგებიანთ სოფდაგრებს — ფორაქიშვილებს და სარაჯიშვილებს, ჩამომავლობით.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართველ სოფდაგრებს შორის გამოირჩეოდნენ ფორაქიშვილები და სარაჯიშვილები, რომლებიც აღებ-მიცემობას მემკვიდრეობით მისდევდნენ. ხშირი მიმოსვლა ჰქონდათ დავითის შვილებს — გრიგოლს, მიხეილს, გიორგის მოსკოვში, სტამბულში, ისპაჰანში და სხვაგან. „აღავერდის ძვრფასი კანკელი მათი გაკეთებულია და მოტანილია მოსკოვიდან, მეფის ძეთა იულონის, იოანეს და თეიმურაზის მინდობილობით. ზაფხულს ივინი განატარებდნენ ლილოზე და მარტყოფში, სადაც ესტუმრებოდნენ სტეფანე რუსთველს, მთავარ ეპისკოპოსს. სტეფანეს თხოვნით მათ გააკეთებინეს მოსკოვში და მოიტანეს ოქროცურვილი — ვერცხლით შემკული სახარება მარტყოფის ხოთაების ტაძრისა. ამავე ტაძარს შესწირეს 1807 წელს ოქროცურვილი ვერცხლის, ტრაპეზის ჯვარი წარწერით“.

დავით გიორგის ძის შვილიშვილმა დავით ზაქარიას ძემ, 1910 წელს როსტოვში შედგენილი თავისი — „სულიერი ანდერძით“ მარტყოფის ეკლესიას დაუტოვა 500 მანეთი.

დავით გიორგის ძე სარაჯიშვილი (სარაჯევი) დაიბადა თბილისის ძველ უბანში — ისანში. იგი ცნობილი იყო შეძლებით და ქველმოქმედებით. დაუკრძალავთ ვერეს ძველ

სასაფლაოზე. საფლავის ქვაზე ამოკვეთილი ყოფილა ხმალი და ორდენი წარწერით „ლუბერსკის სეკრეტარი დავით გიორგის ძე სარაჯევი (1752-1847)“.

დავით გიორგის ძე თავისი მოღვაწეობის დროს ცნობილი პიროვნება ყოფილა ერეკლე მეორისა და საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ს კარზე. ახლო მდგარა ანტონ კათალიკოსთან. „საარქივო მასალებიდან ვგებულობთ, რომ იგი ამარაგებდა მას საჭირო თანხებით. ფულის მხრივ მეფის ოჯახი სივიწროვეს განიცდიდა, რის გამოც ხშირად უხდებოდათ ძვირფასეულობის გაყიდვა-დაგირავება“ (არჩილ სტეფანიშვილი). დეკანოზი ფილიპეს ძე არჯევანიძე (1744-1824) დაახლოებია სამეფო სასახლეს, გამხდარა ბატონიშვილების მოძღვრად, რომელთაგან ერთს პეტერბურგშიაც კი გაუწვევია, სადაც ასრულებდა ყოველგვარ მღვდელმოქმედებას საქართველოს სამეფო გვარეულობის წევრთა კარის ეკლესიებში: პეტერბურგში გამგზავრებულია 1918 წელს და დაბრუნებულია 1820 წელს. ყოფილა ასტრახანში, მოსკოვში, ნოვგოროდში. დაბრუნებისას დიდი პატივითა და სიყვარულით შეხვედრიან პატრიარქი ანტონ კათალიკოსი, იონა მიტროპოლიტი (მროველი), გაიოზ მთავარეპისკოპოსი, პაფნუტი არქიერი, დავით გიორგის ძე სარაჯიშვილი (იმდროინდელი დიდი სოფდაგარი).

„დავით გიორგის ძეს ჰქონდა მიტრა (საეპისკოპოსო, ანუ საარქიმანდრიტო გვირგვინი), ძვირფასეულობით შემკული. შესაძლოა, რომ მიტრა ჩაუვარდა ხელში დავითს კათალიკოს ანტონისაგან... სარაჯიშვილები იყვნენ პირველნი, რომლებიც დაამტკიცა „რუსეთის მეფის მთავრობამ ღირსეულ მოქალაქეებად“. ისინი საკმაოდ დიდ თანხებს ხარჯავდნენ აღმოსავლეთ საქართველოში ეკლესიების აღსადგენად. დავითმა „ლუბერსკის სეკრეტარის“ ჩინი მიიღო იმ მოღვაწეობაზე, ეწეოდა ღარიბებისადმი დახმარება და ოსეთში ქრისტიანობის გავრცელებაში. თავისი ცხოვრების ბოლომდე იგი იყო სიონის ტაძრის მამასახლისად“ (არჩილ სტეფანიშვილი).

XIX საუკუნის დამდეგიდან სარაჯიშვილები ხელს ჰკიდებენ სამხედრო იჯარა-მიწოდებისა და გამოსყიდვის ოპერაციებს.

სარაჯიშვილების სავაჭრო სახლს (ქარვასლას) ფართო კომერციული ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილო კავკასიის თემებთან, რუსეთთან, უკრაინასთან, ირანისა და თურქეთის სამეფლობელოების ქალაქებთან, ზოგიერთ ქალაქში მას საკუთარი აგენტებიც კი ჰყავდათ. „გვიანფოლადღურ ხანაში სახელწოდება ფუნდუკს ირანიდან შემოსული ქარავანსა-

რაი, შემდეგ კი ქარვასლა ცვლის“ (ვახტანგ ბერიძე). ფარსადან გორგანიდის მიხედვით, ქარვასლის ფუნქცია იყო: „... მგზავრი არ გაისარჯოს, სადგომი და საჭმელი მზად დახვდეს“. ქარვასლა შენდებოდა განსაკუთრებულად ქალაქებში, სავაჭრო ცენტრებში, სადაც საქონელი შორეული კუთხეებიდან და ქვეყნებიდან მოდიოდა. შარდენის (1671) მიხედვით: „თბილისში არის საუცხოვო საზოგადო შენობები; ბაზრები, ე.ი. სავაჭრო ადგილები ფართოა, აგებულია ქვისგან, კარგად მოვლილია; იგივე შეიძლება ითქვას ქართველების იმ სადგომებზე, რომლებშიაც უცხოელები ჩერდებიან“. „ბაზარს ეძახდნენ აგრეთვე კოჯრის კარიდან გამომავალ ქუჩას. ეს ქუჩა ქალაქის ცენტრალური ნაწილის, კალას, ორად გამყოფი იყო ზემო და ქვემო უბნებად. რაკი ეს ქუჩა თვითონ ქვემო და ზემო უბნების მიჯნად ითვლებოდა, ამიტომ მას შუა ბაზარსაც ეძახდნენ“. ქუჩის ამ ძველმა სახელწოდებამ შემდეგ შერქმეულ სომხის ბაზართან ერთად ბოლო დრომდე იარსება. შუა ბაზარი ერქვა დღევანდელი ლესელიძის ქუჩის იმ მონაკვეთს, რომელიც თავისუფლების მოედნის ქვეით ანუ აღმოსავლეთით მიდის და სიონის ქუჩას უერთდება. ამ გზას 1800 წლის გეგმით ექსპლიკაციები „ვერხნი ბაზარს“ უწოდებდნენ (მამისა ბერძნიშვილი).

„სარაჯევის (სარაჯიშვილის) ქარვასლა განთავსებული იყო, — წერდა ივანე ევლახიშვილი (ევლახოვი) 1852 წელს, გეოგრაფიული საზოგადოების კრებულში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში — „თბილისის ქარვასლები“, სომხის ბაზარში, 1823 წლიდან. იქ საქონლის დაწყობა არ ხდებოდა, არამედ საქონელი ეძლეოდა 5 სავაჭრო დუქანს; მოწყობილი იყო შიგ 9 სარდაფი წვრილმანი საქონლისათვის, 18 ოთახი ჩამომსვლელთათვის; აქვე მოთავსებული იყო საათების საქმის საოსტატო, ერთი ოსტატით“. სარაჯიშვილებს კარგად ესმოდათ ინგლისური სიბრძნე — „დრო ფულია“, რადგან საქმის მკეთებელი მაჯაზე უნდა იყურებოდეს, თუ უნდა დრო არ გაეჟკეს“. სარაჯიშვილების ქარვასლა არ გაყიდულა, „ივერია“, 1890 წელს იუწყებოდა, რომ შუა ბაზარში „სარაჯევის ქარვასლა“ იძლეოდა იჯარით. მსურველებს ქარვასლის პატრონისათვის პირობების გასაცნობად შეეძლოთ მიემართათ.

„ქარვასლაში მოდიოდნენ შორეული ინდოეთის და ირანის პროვინციების საქონლით დატვირთული ქარავნები. 40-იან წლებში თბილისში სარაჯიშვილის სავაჭრო სახლი ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ფირმას წარმოად-

გენდა“ (პაატა გუგუშვილი).

1847 წლის, პლატონ იოსელიანის რედაქტორობით გამოცემულ — „ხაკაკაზსკი ვესტნიკის“ (№6) ფურცლებზე გამოქვეყნებულ ნეკროლოგში წერია: „1847 წლის 24 თებერვალს, თბილისში, 95 წლის ასაკში გარდაიცვალა გუბერნიის მდივანი დავით გიორგის ძე სარაჯიშვილი. საქართველო-იმერეთის გუბერნიების შემოღების შემდეგ ვაჭრობის პირველი დამწყები რუსეთ-საქართველოს შორის. მასზე ცნობისმოყვარეობით მიანიშნებდნენ, როგორც — „პირველ ვაჭარზე“. 1800-20 წლებში მისი სახლი იყო პირველი შექმნილი და დაფუძნებული პატიოსან ვაჭრობაზე — ღირსსახსოვრად ღარიბთათვის, რომელთაც არაერთხელ წაშველებია; ასევე, სასულიერო მამებისათვის, რომლებიც მასში ეძებდნენ მფარველს ეკლესიის საჭიროებისათვის. „არ არის ეკლესია, რომ არ მოეხსენებინოს ლოცვებში დავით გიორგის ძე სარაჯიშვილის სახელი“. განთქმული მარტყოფის ტაძარი აშენებულია სარაჯიშვილის სახლის დანახარჯით. სიონის ტაძრის ზარი, ერთადერთი, თავისი სიდიდის მიხედვით ამიერკავკასიაში, ტაძრისათვის შეწირული, გამოწერილია და ჩამოტანილია მის მიერ. როგორც ეკლესიის საყვარელი შვილი „ის იყო პატივცემული საეკლესიო მამების მიერ. საქართველოს ექზარქოსმა თეოფილაქტემ კავკასიაში ოსებს შორის სახარების ქდაგების გამო, იშუამდგომლა, დავით სარაჯიშვილისათვის მიენიჭებინათ „გუბერნიის მდივნის“ ჩინი. 1816 წლიდან მუდმივად იყო სიონის კათედრარული ტაძრის ქტიტორი, გამრჯელი და ფხიხელი საქრისტიანოს სუილის ღვთისმოსავი. როგორც თანამედროვე და პირადად მცნობი ერეკლე II-ის და გიორგი XII-ის, ის იყო XVIII საუკუნის და XIX საუკუნის პირველი ნახევრის, საქართველოს მოვლენების, მღვლვარე ამბების, სამეფოს მდგომარეობისა და თბილისის აოხრების (1795) „ცოცხალი არქივი“.

ღრმა მოხუცებულობის ბოლო წლებში, მხედველობადაკარგული, სამარადისოდ გაინათლა კურთხევით, ყოველი მართლმადიდებელ მორწმუნეთა და ადამიანთაგან. საქართველოს ექზარქოსმა ისილორემ დავით გიორგის ძე სარაჯიშვილის ცხედარი, სიონის ტაძარში საეკლესიო წესის აგების შემდეგ, გააცილა ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში, შემდეგ კი ვერის ძველ სასაფლაოზე, სადაც დაემკვიდრა სამუდამო სასუფეველს.

ადოლფ ბერჟეს რედაქტორობით შედგენილ კაპიტალური „აქტების“ მიხედვით, დავით გი-

ორგის ძე მოიხსენიება, როგორც „თბილისის სახელოვანი მოქალაქე“, ვინც რუსეთის მთავრობის შემოსვლის პირველივე დღეებიდან ჩათვლილია „პირველ ვაჭრად“ და პირველ ქართველად, ვინც რუსეთსა და საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებში „გზა გახსნა“, უკიდურესი გაჭირვების ქაშის იგი ითვლებოდა მოუწყობელი უგზოობის პირობებში გაუკვალა კავკასიის ქედის სავაჭრო გზის გამკაფავად, ვინც „სხვებს აღუძრა სურვილი“ რუსებთან ვაჭრობისა. დავით გიორგის ძე „ფლობდა პირველ ადგილს მოსახლეობაში“. იბრძოდა „გადამდები ავადმყოფობის წინააღმდეგ“ გაჭირვებაში ჩავარდნილ მოსახლეობას დაეხმარა ხორბლითა და პურის ფქვილის რუსეთიდან შემოტანით. ააშენა სახლები, გააფართოვა სპილენძისა და აბრეშუმით ვაჭრობა. იზრუნა, მოსახლეობას წვრილმანამდე აუცილებელი საჭირო საკანცელარო ნივთებიც კი ჰქონოდათ.



დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი

დავით გიორგის ძემ დაამთავრა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი. სასწავლებლის ყოფილ მოსწავლეებთან: თავად ბებუთოვთან, ჩუბინოვთან და ამროსოვთან ერთად „მთავრობის“ დავალებით თარგმნეს „საქართველოს ისტორია“. ყოფილ წარჩინებულ მოსწავლეებს ებოძათ სახელობითი ოქროს საათები წარწერით — „კეთილსინდისიერი და მაღალ ღირებულად შესრულებული თარგმანის გამო“.

საკითხი საქართველოში შემოტანილი და ადგილობრივად დამზადებული ზარების შესახებ, შეიძლება ითქვას, შესწავლილი და გარკვეულია, რომ „არცთუ იშვიათად რუსულ ზარებს საქართველოში შემოტანის შემდეგ მათი ეკლესიებისათვის შემომწირველნი ქართულ წარწერებს უკეთებდნენ“ (ვ. ცისკარიშვილი). დავით გიორგის ძის მიერ, სიონის ტაძრის სამრევლოს დიდი ზარის ჩამოტანა და

ეკლესიისათვის შეწირვის ფაქტი, საქართველოში რუსების შემოსვლის შემდეგ ქველმოქმედების დასაწყისად უნდა ჩაითვალოს. ქველმოქმედებისა და მეცენატობის დამკვიდრება - შემოღებაში საქართველოში, სარაჯიშვილები პირველები არიან. რაც შეეხება სიონის ტაძრის სამრევლო დიდი ზომის ზარის შეწირვას ვ. ცისკარიშვილის წიგნი არ იცნობს. რაშია საქმე? მოვიგონოთ დოკუმენტალური კადრები, კომუნისტების შემოსვლასთან დაკავშირებით, მათ მიერ ეკლესიების მიმართ ჩადენილი უსამართლობა — ეკლესიების ნგრევა, გაძარცვები და უბედურობები, რაც საბჭოთა წყობილებას აქვს ჩადენილი, როგორც ენთუზიაზმით და მონდომებით, სამრევლოდან ავდებენ სიონის დიდ ზარს ყველას დასანახად. „აქტების“ მიხედვით, დავით ზაქარიას ძე, 1866-67 სასწავლო წელს, სასწავლებლად გაემგზავრა რუსეთში, აღექსანდრე ცაგარელთან ერთად. მათ თან წაიღეს ნიკო ჩუბინაშვილის „სარეკომენდაციო წერილები“ დავით ჩუბინაშვილთან, რომელიც რუსეთში იყო დიდი სახელის მქონე მეცნიერი, პროფესორი. პეტერბურგის უნივერსიტეტმა თავისი არსებობის მანძილზე, პირველად აღნიშნა დ. ჩუბინაშვილის 50 წლის იუბილე და პირველს მიანიჭეს დემიდოვის ოქროს მედალი.

ზედწოდება — „ცოცხალი არქივი“, დავით გიორგის ძეს შეარქვეს, რადგან თავისი თვალებით ნახა 1795 წლის და ავადსახსენებელი ალა-მაჰმად-ხანის მიერ გადამწვარი თბილისი, დატრიალებული უბედურებები. ზედმიწევნით იცოდა ძველი საქართველოს ისტორია. მეგობრებთან ერთად საქართველოს ისტორიის თარგმნის დროს დაგროვილი ცოდნა გამოიყენა ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში.

როგორც ცნობილია, მთვრობის ოფიციალურ სასწავლებელს კეთილშობილთა სასწავლებელი წარმოადგენდა, როელიც 1804 წ. დაარსდა მთავარმართებელ დიმიტრი ციციანოვის დროს. აქ სწავლების პერიოდში მოსწავლეებს დაურიგდათ საკითხები, ვის რა უნდა ეთარგმნათ. სამუშაოს შესრულების შემდეგ დავით გიორგის ძეს რუსულ ენაზე თარგმნილი საქართველოს ისტორიიდან გარკვეული მონაკვეთი მთავრობაში სარეცენზიოდ გადაუგზავნა დიმიტრი ყიფიანს. ყიფიანის მიერ შდგენილი ორფურცლიანი რეცენზია ლიტერატურის მუზეუმში ინახება.

ვფიქრობთ, დავით გიორგის ძემ სარაჯიშვილის ცხოვრების გზა ნათლად გამოსატყვეს ამ პიროვნების სილიადეს.

ინფორმაცია - რეცენზიები

აინი მიუზიჩიძე


სტერეოტიპების დასანგრევად (ფიქრები ვახტანგ გურულის ახალ ნაშრომზე „საქართველოს ახალი ისტორია. 1801-1918“. ნიშნი I)

გამოვიდა ისტორიკოს ვახტანგ გურულის ახალი ნაშრომი „საქართველოს ახალი ისტორია. 1801-1918“. წიგნი I. ავტორის მითითებით, მას საფუძვლად დაედო წლების განმავლობაში უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის წაკითხული ლექციების კურსი. წიგნის დიდ მნიშვნელობას განაპირობებს, ერთი მხრივ, თემის აქტუალობა, მეორე მხრივ, მისი ავტორის კომპეტენცია საქართველოს ისტორიის კვლევის სფეროში.

საქართველოს ისტორიის 1801-1918 წლების მონაკვეთი საფუძვლად უდევს ჩვენს დღევანდელს, ჩვენი ქვეყნის რყევებს შიდა თუ საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში. მან ერთგვარად განსაზღვრა ჩვენი აზროვნების მოდელიც, რომელიც, მიუხედავად ასეთი ხანგრძლივი და მრავალგანზომილებიანი ისტორიული გამოსვლებისა, მაინც თითქოს

დიდად არც კი შეცვლილა. არ შეცვლილა იმის გამო, რომ უცვლელი დარჩა მისი მასაზრდოვებელი გარემო - ჩვენ ისევ უზარმაზარი ჩრდილოური იმპერიის საცეცხებს ქვეშ ვართ, რომლის ნაწილიც 1801 წლიდან ოფიციალურად გაეხდით და დღემდე სრულად ვერაფრით ვითავისუფლებთ თავს. ამ პერიოდიდან რუსეთი ერთდროულად გახდა ჩვენი ქვეყნის მოკავშირეცა და მტერიც - მან თავისი უზარმაზარი სამხედრო რესურსების გამოყენებით ამიერკავკასიიდან განდევნა საქართველოს ძველი და ძლიერი მტრები და ამავე დროს გააუქმა საქართველო, როგორც სახელმწიფო; ფიზიკურ მოსპობას გადაარჩინა ქართველი ხალხი, მაგრამ გამაღებით დაიწყო მისი გარუსება; გაძარცვა და შებღალა ქართული კულტურის ძეგლები, მაგრამ მოგვიანებით, თუმცა მცირე დოზებით, მაგრამ მაინც, მისცა ქართველ ხალხს საკუთარი კულტურული პოტენციალის გამოვლენის საშუალება (მ. ვორონცოვის პერიოდი). დამოუკიდებლობის სამმა წელმა ახალი იმედები და აღმაფრენა შემატა ქართველ ხალხს, თუმცა მას მალევე ჩაენაცვლა „მოძმე“ რუსეთის 70-წლიანი „მეგობრული დახმარება“ თავისი ბოლშევიკური იდეოლოგიითა და მძლავრი საინფორმაციო-პროპაგანდისტული მექანიზმით.

ისტორიის გაყალბება იყო და არის რუსეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი და ეფექტური იარაღი, რითაც მოქმედებს სხვა ხალხების შეგნებაზე. სწორედ ქართულ-რუსული ურთიერთობის ისტორიის მიზანმიმართულმა გაყალბებამ განაპირობა ჩვენი საზოგადოების გაორებული დამოკიდებულება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისადმი. ისტორიული ფაქტების ნაწილობრივმა ან სრულმა მიჩქმალვამ, მათმა არაობიექტურმა, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე შეფასებებმა საზოგადოებაში შექმნა უნდობლობის განწვობა ისტორიული მეცნიერების მიმართ. მიუხედავად პოლიტიკური ზეწოლისა, სხვადასხვა პერიოდში ქართველი მეცნიერების ცნობილი წარმომადგენლები ქმნიდნენ



ნაშრომებს, რომლებშიც ცდილობდნენ ისტორიის ობიექტურ ანალიზს, მაგრამ საერთო სურათს ეს დიდად არ ცვლიდა. საზოგადოებაში გაჩნდა შავი ხერხელების სხვადასხვა წყაროებიდან ამოვსების სურვილი, რომელთა შორის ლამის წილი ხალხის ფანტაზიით ნა-საზრდოები ისტორიაა.

დღეს, წინა თაობებისაგან განსხვავებით, მეცნიერებს ისტორიულ დოკუმენტებთან წვდომის მეტი საშუალებები აქვთ, ცენზურის წნეხიც აღარ უშლით ხელს კვლევის პროცესში. აი, აქ უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მკვლევარის პროფესიონალიზმსა და ანალიტიკურ ნიჭს. ვახტანგ გურული ისტორიკოსთა იმ ნაწილის წარმომადგენელია, რომელთაც ძალუბთ საქართველოს ისტორიული წარსულის ობიექტური და მაღალ მეცნიერული დონეზე კვლევა.

დასახელებული წიგნი პირველივე შეხედვისთანავე ახდენს ვიზუალურ შთაბეჭდილებას - ეს არის 30 სმ ზომის 650-გვერდიანი ნაშრომი. წიგნი ილუსტრირებულია, თუმცა ზომიერების ფარგლებში - ძირითად ჩართულია ისტორიულ პირთა პორტრეტები. იმის გათვალისწინებით, რომ ტექსტისათვის გამოყენებულია მცირე ზომის შრიფტი, გასაგები ხდება, თუ რა კოლოსალური შრომაა გაწეული ამ დიდი მოცულობის სახელმძღვანელოს შესაქმნელად.

ნაშრომის შესავალში ორი საკითხია გამოტანილი: 1) საქართველოს ახალი ისტორიის პერიოდიზაცია; და 2) საქართველოს ახალი ისტორიის ისტორიოგრაფია. პირველ პარაგრაფში მკვლევარი გვთავაზობს საქართველოს ახალი ისტორიის პერიოდიზაციის მისეულ ხედვას და ასაბუთებს კიდევ თავის მოსაზრებას ამ საკითხზე. მეორე პარაგრაფში კი მიმოიხილავს საქართველოს ახალი ისტორიის მეცნიერული კვლევის ისტორიას თავისი პარადოქსებითა და მიღწევებით. ეს მონაკვეთიც ასევე მნიშვნელოვანია სტუდენტებისათვის - მომავალი მეცნიერ-ისტორიკოსებისათვის, რადგან ერთ მოლიან სურათად წარმოუდგებათ წინა თაობის მკვლევართა ნაღვაწი.

წიგნის პირველი თავი „საქართველოს ტერიტორია, მოსახლეობა, სოციალური სტრუქტურა“, ისევე როგორც მთელი ნაშრომი, შედგენილია ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობისა და სოციალური სტრუქტურის შესახებ მონაცემები აღებულია საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა წლებში ჩატარებული კამერალ-

ური აღწერების შედეგებიდან. მოსახლეობის ფონის ასეთი წარმონაჩენი ხელს უწყობს მკითხველს ამ ტერიტორიაზე განვითარებული პოლიტიკური მოვლენების უკეთ გააზრებაში.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეების რუსეთის შემადგენლობაში გადასვლის პერიპეტიებს - იმედებს და იმედგაცრუებებს, გმირობებისა და ღალატის მაგალითებს, აჯანყებებს და სხვადასხვა ტიპის დიპლომატიურ თუ საომარ დაპირისპირებებს. ავტორის თხრობა გაჯერებულია ფაქტობრივი მასალებით მოვლენებისა თუ ისტორიულ პირთა შესახებ, რომლებსაც ახლავს მკვლევარის მიერ ჩამოყალიბებული შეხედულება სხვადასხვა საკითხებზე. ამ ავე დროს, ვახტანგ გურული იყენებს ისტორიოგრაფიაში უკვე დამუშავებულ საკითხებს. „ნაშრომი ემყარება ქართულ, რუსულ და სხვა უცხო ენებზე გამოქვეყნებულ წყაროებსა და სამეცნიერო გამოკვლევებს“ - წერს იგი.

სახელმძღვანელოს ახლავს რამდენიმე დანართი: ტექსტში გამოყენებული ზომა-წონის ერთეულები; რუსეთის იმპერიის ჯარში არსებული სამხედრო წოდებები; რუსეთის იმპერიის სამხედრო შენაერთები. აქ წარმოდგენილი ტერმინოლოგიის ცოდნა უფრო გასაგებს გახდის სასწავლო ტექსტს სტუდენტებისათვის და ამ პერიოდის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის. წიგნის ბილოს მოთავსებულია სახელთა საძიებელი, რომელიც მოხერხებული მექანიზმია ასეთი მოცულობის ნაშრომში ინფორმაციის მოსაძიებლად.

ვახტანგ გურულის წიგნის - „საქართველოს ახალი ისტორია. 1801-1918. I ნაწილი“-უპირველესი ნიშანი მისი თემატური აქტუალურობაა, მეთოდი - ისტორიული დოკუმენტების დიდი მოცულობის გამოყენება და ობიექტური ანალიზი, რომელიც ეყრდნობა ისტორიულ მეცნიერებაში დაგროვებულ მდიდარ მემკვიდრეობასა და ახალ ხედვებს. მიზანი კი არის ორი საუკუნის განმავლობაში დაგროვებული ყალბი სტერეოტიპების ნგრევა და რეალური ისტორიის ცოდნის დახმარებით საქართველოს მომავლის განჭვრეტის უნარის შექმნა.

როგორც ცნობილია, ყოველი ახალი ნაშრომი, სამეცნიერო იქნება თუ ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობების სხვაგვარი გამოვლენა, ფასდება შედეგით, მისი დადებითი მხარეებით. შედეგი კი დროს მოაქვს. თუმცა ვახტანგ გურულის წიგნის ღირსებები მისი სასიკეთო შედეგების უტყუარი მაცნეა.


ნანა ფიხსანაძე

მონობრაფია ჩერქეზი ხალხის კულტურის შესახებ

„ჩერქეზული კულტურა. I. ეთნიკური ისტორია და კულტურა“ – ასე ჰქვია პროფესორ ნუგზარ ანთელავას ნაშრომს, რომლის წინათქმის მიხედვით ვგებულობთ, რომ „ჩრდილო-დასავლეთი კავკასია ათასწლეულების მანძილზე საერთაშორისო გეოპოლიტიკური ინტერესების განუწყვეტელი დაპირისპირების რეგიონი იყო. ამ დაპირისპირებათა ფონზე წარმართა ჩერქეზი ხალხის ეთნოგენეზის პროცესი, მისი პერმანენტული ბრძოლა გადარჩენისა და თავისუფლების შენარჩუნებისათვის. ასეთმა ვითარებამ განაპირობა გასამხედროებული ხასიათის ადილური კულტურისა და სამხედრო მენტალობით გაჯერებული ეთნიკური თვითშეგნების ჩამოყალიბება. მეომრის განსაკუთრებულმა სტატუსმა

შემოადინიშნული ფსიქოლოგიური ტიპი საბოლოოდ მაინც ვერ გაანადგურა.

ადილები თანამედროვე ადილელების, ყაბარდოელებისა და ჩერქეზების საერთო სახელწოდებაა. ყველა ადილს ერთიანი წარმომავლობა, ტრადიციული კულტურა და ახლომონათესავე ენობრივი კავშირი აქვს. ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, ადილები კავკასიელი ავტოქტონები არიან. რასობრივი სისტემატიკის მიხედვით, მათი უმრავლესობა დიდი ევროპეიდული რასის კავკასიურ-ბალკანური ქვერასის პონტოურ ტიპს განეკუთვნება, აღმოსავლელი ადილების ნაწილი კი – კავკასიონურ ტიპს. თვითსახელწოდება ადილა (ადыгэ) ჩერქეზი ეგზოეთნონიმის სინონიმს წარმოადგენს. ამიტომ წინამდებარე



და სამხედრო საქმის მაღალპრესტიჟულობამ დიდად განსაზღვრა მილიტარიზებული ჩერქეზული საზოგადოების ტრადიციული კულტურის თითქმის ყველა დარგის ფორმირება და განვითარება. ყოველივე ამან შექმნა საფუძველი პიროვნების განსაკუთრებული ფსიქოლოგიური ტიპის ფორმირებისათვის, ტიპისა, რომელიც ექსტრემალურ ვითარებას მაქსიმალურად იყო მორგებული. კავკასიის უსაშველოდ გაჭიანურებულმა ომმა კი, რომელმაც ჩერქეზთა არამარტო სამოსახლო ტერიტორიისა და ტრადიციული სამეურნეო კულტურის, არამედ მათი ეთნიკური სხეულის რღვევა, ფაქტობრივი გენოციდი, გამოიწვია,

წიგნში აღნიშნული ეთნონიმები გამოიყენება, როგორც თანაბარმნიშვნელოვანი ტერმინები. გამონაკლისს წარმოადგენს ჩერქეზი სახელწოდების გამოყენება ვიწრო, მეორეული მნიშვნელობით – ყარაჩაი-ჩერქეზეთში მცხოვრები ადილების (ყაბარდოელების) აღსანიშნავად. ამ მიზნით, ტერმინი „ჩერქეზი“ საბჭოური წარმოსობისაა.

XIX საუკუნეში, კავკასიის ომის მსვლელობისა და მისი დასრულების შემდგომ პერიოდში, რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციამ ჩერქეზთა (ადილეთა) უდიდესი უმრავლესობა ოსმალურ თურქეთში იძულების წესით გადაასახლა. ამჟამად ისინი თურქეთში,

სირიაში, იორდანიაში, ისრაელში, აშშ-სა და სხვა ქვეყნებში ცხოვრობენ. თავიანთ ისტორიულ სამშობლოში დარჩენილი ადიღების შთამომავლები, ძირითადად, ჩრდილო-დასავლეთ და ცენტრალურ კავკასიაში, რუსეთის ფედერაციის სამ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნში - ადიღეს, ყაბარდო-ბალყარეთისა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკებში სახლობენ.

თანამედროვე კვლევების მიხედვით, მარტო თურქეთში 3 მილიონზე მეტი ჩერქეზი (ადიღელი) ცხოვრობს. ისტორიულ სამშობლოში და, საერთოდ, რუსეთის ფედერაციაში მოსახლე ადიღების (ჩერქეზების) რაოდენობა, 2002 წლის აღწერით, 717 თასზე მეტ კაცს შეადგენს.

წიგნი, რომელსაც მკითხველთა ფართო წრეს, განსაკუთრებით კი, პედაგოგებსა და სტუდენტ ახალგაზრდობას ვთავაზობთ, ჩერქეზთა ეთნიკური და პოლიტიკური ისტორიის, ეთნიკური კულტურის (პირველადი წარმოების, სიცოცხლის უზრუნველყოფის, სოციალურ-ნორმატიული და პუმიანტარული კულტურის) თითქმის ყველა საკითხს მოიცავს და, ბუნებრივია, ცალკეული ხარვეზებისგან დაცული არ იქნება. ავტორი შენიშვნებსა და რჩევებს მაღლიერებით მიიღებს და მომავალ გამოცემაში აუცილებლად გაითვალისწინებს.

მონოგრაფიის შესავალში მიმოხილულია ჩერქეზთა ეთნიკური კულტურის კვლევის სფეროში არსებული მდგომარეობა, ჩრდილო-დასავლეთი და ცენტრალური კავკასიის ბუნებრივ-გეოლოგიური პირობები, ეთნოლემოგრაფიული ვითარების ისტორიული დინამიკა და ჩერქეზული ენები.

ნაშრომის ერთ-ერთი პარაგრაფი „ჩერქეზული დიასპორა“ ეთმობა თურქეთში, სირიაში, იორდანიაში, ეგვიპტეში, ტუნისში, ისრაელში, აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში მცხოვრები ჩერქეზების ისტორიას.

ჩერქეზთა ისტორიის შესახებ უძველესი პერიოდიდან 1917 წლამდე, მათი დრამატული და ტრაგიკული მოვლენებით გაჯერებული ეთნიკური და პოლიტიკური ისტორია, რასაც ამ მამაცი ხალხის გენოციდი მოჰყვა, მოთხრობილია ამ მონოგრაფიის მეორე თავში. ნაშრომის მესამე თავში კი, რომელიც ამ ქვეყნის ეთნიკური კულტურის საყოველთაო სტრუქტურებს ეხება, გაანალიზებულია პირველადი წარმოებისა (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეცხენეობა, მეფუტკრეობა, დეკორატიული ხელოვნება, შინამრეწველობა) და სიცოცხლის უზრუნველყოფის (დასახლებისა და საცხოვრებელი კომპლექსი, ტრადიციული კოსტუმი, სუფრის ეტიკეტი) კულტურები.

ნაშრომში არ არის გამორჩენილი ჩერქეზული მატერიალური თუ არამატერიალური კულტურის თითქმის არც ერთი სფერო.

მონოგრაფიის მეოთხე თავში „სამხედრო კულტურა“, მიმოხილულია ჩერქეზული რაინდული კოდექსი „Урхъ Хабзе“, ლაშქრობათა ორგანიზება და სამხედრო შენაერთთა სახეობები, ომის გამოცხადებისა და ბრძოლის წარმოების წესები, მეომრის სტატუსი და სიკვდილის ჩერქეზული იდეოლოგია, სამხედრო საქმესთან დაკავშირებული რელიგიური კულტები და რწმენა-წარმოდგენები.

სოციალურ და ნორმატიულ კულტურას ეხება მონოგრაფიის მეხუთე თავი, სადაც მკითხველი ეცნობა ჩერქეზ თავად-აზნაურთა ფენას, გლეხთა კატეგორიებსა და მონებს, მმართველობის სისტემას, ოჯახსა და საოჯახო ყოფას, საზოგადოებრივი თვითრეგულაციის ტრადიციულ ინსტიტუტებს, სტუმარ-მასპინძლობას.

მექვსე თავი პუმიანტარულ კულტურას ეთმობა: მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ ხელოვნებას, ზეპირსიტყვიერებას, სახალხო თეატრის საწყისებს, რელიგიას – წარმართობას, ქრისტიანობასა და ისლამს, ჩერქეზულ სალოცავებს, ეთნომედიცინას, ასტრონომიას, მეტეოროლოგიასა და ქრონოლოგიას.

მონოგრაფიის მეორე ნაწილი ჩერქეზეთის არქეოლოგიურ კულტურებს, ჩერქეზულ ორნამენტს, ნართულ თქმულებებსა და ასევე XVII-XIX სს. ევროპელ და რუს მხატვრებს ეძღვნება, რომელთაც თავიანთ ნამუშევრებში უკვდავყვეს ჩერქეზული თემა.

ნაშრომს ერთვის ტერმინთა, საგანთა, პირთა სახელების, ტოპონიმთა, ეთნონიმთა, თეონიმთა, მითოლოგიურ პერსონაჟთა საძიებლები და ბიბლიოგრაფია ყოველი თავის ბოლოს.

მონოგრაფიის რედაქტორია საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრის დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერაბ ჩუხუა. წიგნი გამოსცა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობამ, ერთვის ევროპელი და რუსი მხატვრების, მათ შორის ზოგიერთი უცნობის, უიშვიათესი ფერადი ილუსტრაციები და პორტრეტები.

პოლიგრაფიული თვალსაზრისით, პროფესორ ნუგზარ ანთელავას მონოგრაფია „ჩერქეზული კულტურა. I. ეთნიკური ისტორია და კულტურა“ ბოლო დროის ერთ-ერთი საუკეთესო გამოცემაა.

წიგნის ინგლისურენოვანი ვარიანტი 2016 წელს გერმანიაში, ქ. ზაარბრიუკენში გამოქვეყნდა.

შინა სომონიძე

სიმართლით ასახული ცხოვრება

ავტორი ალექსანდრე ლორია ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილია როგორც საბიბლიოთეკო დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც ათეული წლებია მოღვაწეობს საბიბლიოთეკო საქმის სფეროში. როგორც ბიბლიოთეკათმცოდნე, მისი მოღვაწეობა, ძირითადად, საბიბლიოთეკო კადრების მომზადებასთანაა დაკავშირებული-დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე, პრორექტორი, დეკანი პედუნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგე -აი ის უმთავრესი თანამდებობები, რომლებზეც ღირსეულად მოღვაწეობდა. მისი სამეცნიერო სტატიები სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამეცნიერო სესიებსა თუ კონფერენციებზე გამოსვლები საყოველთაოდაა ცნობილი საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული დარგის სპეციალისტებისათვის. ამდენად, ერთგვარ სასიამოვნო ფაქტად მივიჩნით თავის დროს მისი გამორჩენილი სამწერლო ასპარეზზე.

ნოველები, მოთხრობები, ლექსები, დრამატული ნაწარმოებები-იბეჭდებოდა პერიოდულ

ორგანოებში და ცალკეული ბროშურებისა თუ წიგნების სახით, რაც დიდ ინტერესს იწვევდა მკითხველთა შორის, მაგრამ ამჟამად საკმაოდ დიდი მოცულობის რომანი შემოგვთავაზა, რომელმაც კიდევ უფრო გაამახვილა ჩვენი ყურადღება მისი მხატვრული შემოქმედებისადმი.


გასულ წელს საგამომცემლო სახლის შპს „ემ-პი-ჯი“ ჯგუფმა გამოაქვეყნა ჩვენი მკითხველისათვის უკვე ცნობილი რომანი-ალ. ლორია - „ფლორენცი“, (278 გვ). იგი ეხება ერთი ოჯახის ცხოვრებას თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე.

ავტორი მკითხველისადმი თავის მიმართვაში ერთგვარად ეჭვს გამოთქვამს, იმასთან დაკავშირებით, რომ ის პერიოდი, რომელიც ასახულია რომანში, თანამედროვე მკითხველისათვის შეიძლება არ იყოს საინტერესო, მაგრამ ამავე დროს გამოთქვამს სავსებით სამართლიან მოსაზრებას-იმდენად, რამდენადაც მოცემულ ეპოქაში შექმნილი ნაწარმოებები, ობიექტური მიზეზთა გამო, ვერ ასახავენ ჭეშმარიებას, თანამედროვე გადასახედიდან საინტერესო უნდა იყოს, მით უფრო, როცა ამ ეპოქის თვითმიხილველთაგან იგებს, რაც მაშინ იყო და როგორადაც იყო.

რომანის წინათქმას და ანოტაციაში გვამცნობს, რომ ნაწარმოების მიზანი არ არის პოლიტიკური ვითარების ასახვა, არამედ „მთავარ გმირთა სულიერი მოძრაობანი, მათი ადამიანური ღირსებანი, თვისებების, ურთიერთობების, შინაგანი თავისებურებების, სიხარულისა და მწუხარების, დაცემისა თუ ამაღლების ტრაგიკულისა თუ კომიკურის სიმართლით ჩვენება“. უნდა ითქვას, ეს მიზანი სავსებით სრულყოფილთაა მიღწეული. რაც შეეხება არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, ის ნათლად ისახება წიგნის გმირთა ცხოვრებისეული მოვლენების ჩვენებისას.

მართალია, ნაწარმოების გმირები გურიის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრები არიან, მაგრამ მათი ცხოვრების პირობები, მოთხოვნილებები, სულიერი ძვრები, მისწრაფებები, ყოფითი მოვლენები იმდენად საყოველთაოა, რომ მთელ საქართველოს განზოგადებული სურათია დახატული.

ცნობილია, ნაწარმოებში მოცემული ოჯახის ცხოვრება კონკრეტულ გარემოში ნამდვილად არსებულ ფაქტებზეა აგებული. აღ-



ბათ სწორედ ამიტომაცაა პერსონაჟთა ასეთი მართალი სახეები, ფსიქოლოგიურად ჭეშმარიტად ზუსტი სულიერი სამყარო, ადეკვატური მოქმედებები. ასე გეხვეწება, თითქოს თვალხილულად ხედავ ამ ადამიანებს, მონაწილე ხარ მათი ყოფით საქმიანობაში. ამ მხრივ ავტორი უდავოდ ოსტატურად ართმევს თავს რთელ მოვლენებს.

სიუჟეტი საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესოა. როგორც იტყვან, „ერთი სულის მოთქმით იკითხება“, მოქმედ პირთა ცხოვრებას თითქოს თვალნათლივ ვადევნებთ თვალს, თავად ვიყავი მათ შორის, მათი ცხოვრების თანამონაწილე, მათი სიხარულით ვხარობდი და მათ მწუხარებას ვიზიარებდი.

ნაწარმოები ნამდვილად მაღალმხატვრული ღირსებით გამოირჩევა. დიდი ესთეტიკური სიამოვნება მომგვარა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ავტორის თხრობის სისადავე, დახვეწილი ენა, ლექსიკის უხვი მარაგი, მხატვრული ხერხების ოსტატურად გამოყენება, იუმორი, მძაფრი განცდების ადეკვატურად გადმოცემა. რაც მთავარია, ეს წიგნი უდავოდ დიდი ღირსების ნაწარმოებს წარმოადგენს, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ყველა მკითხველს სიამოვნებას მოჰგვრის.

მინდა მაღდიერების გრძნობით გამოვეხმაურო ალექსანდრე ლორიას ასეთ ღირსშესანიშნავი ნაწარმოების შექმნისათვის.


ზაიხა სახაჯიშვილი

ინჟინერ-მშენებელი, მასენიერი, სპ. საინჟინერო ახალაიის ნაჰი

ახალი დარგობრივი ლიტერატურა

საქართველოს არქიტექტურთა და მშენებელთა საენციკლოპედიო საგამომცემლო ფონდმა გასულ წელს გამოსცა „საქართველოს არქიტექტურთა და მშენებელთა ენციკლოპედია“ (სამე) თბ., 2017. გამომცემელთა დიდ ჯგუფს ვუძღვებთ მათი ფას-

დაუდებელი შრომის შედეგად უნიკალური, მაღალპოლიგრაფიული წიგნის გამოცემას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სპეციალისტების, ისე ახალგაზრდა თაობისა და ფართო წრეების ინფორმირებისათვის.




მორიბი გამოცემა

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციამ გასული წლის ბოლოს გამოაქვეყნა თავისი ყოველწლიური ორგანო-ალმანახი „მწიგნობარი“-17, (რედაქტორი ლადო მინაშვილი). წიგნი შეიცავს 236 გვერდს და უხვადაა ილუსტრირებული, გარეკანის პირველ გვერდზე მოცემულია ქართული ანბანის სანიშნო სქემა, რომელზედაც ასახულია მრგლოვანი, ნუსხური და მხედრული ასონიშნები.

ანოტაციაში მოკლედ არის ნათქვამი, რომ კრებული „მოგვითხრობს წიგნისა და წიგნის შემდგენლებზე, ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოთეკარებზე, ძიებებზე წიგნის სამყაროში, სხვადასხვა ქვეყნისა და მხარის „მწიგნობობაზე“.

ალმანახში მოცემული მასალა გაშლილია მრავალ რუბრიკას შორის: „ქართული ანბანი მსოფლიო საგანძუში“, „ჩემი ვეფხისტყაოსანი“, „ნიკოლოზ ბარათელი-200“, „ილია ჭავჭავაძე-180“, „საქართველოს მწერალთა კავშირი-100“, „საიუბილეო მისალმება“, „წიგნი და ცხოვრება“, „წიგნის მოამბეები“, „დრო და ადამიანები“, „გამოსათხოვარი“, „საბიბლიოთეკო საქმე“, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, „წარსულის ფურცლები“, „ყალბით და ფუნჯით“, „ბეჭდური წიგნის ისტორია“, „მსოფლიო მერიადიანებზე“, „წიგნის თარო“ და „ქრონიკა“. სულ ალმანახის შედგენაზე 21 ავტორს აქვს მიღებული მონაწილეობა.



ალმანახი „მწიგნობარი“ უდავოდ დიდი საჩუქარია არა მარტო დარგის სპეციალისტებისათვის, არამედ ფართო მკითხველი აუდიტორიისათვის.



პირველი ნომრის გავრცელება რაიონებში

საიუბილუო ნომერი - 70

ბუნება სუნა

ხანგრძლივი სიტყვა - „საქართველოს ბიბლიოთეკას“

დვირფასო კოლეგებო, მეგობრებო, მკითხველებო! განსაკუთრებით მინდა მოგილოცოთ თქვენი და ყველა ჩვენთან განისაჯვარელი ჟურნალის - „საქართველოს ბიბლიოთეკის“ სამოცდამეათე ნომრის გამოსვლას. დავარქვათ ამას საიუბილეო თარიღი და ყველამ ერთად- როგორც რედაქციის წევრებმა, ასევე მკითხველებმა, რომლებიც რეალურად ჩვენი ჟურნალის ავტორები არიან - გავიხაროთ და ვიხეიშოთ! არ დაგვაიწყდეს, ჟურნალის გამოსცემა რომ არასდროს, არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა ადვილი საქმე, დღეს კი ეს საქმე, სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო, ორმაგად გაძნელებულია... ამიტომ, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო პარლამენტის, ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას (გენერალური დირექტორი - მწერალი, გიორგი კეკელიძე) და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას (პრეზიდენტი ქალბატონი - რუსუდან ასათიანი), რომლებმაც, ამ ბოლო წლებში, შეძლეს და დაგვიფინანსეს ჟურნალის მომდევნო ნომრების გამოსცემა. ასე, რომ, უკვე საბოლოოდ დაიმსხვრა, ჟურნალის თითოეულ ნომერზე მუაშობისას, რედაქტორის - ბატონი ალექსანდრე ლორიას შიში - ვაი თუ, უსახსრობამ ხელი შეგვიშალს და ჟურნალის შემდგომი ნომრის გამოსცემა ჩაგვივარდესო!.. ეს შიში ხომ შიშად რჩებოდა, და ახლა ის შრომა იკითხეთ, რა გარჯის ფასად და გონების დაძაბვად უჯდებოდით ჟურნალის მესვეურებს თითოეული ნომრის გამოსცემა: მოიპოვეთ ავტორები, შეაგროვეთ და დაახარისხეთ წერილები, თითოეულს გაუკეთეთ სათანადო

რედაქტირება, შეარჩიეთ შრიფტი, სათაური, სურათები... აასხი მაკეტი და სხვა ათასი წერილმან-მსხვილმანი... ყველაფერი გასაგებია, ეს სამეცნიერო-პოპულარული და მეთოდური ჟურნალი ხომ ერთადერთია საქართველოს საბიბლიოთეკო ცოდნის სივრცეში! ამიტომ სამოცდამეათე ნომრის დღემდე შეუფერხებლად გამოსვლა ავტორებთან ერთად, ჟურნალის რედაქტორის- ბატონი ალექსანდრე ლორიასა და პასუხისმგებელი მდივნის - ბატონი გურამ თაყნიაშვილის დამსახურება და მათი დიდი სიამაყე და სიხარულია! კიდევ ერთხელ გილოცავთ! მინდა რომ მეტი და უფრო მეტი ახალი ავტორიტეტული ავტორების წერილებით გამდიდრდეს ჩვენი ჟურნალი. გაჩნდეს ახალი რუბრიკები და გადიდდეს ჟურნალის ფორმატი. სიყვარული და ინტერესი არ აკლია ჟურნალს, მაგრამ კიდევ უფრო მეტს ვისურვებდი. უცნაურ და სწრაფმავალ ეპოქაში ვცხოვრობთ, სადაც არის კოსმოსში დაგიწყოთ ფრენა სასწაულებრივი ტექნიკით აღჭურვილი ხომალდებითა და ეკიპაჟებით. ყველა დარგის (არა მხოლოდ საბიბლიოთეკო საქმის) ახალთახალი მოკლე და საინტერესო სამეცნიერო (გნებავთ, მხატვრული!) ინფორმაციებით უნდა ივსებოდეს ჟურნალის ფურცლები, თანაც არ უნდა დაგვაიწყდეს მკითხველის გემოვნება, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვაიწყდეს, თუ რამოდენა რთული გვაქვს არა მხოლოდ მკითხველის ინფორმაციულობაში, არამედ, კითხვის გემოვნების ამადლებში! ხანგრძლივი და თანამედროვეობით გააღწეული სულსკვევებით სიცოცხლე ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკას!“



პირველი ნომრის გავრცელება რაიონების ბიბლიოთეკებში



ბუნება თაყნიაშვილი

ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე დაფუძნებული

2000 წლის სამთარი იდგა. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის ლევან ბერძენიშვილის კაბინეტი მორიდებით შევადგე და საქართველოში პირველი პროფესიული ჟურნალის დაარსების თაობაზე ჩამოვუვდე



ლევან ბერძენიშვილი ჟურნალის ერთ-ერთი დამფუძნებელი

საუბარი. ბატონმა ლევანმა ჯერ თითქოს გაცვებით შემომხედა, მერე ცოტა ხნით ჩაფიქრდა; სახის გამომეტყველებაზე ვატყობდი, რომ პასუხს ეძებდა კითხვებზე: როგორ?, რა ძალებით, რა თანხებით, რა საშუალებებით? მერე თითქოს აღტაცების ღიმილმა გადაურბინა სახეზე; ეს დასტურსა და მოწონებას ნიშნავდა; თანხმობა მიღებული იყო; ბატონმა ლევანმა, როგორც დაწესებულების ხელმძღვანელმა, უბრალოდ, თანხმობა კი არ განაცხადა. პირველსავე ნომერში გამოჩნდა მისი სიტყვის საქმით დადასტურება. მან საკუთარი სახსრები გაიღო პირველი ნომრის გამოსცემისთვის. იმავე დღეებში ჩამოვაყალიბეთ სარედაქციო კოლეგია. ჟურნალის მთავარ რედაქტორად მოვიწვიეთ საბიბლიოთეკო დარგის ცნობილი სპეციალისტი, მწერალი და პუბლიცისტი, პროფ. ალექსანდრე ლორია. პირველი ნომრის სარედაქციო კოლეგიაში შევიდნენ: გ. თაყნიაშვილი, გ. სტურუა, მ. რაზმაძე და ნ. ქავთარაძე. მომზადდა პირველი ნომრის მასალები, მათი დიდი ნაწილი წარმოდგენილი იყო რაიონული ბიბლიოთეკებიდან. პირველი ნომრის ყველა სამუშაო პროცესი წარმართა ეროვნული ბიბლიოთეკის ბაზაზე. ჟურნალი დაკაბადონდა ავტომატიზაციის განყოფილებაში გ. დარჩიაშვილის მიერ. პირ-

ველსავე ნომერში განისაზღვრა ჟურნალის პროფილი, ძირითადი რუბრიკებისა და თემატიკის ჩამონათვალი, მისი პერიოდულობა. იმთავიდანვე ჩამოყალიბდა ჟურნალის თანამდგომთა საბჭო, სადაც შევიდნენ იმ დროისათვის ცნობილი პიროვნებები, კულტურისა და განათლების დეველოპმენტი ხელმძღვანელები: ნ. ამადლობელი, თ. გამყრელიძე, ს. გოგიბერიძე, ა. კარტოზია, ვ. სართანია, ბ. სულაკაური და სხვები. სულ 22 კაცის შემადგენლობით. პირველი ნომრის გამოსვლას წერილობით მიესალმნენ: ა. კარტოზია, ლ. ბერძენიშვილი, ნ. ამადლობელი, ი. დარჩიაშვილი, თ. გამყრელიძე და სხვები. პირველი ნომრის წარდგენა გაიმართა 2000 წლის 6 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდნენ საბიბლიოთეკო დარგის, განათლებისა და კულტურის სფეროს ხელმძღვანელი პირები, ბიბლიოთეკარები, მკითხველები; მათ გზა დაულოცეს პირველ პროფესიულ ორგანოს; დამსწრეთაგან ზოგს გაუჩნდა ლოგიკური კითხვა: შეძლებდა თუ არა ჟურნალი ძალების მოკრებას და აღმოჩნდებოდა თუ არა იგი სიცოცხლის უნარიანი ისეთ ატმოსფეროსა და გარემოში, როგორშიც მაშინდელი საბიბლიოთეკო საქმე იყო; მკითხველს შევახსენებთ, რომ საუკუნის დასაწყისში უკვე მიმდინარეობდა სოფლად მოქმედი ბიბლიოთეკების გაუქმება, რაც უფრო „ღანქარებული ტემპით“ გაგრძელდა ახალი საუკუნის პირველი ათწლეულის მანძილზე. ასეთ პირობებში ჟურნალი პირველსავე ნომრიდან ასახავდა რეალურ სურათს, იბრძოდა ბიბლიოთეკების გადარჩენისათვის. ამრიგად, უიმედობა, ჟურნალის გამოსცემისადმი უნდობლობა დაძლეულ იქნა სარედაქციო კოლეგიის, ჟურნალის თანამდგომთა და ბიბლიოთეკარების ერთობლივებით. ჟურნალი გამოიცემოდა დათქმული პერიოდულობით, სულ უფრო საინტერესო პუბლიკაციებითა და ავტორიტეტული პიროვნებების თანადგომით, მორალური და ეკონომიკური მხარდაჭერით. ხმამაღლა არ იქნება ნათქვამი თუ აღვნიშნავთ, რომ ჟურნალის სარედაქციო კოლეგია დაფუძნებიდან დღემდე მუშაობს მაღალი პასუხისმგებლობისა და პროფესიული ერთგულების შესანიშნავი ნიშნითა და თვისებით, პატრიოტიზმში გადაზრდილი ერთობლივებით.

ჟურნალი პირველსავე ნომრიდან ასახავს საქართველოს საბიბლიოთეკო თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს, საბიბლიოთეკო ქსელის მოწყობისა და ბიბლიოთეკების მუშაობის მარეგლამენტირებელ ნორმებს. 2015 წლიდან ჟურნალს აფინანსებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. დამფუძნებლებია აღნიშნული ბიბლიოთეკა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია. ჟურნალი უფასოდ ვრცელდება საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკებში, შეხედული რაოდენობით ღებულობენ სასკოლო და სამეცნიერო ბიბლიოთეკები. ჟურნალი დაფუძნებიდან დღემდე გამოდის წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, ამ ხნის მანძილზე არ არის გამოტოვებული არც ერთი ნომერი, მისი ტირაჟი შეადგენს 500 ეგზემპლარს. ჟურნალის წინა 69 ნომერში (№4-2017) სულ მონაწილეობა აქვს მიღებული 520 ავტორს, გამოქვეყნებულია სულ 1845 სტატია - ერთეული, რომელთა ძირითადი ნაწილი ატარებს სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარულ და მეთოდურ ში-

ნარსს. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ჟურნალი დიდ ადგილს უთმობს საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკებში თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვის საკითხებს, პროექტს წარმატებით ხელმძღვანელობს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია. ჟურნალის წინამდებარე 70-ე ნომერი საიუბილეოა; განვლილმა წლებმა ნათლად აჩვენა მისი ცხოველმყოფელობა და სიცოცხლისუნარიანობა. ჟურნალმა შეადგინა საბიბლიოთეკო სამყაროში, მას ელოდებიან, კითხულობენ, მსჯელობენ, განიხილავენ. ის თავისი შინაარსით, მიზანდასახულობითა და იდეებით უკვე გადაიქცა ბიბლიოთეკართა სამაგიდო გამოცემად. ჟურნალის განახლებული რედაქცია პირვანდელი ენთუზიაზმითა და შემართებით აგრძელებს შემოქმედებით მუშაობას. ჟურნალის ყველაზე დიდი გულშემმატკივარი და ჭეშმარიტი პატრონი საქართველოს საბიბლიოთეკო ინტელიგენცია გახლავთ.

პირველი ნომრის სარედაქციო კოლეგია




მზია რაზმაძე



ალექსანდრე ლორია



გულნარა სტურუა



გურამ თავნიაშვილი



ნინო ქაჯარაძე

ქრონია

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრება მოვლენები, ფაქტები



- » 15 იანვარს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, საქველმოქმედო ფონდ „ქართულ გალობასა“ და ღვინის კომპანია „შილდას“ შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის თანახმად ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაფუძნდება ფოლკლორის დარბაზი. დარბაზი ფუძნდება ეროვნული ბიბლიოთეკის სანოტო და აუდიო-ვიზუალური გამოცემებით მომსახურების განყოფილების ბაზაზე, სადაც ორგანიზებულია ფოლკლორული ჩანაწერების მდიდარი კოლექცია.
- » 16 იანვარს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით მიღებული იქნა შეთანხმება ჩატარდეს სამეცნიერო ფორუმი სახელწოდებით: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ: მოდელი ვეროპისთვის“. ფორუმი გაიმართება 25-30 ივნისს. ფორუმის ორგანიზატორებია თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეროვნული არქივი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ეროვნული მუზეუმი და სამხრეთ კავკასიის კვლევის ამერიკული ინსტიტუტი. სამეცნიერო ფორუმი შედგება სამეცნიერ-

რო კონფერენციისა და საერთაშორისო საზაფხულო სკოლისგან.
 » 30 იანვარს თბილისის კლასიკური გიმნაზიის სასწავლო ნაწილის გამგე ეთერ სალარიძე, პედაგოგები ნანა ჭანტურია, ლიკა თოლორაია 4/6 კლასის მოსწავლეებთან ერთად შეხვდნენ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს გიორგი კეკელიძეს და მოძრაობა „ეკვილიბრიუმის“ ფარგლებში სოფლის ბიბლიოთეკების სთვის და თავისი თანატოლებისათვის საჩუქრად გადასცეს წიგნები. ისინი ასევე ესტუმრნენ და დაათვალიერეს წიგნის მუზეუმი.





» **8 თებერვალს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და საქართველოში უკრაინულ ახალგაზრდულ ორგანიზაცია „სვიტანის“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის თანახმად კიევსა და ლვოვში გაიხსნება ქართული წიგნის კუთხეები.

» **14 თებერვალს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და საქართველოს რაგბის კავშირს შორის გაფორმდა მემორანდუმი. დოკუმენტის თანახმად ეროვნული ბიბლიოთეკა წიგნებით მთამარაგებს სპორტულ დარბაზებს, რითაც ხელს შეუწყობს სპორტსმენების წიგნიერების ამაღლებას.



» **19 თებერვალს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა დიმიტრი ყიფიანის თხზულებათა ავტომეულის მეორე ტომის წარდგენა. მეორე ტომში შესულია დიმიტრი ყიფიანის




პუბლიცისტური, ლიტერატურული და საისტორიო თხზულებები.

» **20 თებერვალს** კახეთის მხარის ბიბ-




ლიოთეკების წარმომადგენლებს შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე. პრეზიდენტის ფონდის მხარდაჭერით კახეთის მხარის 53 სასოფლო ბიბლიოთეკაში



დაიდგა კომპიუტერი ინტერნეტით.

» **23 თებერვალს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე ბათუმში შეხვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრს ი. შამილაშვილს. შეთანხმდნენ სკოლებში სკვერის ბიბლიოთეკების პროექტის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყებაზე. შეხვედრის დროს წიგნები გადაეცათ საჯარო სკო-



ლის ბიბლიოთეკებს.

» **1 მარტს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეექვსე კორპუსში (ს. ცინცაძის №63) გაიხსნა დიდი ქართველი ავიაკონსტრუქტორის ალექსანდრე ქართველიშვილის სახელობის

კაბინეტი.

» **2 მარტს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა „ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი“ს მიერ დაგეგმილი საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნების ინტერაქტიული ვებრუკის პრეზენტაცია.

» **4 მარტს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა მხატვარ-გრაფიკოს დავით შუშანაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.

» **5 მარტს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში თამარ ნიკურაძის წიგნის „ცივრიტის“ პრეზენტაცია გაიმართა.

» **7 მარტს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგა-




მოფენო დარბაზში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა „პირველი რესპუბლიკის ქალები - 1918-1921“ გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული უნიკალური ფოტოები, რომლებიც 1918-1921 წლებშია გადაღებული. ფოტოებზე ასახულია როგორც ცნობილი, ისე სრულიად უცნობი ქალბატონები, რომელთა ფოტოები საოჯახო ალბომებშია თუ არქივებში შემოგვინახა და მათი უმეტესობა პირველად გამოიფინა.

» **9 მარტს** საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ და საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტის American Film Showcase ფარგლებში მთავრობის ბეგველის ფილმი “იოცნებე, გოგონა!”-ს (2014, აშშ)



ჩვენება.

- » **12 მარტს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში ნინო ჭიჭაშუას პოეტური კრებულის „ზეცას გაკიდული ლექსი“ პრეზენტაცია გაიმართა.
- » **13 მარტს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა გულნაზ ხარაიშვილის წიგნი „პაატას მხრებზე დაკლებული სული“.
- » **14 მარტს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში თურქეთში მცხოვრები ქართველი მწერლის, პუბლიცისტისა და მთარგმნე-




ლის ფარნა-ბეკა ჩილაშვილის (Parna-Beka Çılaşvili) ახალი თარგმანის - “თანხმეირ ასო-ბგერათა ანთოლოგია - არაჩვეულებრივი მითხრობები თანამედროვე ქართული ლიტერატურიდან” (“Sessiz Harfler Antolojisi - Çağdaş Gürcü Edebiyatından Sıra Dışı Öyküler”) - პრეზენტაცია გაიმართა.


- » **15 მარტს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში ცნობილი ქართველი ეთნოგრაფის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის თედო სახოკიას დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სადამო

ბუდეში 200-მდე წიგნი განათავსეს, რაც სპორტსმენების წიგნიერების ამაღლებას ისახავს მიზნად.

- » **16 მარტს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა წიგნის „ოლა კოლეკტივიზმს“ პრეზენტაცია.
- » **19 მარტს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში მხატვარ გივი ვაშაკიძის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების გამოფენა გაიმართა.




- » **15 მარტს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ და საქართველოს რაგბის კავშირმა „შეგარდენის“ საწვრთნელ ბაზაზე (გაბრიელ სალოსის



ქუნა) სამკითხველო გაიხსნა. ღონისძიებას დაესწრნენ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე, დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრები. ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ დამზადებულ წიგნის

- » **19 მარტს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვახტანგ მეექვსის კორპუსში „საქართველოს ფერმერთა ასოციაციის, მხარდაჭერით „აგრობიბლიოთეკა“ გაიხსნა.
- » **20 მარტს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა გიორგი კეკელიძის წინასიტყვაობით გამოცემული მურად მიგრიანის ლექსების კრებულის „ჰეი, შენ, ადამიანო!“ პრეზენტაცია.
- » **21 მარტს**, საქართველოს პარლამენტის



ეროვნულ ბიბლიოთეკას ამერიკის ელჩი საქართველოში იან კელი მეუღლესთან, ფრანკესკა კელისთან ერთად ეწვია. ელჩმა ანგლო-ამერიკული სამკითხველო დარბაზის ფონდს ამერიკის „წიგნის ეროვნული



ჯილდოს” მფლობელი ქალი ავტორების 97 წიგნი საჩუქრად გადასცა.

» **23 მარტს** პრეზიდენტის სასახლეში საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ბელარუსის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი გაფორმდა. საქართველოში ბელარუსული, ბელარუსში კი ქართული წიგნის კუთხე გაიხსნება. უახლოეს მომავალში დაიწე-



ბა მჭიდრო თანამშრომლობა ელექტრონული რესურსების გასავითარებლად. ბელარუსის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი რამან მატულსკი ეროვნულ ბიბლიოთეკასაც ეწვია. ის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებს შეხვდა და ბელარუსის ბიბლიოთეკის მუშაობის და იქ განხორციელებული პროექტების შესახებ ესაუბრა.

» **29 მარტიდან** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა კომპანია „გალფთან“ ერთად ერთობლივ პროექტ „წიგნიერს“ იწყებს. პროექტის ფარგლებში „გალფის“ ბენზინგასამართი სადგურების ქსელში რეგიონების სკოლებისა და ბიბლიოთეკებისთვის წიგნები შეგროვდება. „გალფი“ ასევე საწვავით მოამარაგებს მაღალმთიან სკოლებს, სადაც მოსწავლეებისა და პედაგოგების ტრანსპორტირების პრობლემაა. ამ საკითხებზე მემორანდუმს ხელი მოაწერეს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ და კომპანია „გალფის“ მარკეტინგის სამსახურის უფროსმა ნინო ჯიბლაძემ.



რეკვი

ლავით ბიბლიოთეკაში

დასრულდა თბილისის ბაროკო მუსიკის ფესტივალი

2017 წლის შემოდგომაზე თბილისმა მესამედ უმასპინძლა ბაროკო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალს. როგორც წინა წლებში, ასევე ახლაც პროგრამა მოიცავდა როგორც სპექტაკლებს (7 წარმოდგენა), ასევე ლექციებს (4 ლექცია). ტრადიციულად შესრულდა როგორც საგუნდო ნაწარმოებები, ასევე სოლო კონცერტები და საორკესტრო ნაწარმოებები (სოლო ინსტრუმენტის თანხლებით და თანხლების გარეშე). მაგრამ იყო სიახლეც - თბილისს ევროპიდან პირველად

პრანო) თანხლებით აუღერებული უკვდავი „სტაბატ მატერი“. შთამბეჭდავი იყო. რომ არა ტენდენცია საოპერო მუსიკისათვის დამახასიათებელი შესრულების მანერის გამოყენებისა, სხვა წუნს ამ შესრულებას ვერ მოუნახავდა გამოცდილი მსმენელიც. იტალიური საეკლესიო ბაროკო მუსიკის სინთეზი ქართულ საეკლესიო მუსიკასთან მეტად სინერგიული გამოდგა. მსმენელი დატკბა, როგორც ქართული გალობის, ასევე ევროპული საეკლესიო მუსიკის ჰანგებით. გერმანელმა დირიჟორმა -



ეწვია ძველებური მუსიკის ორკესტრი - ეს იყო სახელგანთქმული 'ბერლინის ძველებური მუსიკის აკადემია' (Akademie fur Alte Musik Berlin) ბერნჰარდ ფორკის (Bernhard Forck) ხელმძღვანელობით (იხილეთ წერილი წინა ნომერში). ყველა სხვა სპექტაკლზე გამოდიოდა „საქართველოს სინფონიკა“, რომელიც მასპინძლის როლში იყო.

მოულოდნელი სიახლე აღმოჩნდა ჯოვანი ბატისტა პერგოლესის „სტაბატ მატერთან“ ერთად იმავე სადამოხე ქართული საგალობლების შესრულება ანსამბლ „ანჩისხატის“ გუნდის მიერ. დასავლეთიდან ჩამოსული ჩვენი ორი მომღერლის (საღამე ჯიქია - სოპრანო და ქეთევან ქემოკლიძე - მეცოლს-

კორნელია ფონ კერსენბროკმა (Cornelia von Kerssenbrock) საგუნდო მუსიკის მრავალფეროვანი პროგრამა შემოგვთავაზა - წარმოდგენილი იყო ბახის, ჰენდელის, ვივალდისა და პიორსელის მუსიკა. მისი მანერის შესაბამისად, შესრულება იყო მონუმენტალური - დიდი (ორი სხვადასხვა) გუნდის მონაწილეობით და უჩვეულო ფორტისიმოებით, რაც ბეთჰოვენის „საზეიმო მესისათვისაც“ კი იქნებოდა შესაფერი. აქ, სასიამოვნოდ გამოჩნდა ჩვენი სოპრანო ანა ცარციძე - ლამაზი, კამერული ხმით, მან ჰენდელის ულამაზესი და ვირტუოზული მოტეტი 'Laudate pueri' HWV237 იმღერა. მოქნილი ტექნიკის მიუხედავად, მომღერალს



იმ სადამოს თითქოს სუნთქვის პრობლემები აწუხებდა (ავადმყოფობის გამო?), რაც უკვე ნაკლებად გამოვლინდა ზელენკას მაგნიფიკატში და ვივალდის ვსალმუნში Domine ad adiuvandam RV593. ფესტივალს შარშანდელი მონაწილეები ევროპიდან წელსაც ეწვივნენ – კლავესინისტი ჟან რონდო, ჩელისტი დავიდუ ამადიო და ფაგოტისტი სერჯიო აცოლინი. ჟან რონდო (ჟან დონდუაუ) დომენიკო სკარლატის სონატებითა და იოჰან კრისტიან ბახის ფა-მინორული კლავესინის კონცერტით წარმოგვიდგა. რონდო იყო შთაბეჭდავი, რასაც ვერ ვიტყვი ჩვენს კლავესინზე, პირველი რიგიდან იგი კარგად ისმის, მაგრამ მისი ჟღერადობა მკვეთრად იზრდება მომდევნო რიგებში. ვივალდის სადამოზე ჩელო კონცერტებთან (RV424, 412, 418) ერთად შესრულდა სავიოლინო კონცერტები ციკლიდან L'estro armonico (No.2,8 &10) ორი და ოთხი ვიოლინოსათვის. ამადიოს (Davide Amadio) ცეცხლოვან, სწრაფ და წყვეტილ შესრულებას, სადაც მუსიკალური ექსპრესია აჭარბებდა შესრულების სიზუსტეს, ჩვენმა ორკესტრმა საპირწონედ დაუდო ემოციური, მყარი და სწრა-

ფი შესრულება. საინტერესო და მისასაღმებელია, რომ ყოველ სავიოლინო კონცერტში სოლისტები იცვლებოდნენ – ჩვენმა ქალბატონებმა ჩინებულად დაძლიეს ვივალდის პასაჟები, ოდნავი ხარვეზებით არპეჯიოებში. ამიტომაც, იმ სადამოს, როგორც ვენეციელი ამადიოს, ასევე ჩვენი მევიოლინეების ბენეფიცი იყო. ქართული ორკესტრის სასახელოდ ვიტყვი, რომ მათ შესძინეს შესრულებას ის ტემპერამენტი და გრძობები, რაც ასე უხდება ვივალდის მუსიკას. სხვა კონცერტებიდან დისტანცირებული აღმოჩნდა სადამო, რომელშიც რუსი მევიოლინე სერგეი მალოვი მონაწილეობდა. მან შეასრულა სოლოც, ასევე ორკესტრთან ერთად. ნაწარმოებებს ასრულებდა რიგრიგობით როგორც ვიოლინოზე, ასევე ჩელო და სკალაზე – იშვიათ პატარა ჩელოზე, რომელიც შესრულებისას მკერდზე მაგრდება. მალოვმა ორკესტრთან ერთად იოჰან სებასტიანისა და კარლ ფილიპ ემანუელ ბახის გადაკეთებული ნაწარმოებები შეასრულა (ორიგინალში დაწერილი კლავიშებიანი ინსტრუმენტისათვის ან ტრადიციული ჩელოსათვის). ვინც მალოვის საშემსრულებლო მანერას იცნობდა, იმ სადამოს პროგრამით გაკვირვებული არ დარჩებოდა – ვირტუოზული, სწრაფი და მეტად თანამედროვე მანერა სავარაუდოდ ნაკლებად მოუხდებოდა ნაწარმოების ორიგინალურ ვერსიას. იგი ისე ჩქარობდა, რომ პირველი კონცერტის დასაწყისში კიდევაც უსწრებდა ორკესტრს. ასეთმა შესრულებამ უფრო მალოვი დაგვანახა და ჩრდილში დატოვა კომპოზიტორი.

ყველაზე უცხო და შესაბამისად საინტერესო მუსიკალური სადამო ფესტივალის დახურვისას უნდა ყოფილიყო. იოჰან ფრიდრიხ ფაში, იან დისმას ზელენკა და იოჰან გეორგ პისენდელი – ეს ის ბაროკო კომპოზიტორე-



ბია, რომლებიც პრაქტიკულად უცნობია ჩვენი მსმენელისთვის და მათი კონცერტები ვირტუოზულობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. ამ შესრულებისათვის ექვსი უცხოელი მუსიკოსი შეიკრიბა – სახელგანთქმული ფაგოტისტი - სერჯიო აცოლინი (Sergio Azzolini), ფაგოტისტი - აი იკედა, პობოისტები: ჯოვანი დე ანჯელი და პრიშკა კომპლოი, ჩელისტი - დავიდუ ამადიო და თეორბაზე – ეტიენ გალეტიე. ყველაფერი წარიმართებოდა ბრწყინვალედ რომ არა პირველი პობოისტის „უცნაური“ შესრულება – ნაზი ტონის ნაცვლად პობოი გამოსცემდა მევირალა ტონს, შემსრულებლის ძალზე წყვეტილი მანერაც კი ვერ ფარავდა ტონალურ უზუსტობას (ინსტრუმენტის პრობლემა?). ამან ერთგვარი დისონანსი შექმნა სხვა შემსრულებლებთან და ზელენკას ულამაზესი კონცერტებით (ZWV 186 & 189) სრულყოფილი დატკობის საშუალება არ მომცა. მიუხედავად ამისა, კონცერტი შედგა და განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ XVIII საუკუნის დრეზდენის კარის მუსიკოსების საუკეთესო შედეგები პირველად აქედან თბილისში!

ცალკე უნდა აღინიშნოს ოთხი საჯარო ლექცია, რომელიც ბაროკო ეპოქას მიეძღვნა. თემატიკა გონივრულად გათვლილი და შერჩეული იყო – საუბრები შეეხო ბაროკო მუსიკისადმი ინტერესის მძლავრ მომატებას უკანასკნელი დეკადების დროს, დრეზდენის კარის მუსიკოსებს და ვივალდის (რომელთა ნაწარმოებები შესრულდა ფესტივალის დროს), ასევე კარავაჯოს და მის მიმდევრებს. ლექციები კონსერვატორიაში გაიმართა, გულდასაწყვეტი მსოლოდ ის იყო, რომ მომხსენებლების ჩინებულ დონეს შესაბამისი მსმენელების არმია არ დაესწრო, მით უფრო, როცა

აკლდნენ თავად კონსერვატორიის სტუდენტები.

სიამოვნებას იწვევს ის ფაქტიც, რომ უკვე მეორე ფესტივალიდან დამკვიდრდა კარგი პრაქტიკა – ლექცია-გაცნობითი ნახევარსაათიანი საუბარი კონცერტის წინ, რაც კონცერტზე მისულ მსმენელს უქმნიდა შესაბამის განწყობას, რათა სწორად აღექვა შემდგომი მუსიკალური კონცერტი. ამ წამოწყებამ კპოვა მსმენელების ინტერესი, რასაც დამსწრეთა რაოდენობა ადასტურებდა.

განსაკუთრებული მაღლიერებით მიიწვია მოვიხსენიო ფესტივალის ძირითადი დამფუძნებლები – ჩვენი ორკესტრი - „საქართველოს სინფონიეტა“ – რა სწორად და გემოვნებით იყო შედგენილი პროგრამა! როგორი ავტორიტეტები იყვნენ მოწვეულნი და რა უცხო მუსიკა აქედან, რომელიც დარბაზის უმრავლესობას არასოდეს მოუხმენია.

ჩვენი ორკესტრი ჩინებულად გამოვიდა – უდავოა, მან მიიღო კარგი „საშტატო“ ორკესტრის სახე, რომელიც ერთნაირად უწევს კარგ პარტნიორობას სხვადასხვა მუსიკოსებს. მაგრამ, მინდა აღვნიშნო, რომ ორკესტრის შესრულების მანერა ჩემი თვალსაზრისით, მეტად თანამედროვეა, ნაკლებად ექცევა ყურადღება აკუსტიკას და სიფაქიზეს, არადა, ამის კარგი მაგალითი, ბერლინის ძველებური მუსიკის აკადემიის ორკესტრმა ზუსტად გვიჩვენა.



ნაწარმოები

პროფესორ ოთარ ოსაძის ხსოვნას

ნელია წარსულ დროში ბატონ ოთარზე ლაპარაკი, საქართველოს საბიბლიოთეკო მეცნიერებას დააკლდა ამ დარგის გამოჩენილი მკვლევარი და პრაქტიკოსი მუშაკი, რომელმაც მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე წიგნსა და ბიბლიოთეკას მიუძღვნა.

წიგნი იყო მისი ცხოვრების უცვლელი თანამგზავრი, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე კითხულობდა, ბრძნულ და მახვილმხივრულ გამონათქვამებს აგრძელებდა, სისტემაში მოჰყავდა და მომავალ თაობებს უნახავდა, ეს იყვარებოდა და ანდერძით ჩუქნიდა. ასე გაჩნდა №42 ბიბლიოთეკაში ბატონ ოთარ ოსაძის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე ნაღვაწი ანბან-საგნობრივი საძიებელი – მხატვრული გამონათქვამებისა ქართული და მსოფლიო ლიტერატურის საგანძურთან, რომელიც მან მთავარი ბიბლიოთეკის ყოფილ გენერალურ დირექტორს ქალბატონ ციალა კალმახელიძეს და №42 ბიბლიოთეკის თანამშრომლებს გადასცა იმ იმედით, რომ ჩვენ ამ საგანძურს მოვუვლიდით და მკითხველებისათვის ხელმისაწვდომს გავხდით. საძიებელი 600-ზე მეტ რუბრიკას შეიცავს და ეხმარება მკითხველებს საინტერესო თემების დამუშავებაში.



ოთარ ოსაძემ საბიბლიოთეკო დარგში მოღვაწეობის 60 წლის მანძილზე გაიარა ყველა საფეხური და თანამდებობა – ეროვნული ბიბლიოთეკის მეთოდური განყოფილების მეთოდისტიდან სულხან საბა ორბელიანის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის პროფესორობამდე.

პროფესორი ო. ოსაძე 1959 წლიდან ფაკულტეტისა და კათედრის დახურვის დღემდე ნახევარ საუკუნეზე მეტი მაღალპროფესიული დონეზე, კეთილსინდისიერად ემსახურა კადრების მომზადების საქმეს, პარალელურად კითხულობდა ლექციებს საქართველოს სახელმწიფო კულტურის ინსტიტუტში, კულტურის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ კურსებზე, ყველგან - სადაც მას უმოღვაწია, “ნათელი კვალი” დატოვა.

გოეთეს უთქვამს: „კოლექციონერობა დიდი

სიამოვნებაა” - არ ცდება დიდი გერმანელი კლასიკოსი. ბატონ ოთარს ყველა კოლექციონერისაგან განსხვავებული გატაცება ჰქონდა: იგი არა ნივთებს, არამედ, როგორც დიდი ბიბლიოფილი, “ხალხური სიბრძნის მარგალიტებს – ანდაზებს, აფორიზმებს, სენტენციებს, დეფინაციებს აგრძელებდა და ელოლიავებოდა. ამ „გატაცების” და „სიამოვნების” შედეგად მივიღეთ სოლიდური, სქელტანიანი ნაშრომი “აზრთა ზარდახშა”, რომლის პირველი ნაკვეთი “სიბრძნის საუნჯე” უკვე გამოქვეყნდა, ხოლო დანარჩენი - უმეტესი ნაწილი წლებია გამოცემას ელოდება.

მეამაყება, რომ მისმა ყოფილმა სტუდენტებმა და შემდეგ კოლეგებმა შევადგინეთ ბიბლიოგრაფიები სერიით: “გამოჩენილი ქართველი მეცნიერები ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში”, რომლებშიც თავმოყრილი და სისტემატიზებულია კონკრეტული მეცნიერის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები და მის შესახებ არსებული ლიტერატურა.

ბიბლიოგრაფიული ნაშრომი “ოთარ ოსაძე” გამოიცა 2008 წელს და მიეძღვნა ბატონ ოთარის 80 წლისთავს. აქ თავმოყრილია მის მიერ 2008 წლამდე გამოქვეყნებული 94 დასახელების

სამეცნიერო ნაშრომი, მისი რედაქტირებული და რეკენზირებული წიგნები, კრებულები და მის შესახებ არსებული ლიტერატურა.

ბატონი ოთარი ჩვენ, მის ყოფილ სტუდენტებს, კოლეგებს, მეგობრებს, ახლობლებსა და ნაცნობებს ძლიერ დაგვაკლდა.

ნიჭიერი, განსაკუთრებული, შემოქმედებითი, იუმორით აღსავსე, უბრალოდ ნათელი და დადებითი პიროვნება დავკარგეთ, ეს დანაკლისი, მიუხედავად ბატონი ოთარის ხანდაზმულობისა (91 წლის), ძალზე მძიმეა, რადგან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე სიამოვნებდა ჩვენთან ურთიერთობა, ისევე როგორც ჩვენ მისი სიტბო და სიყვარული.

კოლეგები, მეგობრები, №42 ბიბლიოთეკის თანამშრომლები, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის” რედაქცია.

პროფესორ ზემფირა ტყაბლაძის გამოსათხოვარი

მეტად მძიმე და დიდი მწუხარებით დაიწყო ჩვენთვის 2018 წელი. ამ ორ თვეში დავკარგეთ ორი უსაყვერღესი ადამიანი და კოლეგა: პროფესორები ოთარ ოსაძე და ქალბატონი ზემფირა ტყაბლაძე, რომლებიც იყვნენ საქართველოს ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები და ამ დარგის ფუძემდებლების საქმის ღირსეული გამგრძელებლები.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის მძიმე ფაქტი, რომ 2016 წლის სექტემბრიდან 2018 წლის თებერვლამდე უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ ამ დარგის ოთხი ღირსეული, პატივცემული, პატრიოტი, პროფესიონალი და უბრალოდ კარგი ადამიანები: ციალა კალმახელიძე, მზია ჭელიძე, ოთარ ოსაძე და ზემფირა ტყაბლაძე. მათი დანაკლისის შევსებას ათეული წლები დასჭირდება, რადგან მათ შემცველ მომავალ თაობებს ვეღარ ვზრდით იმ მიზეზის გამო, რომ რესპუბლიკაში არსებული ერთადერთი სპეციალური ფაკულტეტი დაიხურა, რამაც დიდი დადი დაასვა პროფესიონალი კადრების მომზადების საქმეს.

ზემფირა ტყაბლაძე ფურცელაძეებისა და ტყაბლაძეების ღირსეული წარმომადგენელი იყო. მიუხედავად მძიმე ბავშვობისა (1937 წლის მოვლენების გამო), მამამისმა ზემფირას დაბადება გადასახლებაში გაიგო და ქალიშვილი ციხეში ნახა. დედამ ქეთევან ფურცელაძემ ქმრის დანაბარები, რომ “შენზე იყოს მათი პატრონობა” ღირსეულად შეასრულა და საქართველოს გაუზარდა სამი ღირსეული ქალიშვილი: ციალა, ზემფირა და მანონი რომელთა დობა მაგალითია ყველა ქართველი ოჯახისათვის. ხოლო მოგვიანებით 1957 წლის 27 აპრილს ზემფირას მამა პოლიექტ ტყაბლაძე უმადლესმა სასამართლო უდანაშაულოდ სცნო და იგი რეაბილიტირებული იქნა.

პროფესორი ზემფირა ტყაბლაძე ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრაზე ლაბორანტის თანამდებობაზე და გავლილი აქვს ყველა საფეხური სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისა: ასისტენტი, დოცენტი, დეკანის მოადგილე, კათედრის



გამგე, ხოლო 2005 წელს პროფესორის წოდება მიენიჭა. პარალელურად დაამთავრა უცხოენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სადამოს განყოფილება, მაგრამ მისი პოზი საბავშვო ლიტერატურის კვლევაა, რომელშიც თავისი ღირსეული სიტყვა თქვა, რაშიც მას ხელი შეუწყო ქალაქ ლენინგრადში დამთავრებულმა ასპირანტურამ.

ზემფირა ტყაბლაძე წლების მანძილზე იკვლევდა მოსკოვში რუსეთის სახელმწიფო და ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. სახელმწიფო ბიბლიოთეკებში რუსულიდან თარგმნილი ანონიმურად გამოქვეყნებულ ლიტერატურის ნიმუშებს, რომლებიც იბეჭდებოდა საქართველოში მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში. ხანგრძლივი და ნაყოფიერი კვლევის შედეგად მივიღეთ სადისერტაციო ნაშრომი მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად: “რუსული საბავშვო ლიტერატურის თარგმანები რევულუციამდე საქართველოში”. ნაშრომს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა საბავშვო ლიტერატურით დაინტერესებული მკვლევართათვის, რადგან ზემფირა ტყაბლაძემ დაადგინა მთარგმნელები, გახსნა მათი ფსევდონიმები და კრიპტონიმები.

მკვლევარს სადისერტაციო ნაშრომის შემდგომ არ შეუჩერებია მუშაობა ამ მიმარ-

თულებით და მალევე მივიღეთ სოლიდური ნაშრომი: “რუსული საბავშვო ლიტერატურის რევოლუციამდელი ქართული თარგმანების ანოტირებული ბიბლიოგრაფიული საძიებელი”, რომლის მიხედვით შესწორდა ქართულ საბავშვო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული წყაროები.

პროფესორი ზემფირა ტყაბლაძე 50 წლის მანძილზე ღირსეულად ემსახურა საქართველოს საბიბლიოთეკო კადრების მომზადების საქმეს, მანამდე სანამ აღნიშნული ფაკულტეტი არ დაიხურა.

მისი ბიოგრაფია აღსაგესა სამეცნიერო კვლევითი, პუბლიცისტური ნარკვევებით, სახელმძღვანელოების, სამეცნიერო სტატიებით, რომლების გამოქვეყნებულია არა მარტო საქართველოში არამედ ქალაქ მოსკოვის, ლენინგრადის, ბაქოს და სხვა ქალაქების სამეცნიერო ჟურნალებში. მათი რაოდენობა 50-ზე მეტ ერთეულს ითვლის, რომლების სისტემატიზირებულია ბიბლიოგრაფიაში სერით: “გამოჩენილი ქართველი მეცნიერები ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში” და რომელიც მიედვნა ქალბატონი ზემფირა ტყაბლაძის დაბადების 70 სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის

50 წლისთავს.

არიან ადამიანები, რომელთა გარდაცვალება წარუშლელ და მოუშუშებელ იარაღს გიტოვებს გულში, რომელთა დავიწყება შეუძლებელია. ასეთ ადამიანთა შორის გვეგულება ზემფირა ტყაბლაძე, ულამაზესი, ქალური სინაზით, სიკეთით აღსაგესე, პოეზიის მოყვარული, ღვთისმოშიში, ყველას დამხმარე, რომელიც ხშირად იმეორებდა: “სიკეთით შეიძლება საფრთხის დაძლევა, სიკეთით ჩადებულ თესლი აუცილებლად გაღვივდება და სხვასაც გადაედება. ამ დევიზით იცხოვრა მან 82 წლის მანძილზე თბლისის ერთ-ერთ ძველ უბანში სოლოლაკში გაზრდილმა ადამიანმა რომელიც მარდადისობაში შეუერთდა დედ-მამას, საყვარელ მეუღლეს, ღირსეულ ქართველს ნოდარ ჭოლოკავას. და რომელიც დაგვაკლდა არა მარტო მისი ოჯახის წევრებს, მეგობრებს და კოლეგებს, უთვალავ ნაცნობ-მეგობრებს, ცნობილ პიროვნებებს და მის მშობლიურ საყვარელ ბაღდათს.

**მეგობრებისა და კოლეგების სახელით,
მზია ტოგონიძე, ალექსანდრე ლორია,
გურამ თაყნიაშვილი**

გულტყავთ იუბილეს



საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი
რუსუდან ასათიანი

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია გულითადად ულოცავს საბიბლიოთეკო საქმის უზაფლო მცოდნესა და ღვანდღოსილ კოლეგას გურამ თაყნიაშვილს დაბადების 80 წლის იუბილეს.

ბატონ გურამზე ძნელია, დაიშურო საქები სიტყვები, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და დასაფასებელია ის ღვაწლი, რაც მას საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის ხელშეწყობასა და წლების განმავლობაში დაგროვებული ცოდნის თაობებისათვის გაზიარებაში მიუძღვის. მან თავისი უმრავლესი უნარების წყალობითა და მუდმივი შვაობით - გაუზიაროს ახალბედა ბიბლიოთეკარებს თავისი გამოცდილება, მოაზრება საბიბლიოთეკო საზოგადოების პატივისცემა და სიყვარული.

ვუსურვებთ ბატონ გურამს ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი
ლევან თაძაძიშვილი

წიგნის ყველა მოყვარულთათვის ცნობილია შტეფან ცვაიგის ნოველა „ბუკინისტი მენდელი“. ბავშვობაში რომ წაეკითხე, წარმოვიდგინე მთავარი გმირის სახე. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მუშაობა რომ დავეწყე და ბატონ გურამ თაყნიაშვილი გავეიცანი, ჩემს წარმოდგენას ხორცი შეესხა. ჩემს წინ სწორედ რომ ბუკინისტი მენდელი იდგა, რადგან ბატონი გურამისთვისაც უცხოა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ფონი. მისთვის უცხოა ყველა ის ადამიანი - პოლიტიკოსი თუ კულტურის სფეროს წარმომადგენელი, რომელიც წიგნისა და ბიბლიოთეკების პოპულარიზაციას ხელს უშლის. მე თვითონ შევსწრებივარ მის შეუვალ პოზიციას, წიგნის და ბიბლიოთეკების ბედის ზერეულად მაცურებლის მიმართ. ესაა მისი მთავარი ღირსება და თუ ამ თვისებას სხვა მას ბრწყინვალე თვისებებსაც დავუმატებთ, იგი ბიბლიოთეკის მთავარ პერსონად გვევლინება იმ ძველ წლებში, რომელთა გახსენება არ მინდა.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორი
მზხარ ჯამბიანი

ჩვენს კოლეგას, ბატონ გურამ თაყნიაშვილს, 80 წელი შეუსრულდა. ამ თავმდაბალ და კეთილშობილ ადამიანს მთელი ქართული საბიბლიოთეკო საზოგადოება აცნობს და პატივს სცემს. კოლეგების გულწრფელი სიყვარული მან ქედუბრული შრომით, დაუზარლობით და პროფესიონალიზმით მოაპოვა.

80 წელი მოხუცებულობას ნამდვილად ნიშნავს, მაგრამ არა ბატონი გურამისთვის, რადგან მას სწორედ ის თვისება არა აქვს, რაც ყმანვილსაც კი ბებრად წარმოაჩენდა. რეტროგრადობა, წარსულის განდიდება და ყველაფერი ახლის უარყოფა მისთვის სრულებით უცხოა.

ბატონი გურამი სულიერად და გონებრივად ახალგაზრდა და ახალგაზრდების მოყვარული ადამიანია.

ამბობენ, რომ განგება ხანგრძლივი სიცოცხლით საკუთარი პროფესიის ენებანიად მოყვარულ ადამიანებს აჯილდოვებს, რისი დადასტურებაც ბატონი გურამის ქარმაგი ასაკია.

ბედნიერი ვარ შეხატულობით, ვმუშაობდე მასთან და ვსწავლობდე მისგან.

გულით ვუსურვებ ბატონ გურამს ჯანმრთელობას და სულიერ მხნეობას.

გურამ თაყნიაშვილის საიუბილეო წელია...

ბუნდარა სტურუა

წლებიანი წელიწადი საქართველოს საბიბლიოთეკო დარგის პროფესიონალის, ცნობილი პედაგოგისა და ჟურნალისტის, თავმდაბალი და მეტად მოკრძალებული პიროვნების, ბატონი გურამ თაყნიაშვილის საიუბილეო წელია. მას სრულიად საქართველოს ბიბლიოთეკართა საზოგადოება კარვად იცნობს. არა მგონია, ჩვენს ბიბლიოთეკებში იყოს დარჩენილი თუნდაც ერთი ბიბლიოთეკარი, ვისთანაც ბატონ გურამს პროფესიული ურთიერთობა არ ჰქონია. მთაში თუ ბარში, წამთარში თუ ზაფხულში იგი თავისი საქმის ცოდნითა, ერთგულებითა და სიყვარულით მოიხილს ჩვენი ქვეყნის რეგიონების ბიბლიოთეკებს, რათა დარგში მომხდარი სახელე, ინფორმაცია, ცოდნა ადგილზე მიუტანოს კოლეგებს, ჩაატაროს სემინარი და უმურველად დაეხმაროს მათ კვალიფიკაციის ამაღლებაში. ცოდნის გაცემისა და მოყვასის დახმარების ეს სურვილი არა მხოლოდ პროფესიული ვალდებულება, არამედ მისი ხასიათის ერთ-ერთი სამაგალითო მხარეა. ადამიანის დიდბუნებოვნებას თურმე ასაკიც კი ვერ დაუდგება წინ! იგი ქართული საბიბლიოთეკო დარგის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე, მკვლევარი და მეცნიერია. მას ეკუთვნის უამრავი სტატია, ნაშრომი და მონოგრაფია, როგორც ბიბლიოგრაფიასა და ბიბლიოთეკათმცოდნეობაში, ასევე ქართულ ლიტერატურასა და ისტორიაში. ბატონი გურამი მართლაც რომ ჩვენი დარგის გამორჩეული პროფესიონალი, მეცნიერ-მედაგოგია.

ძვირფასო კოლეგებო, თქვენთან ერთად ვეფერები ბატონ გურამს, ვუსურვებ ღვებრძელ სიცოცხლეს მისთვის დამახასიათებელი შემართებით, შრომისუნარიანობით, საუკეთესო სტატეგიისა და შრომების გამოქვეყნებით, ჩვენს საზოგადოებას კი ვუსურვებდი მისი მსგავსი მეცნიერისა და პედაგოგების სიმრავლეს!

